ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის წააგავს ხვითოს;

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს,
როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.

ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,



და შენ, მეირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის მოჰგავდი ხვითოს.

ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.

მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვს გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, –

გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ – მზე გამარჯვების.

მირზა გელოვანი



პამფლეტი

## სკანდალური ჩანაწერები

გულისთქმა

## ერი გააპატიეთ, ბატონო პრეზიდენტო!



## გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * მაისი, 2009 N52 * გამოცემის მე-6 წელი * ასავალ-დასავალის ჰარმონიობით



ახლა ზუსტად ის დროა, ერთმანეთს რომ უნდა ვულოცავდეთ!

ვულოცავდეთ იმას, რომ პატრიარქის სურვილით ამერიკის მიწაზე ჩვენი სულიერებისათვის იქმნება მძლავრი სამონასტრო კერა, სადაც ქართული სამოციქულო ეკლესიის მიერ მოვლენილი ბერ-მონაზვნები იმსახურებენ. მონასტერი ბინას დაიდებს პენსილვანიის ქალაქ აშლიში, პოკონოს მთის ერთ ულამაზეს ალაგას.

თქვენ სურათზე სწორედ ამ მონასტრისთვის შეძენილ ნაგებობას ხედავთ, რომლის შეძენაში ლომის წვლილი ჩადეს წმიდა გიორგის ფონდის პრეზიდენტმა, ბ-ნმა ლაშა დარბაიძემ და მამაო ალექსანდრე თანდილაშვილმა.



## გილოცავთ!



მაგრამ ილია თავს ისევ გვახსენებს და მერე როგორ!!!

ილიასეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მემკვიდრე თავისი სულიერი ასპექტით იყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით მეოცე საუკუნის 50-იანი წლების შუა წლებიდან დაწყებული პოლიტიკური მოძრაობა. თავდაპირველად ეს მოძრაობა განპირობებული იყო თანამოაზრეობასა და მეგობრობაზე. ილიას დასაწყისი და ზვიად-მერაბის დასაწყისი სულ სხვადასხვა სივრცეში მოხდა, სხვადასხვა გარემო პირობებში, მაგრამ ორთავ შემთხვევაში დამპყრობლის ულუფად იდო საქართველო. ილიას დროს სხვა აპეტიტი და მისწრაფება ჰქონდა რუსს, ზვიადის დროს კი სხვა, სამაგიეროდ, ორთავე რუსეთი — მონარქიული იმპერიათა და რესპუბლიკური იმპერიაც საბოლოო მიზნად ისახავდა ქართველი ერის გადაშენებას. შესაბამისად ილიას სხვა საბრძოლო სტრატეგია გააჩნდა, ზვიადს კი სხვა, მაგრამ ორთავეს დიდი საერო საქმე უნდა გაეკეთებინა, - მიზანი ერთი იყო ორთავ შემთხვევაში:

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნესო!“

- აი, მიზანი!

ამ მიზნის მისაღწევად ილია სხვა ხერხებს მიმართავდა, ზვიადი კი სხვას, მაგრამ ორთავ შემთხვევაში უფლის თვალში გამართლებული იყო მათი მოღვაწეობა.

ილიამ შექმნა ეროვნული სახელმწიფოსათვის აუცილებელი ატრიბუტი - მატერიალური დოვლათი, მისი თაოსნობით წერა-კითხვის განმავრცელებელმა საზოგადოებამ ერში მასიური განათლება შეიტანა... და სხვ.

ზვიადი ბანკს ვერ შექმნიდა, ვერც სახალხო შკოლებს. ყველაფერი ეს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული იყო და არავის მისცემდნენ საშუალებას და უფლებას დამოუკიდებლად ეწარმოებინა საქმიანობა მთელი ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზითაც კი. ზვიადს და მერაბს საბრძოლო ასპარეზად გააჩნდათ პრესა, ხოლო ბრძოლის იარაღი იყო მოხომილ-მოწონილი სტატია-პუბლიკაციები, რომლებიც უწყინრად გადავიდოდა ცენზურის შლაგბაუმს მიღმა და მკითხველამდე მივიდოდა ასეთი სახით. სამწუხაროდ და ილიასგან განსხვავებით თვითონ კი არ განაგებდნენ პერიოდულ გამოცემებს, არამედ ჰომო-სოვიეტიკუსები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა ცენზურა - ქვეტექსტების მჩხრეკი, ყოველგვარი საეჭვოს გამოჩენისას სათანადო ორგანოებისთვის შესაბამისი მასალების მიმწოდებელი, საბოლოო ჯამში რომ უკეთეს შემთხვევაში სუკის ჯურღმულების, ან თუ საგიჟეს კედლების პერსპექტივა არ ასცდებოდა ავტორს, ან, არადა, უარეს შემთხვევაში - ტყვია შუბლში.

ილია ასეთ აუტანელ წნეხში არ გატარებულა!

ილია მაინც აიძულეს აქტიურ პოლიტიკაში ჩაბმულიყო, რადგან მისი შინაგანი მოთხოვნა და სურვილი არ ყოფილა პარტია და პოლიტიკა.

ზვიადს აიძულებდნენ აქტიურ პოლიტიკაში არ ჩართულიყო. ზვიადი და მერაბი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ, მწერლობა მათთვის შენიღბული ფორმით თავიანთი მრწამსის გამოხატვის საშუალება იყო.

ილია ლიბერალი იყო ბუნებით, ზვიადი და მერაბი კი რადიკალები და უკომპრომისოები. ილიასთვის პოლიტიკაში ჩართვა თავსმოხვეული და უსარგებლო ჯაფა იყო, თვით სახელმწიფო სათათბიროში მისი მოღვაწეობა სწორედ რომ პოლიტიკიდან გამომდინარე იყო და ამ პოლიტიკისთვის უნდა დაექვემდებარებინა საქართველოს მომავალი. ზვიადისთვის და მერაბისთვის პოლიტიკა მძიმე ჯვარი იყო, რომელიც საკუთარივე ნებით ვინმეს ძალდატანების გარეშე იტვირთეს. სწორედ ამ სფეროში ვლინდებოდა მათი ეროვნული მისწრაფება და მაინც ორთავე მეგობარი ბოლომდე ზნეობისა და ქრისტეს მრწამსის ერთგულნი დარჩნენ და არა პოლიტიკური თამაშების ლავირებით მოპოვებული დიპლომატიური ალღოსი.

ილია თავისი ნატურით დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე იყო, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა მის ცხოვრების გზას არ გადაეკვეთა ეს მერიდიანი, ზვიადი და მერაბი თავიანთი ნატურით საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, არამაღლებულნი პოლიტიკურ თამაშობათა მოთამაშის დონემდე და ალბათ, ასეც ჯობდა - ვისთვის როგორ. ილია საქართველოს ავტონომიაზე ოცნებობდა და საბოლოოდ იგი არ ფიქრობდა მომავალი სახელმწიფოებრივი წყობის ფორმაზე, რადგან მისთვის ეს თემა წარმოუდგენლად მიუღწევადი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში იგი ჯუზეპე გარიბალდისა და პარიზის კომუნის იდეალებით საზრდოობდა, ზვიადისთვის და მერაბისთვის იმთავითვე საქართველო წარმოჩინდებოდა როგორც დამოუკიდებელ და თავისუფალ საპარლამენტო რესპუბლიკად, დროთა განმავლობაში რეფერენდუმის შედეგად კონსტიტუციური მონარქიის აღდგენით. საბოლოო ჯამში, ზვიადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოს მესამე რესპუბლიკა საპრეზიდენტო მმართველობის კონსტიტუციურ რესპუბლიკად აღსდგა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ილიას მსოფმხედველობრივი ბაზისი ქართულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ემყარებოდა, ზვიადისა და მერაბის მსოფმხედველობა კი თეოლოგიური საწყისით საზრდოობდა. თითქოსდა ერთი და იგივე პრინციპია, მაგრამ ერთი ორთოდოქსული სარწმუნოებრივი აღმსარებლობაა, მეორე კი სარწმუნოებისადმი მეცნიერული მიდგომა. ცდომილებაც ამაში მდგომარეობს. ილია მოკავშირეებად ევროპის პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებებს იხდიდა, რომლებიც ასე თუ ისე მთავრობებისთვის და ზოგადად „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“-სთვის საშიშნი არ იყვნენ,- რაღაც პრინციპით გაერთიანებულნი, რით, თუ არა ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეით. ზვიადისა და მერაბის მოკავშირეებიც ევროპისა და ამერიკის პროგრესიული საზოგადოება იყო, უმთავრესად კი საბჭოთა ბანაკისათვის და თვით საბჭოეთისთვის საშიშნი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი პროგრესულად მოაზროვნე იყო, ისინი უპირველეს ყოვლისა გაერთიანებულნი იყვნენ დისიდენტური მსოფმხედველობრივი მრწამსით, რაც იმთავითვე ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეითაც საზრდოობდნენ.

ილია თხემით ტერფამდე მწერალი და პუბლიცისტი იყო და მან თავისი მოღვაწეობით ხელი შეუწყო, რათა შექმნილიყო ქართული კლასიკური მწერლობის დიდი პლეადა თვით თერგდალეულთა მეთაურობით, ზვიადი და მერაბი არ იყვნენ მწერლები და პუბლიცისტები, მათი მწერლობა იყო პოლიტიკური პროპაგანდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ლიტერატურული მეთოდების მტკიცე გამოყენებით.

ილია თავისი მოღვაწეობის შედეგად ერის მამად და სადღეისოდ წმიდა ილია მართლად აღზევდა, მერაბს სიცოცხლე არ ეყო, ზვიადი კი სრულიად საქართველოს პრეზიდენტად ვერ გახდა, ისევე როგორც მისი შემცვლელები. და რატომ -

იგი, განყენებულად, საზოგადოების რომელიღაც ფენისთვის სავსებით მიუღებელი გახდა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ზვიდისა და საქართველოს ბედისწერაში, ზვიადი იანუსად აქციეს, და მიტომ.

### 6. ზოგადი შტრიხები, თუ რატომ დამარცხდა ილიასეული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა

როგორც არ უნდა იყოს, ილიასეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მაინც დამარცხდა. მისი მარცხი დაიწყო 1907 წლის 30 აგვისტოს ილიას მკვლელობით. მიუხედავად იმისა, რომ თერგდალეულთა თაობამ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ უდიდეს წარმატებას და პოპულარობას მიაღწია, ყველა ეს წარმატება, სწავლება და ავტორიტეტი თანდათან გადავიდა მტრის ბანაკში. ახალგაზრდა თაობაში ილიას ქომაგი ცოტა ვინმე თუ დარჩა. ფუნქცია დაეკარგა წერა-კითხვის განმავრცელებელ საზოგადოებას, თვალსაწიერიდან თანდათან გაქრა სათავადაზნაურო ბანკი და მისი ქონება. გაზეთომანიით გაზეთი გაუფასურდა, როგორც ასეთი, და ილიას თანამოაზრეებმაც მიატოვეს „ივერია“, იქამდე ილიას სიცოცხლეში მისი ბრწყინვალე საპოლემიკო წერილი „ნუთუ“ „ივერიის“ მხოლოდ დანართში დაიბეჭდა. ერთია, რომ თავისი წონა და ავტორიტეტი შეინარჩუნა ქართულმა თეატრმა. ყველაფერი თითქოს უკეთეს მომავალს გვიქადდა, ვფიქრობდით ილიას დარგული ნერგი ეს-ესაა მოგვცემს თავის ნაყოფებსო. არ გასხარეს, პირველივე ნაყოფს დაუწყეს ბრძოლა.

მტერი ელოდა პირველყოვლისა ილიას თანამებრძოლთა სიცოცხლის დასრულებას, რათა მომავალ თაობას იოლად გამკლავებოდნენ. ილიას მკვლელობით თერგდალეულთა თაობამ დაკარგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქომაგი და ასეთი სხვა შემცვლელი ფიგურა პოლიტიკაში მათ არ ჰყავდათ, პოლიტიკა უკვე წყვეტდა ყველაფერს, და მიტომ. ილიას შემდეგ ყველა მისი მეგობარი და თანამებრძოლი უმწეონი დარჩნენ, რადგან ისინი თავიანთი ვიწრო სპეციალიზაციით იყვნენ დაკავებულნი: აკაკი - პოეზიით, იაკობი - პედაგოგობით, ნიკო ნიკოლაძე - ეკონომიკით, დავით კლდიაშვილი - პროზით, ვაჟა-ფშაველა - ფილოსოფიით და ა.შ. ახალგაზრდა თაობა კი ჯერ ვერ იდგა იმ სიმაღლეზე, რომ მათ სიტყვას სახელმწიფოებრივი წონა ჰქონოდა.

ერთის სიტყვით, ილიას სიკვდილმა ყველა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტა, ალბათ იმიტომაც, რომ ვისაც სიტყვა ეთქმოდა საქართველოში, ის იმ ასაკის აღარ იყო... და მაინც, ილიას მოძრაობა იმიტომ დამარცხდა, რომ თვით ილია ნატურით არ იყო პოლიტიკოსი და არ უდებნია მემკვიდრე-შთამომავალი, ან პოლიტიკური მოკავშირე. მოდიოდა კი ყველასათვის გაუთვალისწინებელი მონსტრი - საბჭოეთი, რომელიც წალეკავდა კერძო საკუთრებას და ამით მომაკვდინებელ ლახვარს ჩასცემდა ქართულ ინტელიგენციას, რადგან ამ უკანასკნელს მთელი თავისი საარსებო წყარო კერძო საკუთრებაზე ჰქონდა დაფუძნებული და შესაფერისი კაპიტალიც, თუნდაც კაპიტალ-დაბანდებაც ამ არხებით ხორციელდებოდა. კერძო საკუთრების მოსპობით მოისპო შემოქმედებითი პოტენციალის წინსვლა. თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი იყო არც მეტი და არც ნაკლები საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობის დაფიქსირება, ფაქტობრივი მდგომარეობისა, რომელსაც იმ დღემდე ქვეყანას თითქოს პატრონი არ ჰყოლია და, ესაო და, ვინაიდან მოვედით ჩვენ — „ესდეკების“ მენშევიკური ფრთაო, ჩვენა ვართ ამიერიდან ამ ქვეყნის ბატონ-პატრონიო. ილიას, როგორც პიროვნების, ასევე როგორც ილიასი, რომელიც მთელი მისი პლეადის ზოგად-სახელს ატარებდა აბსტრაქტული გაგებით, ყველაზე დიდი დამარცხება სწორედ რომ ესაა.

ერთია, რომ ილიას მოღვაწეობის რეალური გამართლება არის ის, რომ იმავე 1918 წელს აღდგა საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს კირიონ III, და დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს თბილისში გაიხსნა უნივერსიტეტი.

### 7. სუვერენიტეტი და სეპარატიზმი

ილიას მკვლელობის შესახებ გალაკტიონს აქვს ასეთი ლოგიკური და სამართლიანი დასკვნა:

„წიწამურში რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი,
ძველი მსოფლიო და იდილია,
ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი“.

ილიასთან ერთად რომ IXX საუკუნის ინტელექტუალური მთელი კაცობრიული ნაღვაწი ილუპებოდა, არავისთვის არ არის უცხო. XX საუკუნემ ახალი თამაშის წესები დაამკვიდრა, - ვერაგი და უალტერნატივო. ამ თამაშის წესებს დაექვემდებარა მთელი მსოფლიო, სახელმწიფოებიც ამ თამაშმა ჩაითრია. აი, ამ თამაშის პირველი ულმობელი წესი, რომელმაც იმთავითვე შეცვალა პოლიტიკური ბალანსი მთელს რიგ სახელმწიფოებში: „პოლიტიკური თავისუფლება **იდეაა** და არა **ფაქტი**. ეს იდეა უნდა გამოვიყენოთ, როცა საჭირო გახდება ხალხთა მასების მოზიდვა პარტიისაკენ, თუ ეს უკანასკნელი გადაწყვეტს სხვა მმართველი პარტიის დამხობას. ეს ამოცანა ადვილი გადასაწყვეტი იქნება, თუ მოწინააღმდეგე თვითონ დაავადდება თავისუფლების იდეით, ე. ი. ლიბერალიზმით და იდეისთვის შეელევა თავის ძლიერებას... ხალხთა ბრმა ძალას უნარი არ შესწევს ერთი დღეც გასტანოს ხელმძღვანელის გარეშე და ახალი ხელისუფლება იკავებს ძველის ლიბერალიზმისაგან დასუსტებულ ადგილს... იყო დრო, როცა რწმენა მმართველობდა. თავისუფლების იდეა განუხორციელებელია, რადგან არავის ძალუძს მისი გამოყენება ზომიერად... თუ სახელმწიფოს ორი მტერი ჰყავს და გარეშე მტერთან ბრძოლაში დასაშვებია ბრძოლის ყოველგვარი ფორმა (...), რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იგივე მეთოდი უარეს მტერთან, საზოგადოებრივი წყობილების დამრღვევთან, და რატომ ჩავთვალოთ ბრძოლის ეს ფორმა მიუღებლად და უზნეოდ?

(...) წვრილმანი ვნებებით - ჩვეულებებით, ტრადიციებისა და სენტიმენტალური თეორიებით დატვირთული ადამიანთა ბრბო ადვილად დაჰყვება პარტიულ განხეთქილებას, რომელიც ხელს შეუშლის ყოველგვარ შეთანხმებას... პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო მორალთან. მმართველი, რომელიც ხელმძღვანელობს მორალით, აპოლიტიკურია. ამდენად, მისი ტახტის საფუძველიც მორყეულია. ვისაც ძალაუფლების სათავეში ყოფნა უნდა, ცბიერიც უნდა იყოს და პირმოთნეც. ჩვენი სამართალი ძალაშია. სამართალი განყენებული სიტყვაა და არავითარ აზრს არ შეიცავს. ეს სიტყვა ნიშნავს - მომეცით ის, რაც მინდა, რათა მივიღო დამამტკიცებელი საბუთი, რომ მე თქვენზე ძლიერი ვარ... ჩვენს წინაა გეგმა, სადაც სტრატეგიულად გადმოცემულია ხაზი, საიდანაც გადახვევა შეუძლებელია, რადგან დავდგებით საუკუნეების მანძილზე ნამუშევარის დანგრევის რისკის წინაშე“ („სიონისტების კრებების ოქმები“, ოქმი 1).

ამ საიდუმლო ოქმებმა საზოგადოებაში გაჟონა XX საუკუნის პირველსავე წლიდან და არნახული სკანდალი მოჰყვა მის გამოქვეყნებას. სწორედ ლიბერალური ძველი მსოფლიოს იდილიური წყობის ნგრევაზე ჰქონდა საუბარი გალაკტიონს. ამდენად ილიას ფიზიკური განადგურება ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ხილულ და უხილავ მტრებს მისცემოდათ განუსაზღვრელი მოქმედების თავისუფლების უფლება საქართველოში თავიანთი ახალი თამაშების დასამკვიდრებლად. ერთნი ამბობდნენ, რომ „ოქმები“ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იქნა შეთითხნილი ანტისემიტური კომპანიის წარსამართად (სპეცსამსახურებში ვგულისხმობ ნიკოლოზ II-ის დროს არსებულ ოხრანკას), მეორენი მიიჩნევდნენ, რომ ოქმები წარმოადგენდა IXX საუკუნის II ნახევრის უცნობი მწერლის ფანტაზიას, მესამეთ ეგონათ და ახლაც ჰგონიათ, რომ მართლაც არსებობს რაღაც სიონისტური დაჯგუფება, რომელიც მსოფლიო ბატონობისკენ მიისწრაფის მცოცავი აგრესიით და ეს ოქმები მართლაც მათი სამოქმედო გეგმები და მიზნებია.

სკეპტიკოსებზე და ნიჰილისტებზე არ ვამბობ, მაგრამ როდესაც „სიონის უხუცესთა ოქმებს“ კითხულობ, გგონია იგი არათუ IXX-XX საუკუნეების მიჯნაზე, არამედ სულ ახლახან - XXI საუკუნეში გამოცხვა და ესესაა მელანი არ შეშრობია ქაღალდსო. ამდენად, შეთქმულებაა ეს, მწერლის ნაყოფია თუ „ოხრანკის“ შემოქმედება, დღეს-დღეობით სახეზე გვაქვს ამ ოქმების მიზანმიმართული განხორციელება ცხოვრებაში და უმეტესი წილი შესრულებულია და რაღაც ნაწილი სამომავლოდ არის შესასრულებელი.

„სიტყვები - თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა - ჩვენი ბრმა აგენტების საშუალებით ჩვენს რიგებში აყენებდა მთელს ლეგიონებს, ისინი აღტაცებით დაატარებდნენ ჩვენს დროშებს. სინამდვილეში ამ სიტყვებმა ჭიებივით გამოხრეს გოების (ამ სიტყვიდან არის წარმოებული თბილისური ჟარგონი „გოიმი“, რომლის პირვანდელი მნიშვნელობა ცხადად იკითხება ჟარგონში. მ.ბ.) კეთილდღეობა, მოსპეს მშვიდობა, სიმშვიდე, სოლიდარობა, დაანგრიეს სახელმწიფოს საფუძვლები...“

აი, ამ იდეით შემოვიდა XX საუკუნე კაცობრიობაში და დაამკვიდრა ახალი მსოფლიო წესრიგი. ამდენად, სუვერენიტეტი და სეპარატიზმი აბსტრაქტულ გაგებამდე გადაზარდეს, რათა ჭეშმარიტი ყალბისაგან ვერ გაერჩია მასებს, რათა ყველაფერი ეს დარჩენილიყო ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა მთელი წყება სხვადასხვა ქვეყნებში წარიმართა სწორედ სუვერენიტეტისა და სეპარატიზმის დილემის გამორკვევით, რამაც ფაქტიურად გახლიჩა ერთიანი და მძლავრი ტალღა ერის აღტკინებისა. ამით იმპერიული ზრახვები მაინც ხელშეუხებელი დარჩა და მთელი ყურადღება გადატანილ იქნა მხოლოდ ადამიანთა უფლებების დემაგოგიურ ლოზუნგებზე. მსოფლიო იმპერიალიზმმა მაინც აიცილა თავიდან ერთა თვითგამორკვევის გარდაუვალი მძლავრი პროცესი. ამის ნათელი დადასტურებაა ირლანდიისა და ინდოეთის მაგალითები. ამ ქვეყნებში მთავარ განხეთქილების წყაროს წარმოადგენდა რელიგიური ფაქტორი. ტერიტორიული მთლიანობა ამ ქვეყნებში დაარღვია თვით ადგილობრივ მოსახლეობათა რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრებმა. ასე გამოეყო ბრიტანეთის იმპერიას გამოყოფილი ირლანდიის სახელმწიფოს ჩრდილოეთი ნაწილი, რომლის ირლანდიური წარმოშობისავე მოსახლეობა პროტესტანტები იყვნენ, ხოლო ქვეყნის დანარჩენ ნაწილში სახლობდნენ კათოლიკები. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სეპარატისტულ ამბიციებს შესწიროდა ირლანდიის ერთიანი სახელმწიფოებრიობა. ანალოგიური მოხდა ინდოეთშიც, გამოეყო რა დამოუკიდებლობამოპოვებულ ინდოეთს მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები (ერთის მხრივ პაკისტანი, მეორეს მხრივ ბანგლადეში, რომელთა მოსახლეობის აბსოლიტურ უმრავლესობას წარმოადგენდა მუსლიმანობა, ხოლო ინდოეთის ძირითადი მოსახლეობა ინდუისტურ აღმსარებლობას მისდევდა). ისეა გადახლართული ერთმანეთში ეს ორი ცნება და ესეც მეტროპოლიის დიდი ძალისხმევით, რომ სუვერენულმა სახელმწიფომ მიიღო ის ზიანი და ზარალი, რასაც მიიღებდა მეტროპოლია, რომ არ შეესუსტებინა კოლონიურ ქვეყანათა აგრესია მათ მიმართ. ირლანდიასა და ინდოეთში ბრიტანეთის სამეფომ მთავარი აქცენტი გადაიტანა რელიგიურ ფაქტორზე, რადგან ეს საკითხი იყო სწორედ მათი აქილევსის ქუსლი და განხეთქილების საგანი, სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც დამდგარნი იყვნენ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის გზაზე, სხვა - იქაურ ყოფიერებაში არსებულ სუსტ წერტილებს ეძებდნენ, რათა ამ სუსტი წერტილებით ეწარმოებინათ სპეკულირება.

ილიას იდეა კი თამაშის წესებიდან მომდინარეობდა, იმ წესებიდან, რომელიც დამკვიდრებული იყო IXX საუკუნის ეპოქალურ მორალში.

„სიონური ოქმები“ არაერთხელ იჩენს თავს მთელს მეოცე საუკუნეში, როგორც ბოროტი მოჩვენება და აჩრდილი, როგორც ბოროტი გენიის ვერაგი შემოქმედება, რადგან ერთგან სიხარულით ამბობს: „ჩვენი ხელმძღვანელობით ხალხმა გაანადგურა არისტოკრატია, რომელიც მისი ერთადერთი დამცველი და დამპურებელი იყოო“. სწორედ ესაა ის არისტოკრატია, რომელმაც საგანმანათლებო-კულტურული მოღვაწეობით თავიანთი სამშობლოები შეამზადა ცივილიზებულ თანამედროვე ქვეყნად ჩამოსაყალიბებლად. ეს ის არისტოკრატიაა, რომელმაც გზა გაუკაფა წიგნიერების გზის გავლით თავისუფალ აზროვნებას შეჩვეოდა გონი კაცობრიული. ეს ის არისტოკრატიაა, რომელმაც ათასწლეულთა ოცნებები ტექნიზებულ რეალობად აქცია მთელი ახალი საუკუნის ფსიქიკის გამომუშავებისათვის, პროგრესულ კაცობრიობად რომ მოენათლა ბოლოს.

### 8. რატომ არ არსებობდა ქართული დისიდენტური ლიტერატურა

საბჭოეთის სივრცეში საქართველო ერთ-ერთი პერიფერიული ქვეყანა იყო. ვერ ვიტყვი, რომ იმპერიის სადამსჯელო მანქანა ასეთ სასაზღვრო ქვეყნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა-თქო, მაგრამ ფაქტია, რომ ოფიციალურ ლიტერატურულ პრესაში, ასე თუ ისე, გააპარებდნენ უკუთქმით შექმნილ ნაწარმოებებს. თითქმის ყველა ქართველი ე.წ. საბჭოთა მწერალი მიმართავდა ოპოზიციურ თემატიკას, მაგრამ ამას ისეთი ოსტატობით ასრულებდნენ, რომ მავანი და მავანი ან ვერ ამჩნევდა ქვეტექსტებს, ან უკეთეს შემთხვევაში თვალს ხუჭავდა მათზე, ისეთი მომხიბლავი იყო მხატვრული ღირებულებით ესა თუ ის ნაწარმოები.

საქართველოში განყენებულად, როგორც სისტემა, დისიდენტური ლიტერატურა ვერ ჩამოყალიბდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამის საჭიროება პრაქტიკულად არ იყო, რადგან უკუთქმებს ქართული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლებიც საუკეთესოდ ასრულებდნენ. და მეორე მიზეზიც, „პერიფერია“ თავის როლს ასრულებდა, და აი, რას:

საბჭოთა ცენზურის მსახვრალი ხელის მთელი ყურადღება გადატანილი იყო მეტროპოლიის ცენტრზე, რათა არასასურველი აზრები არ გავრცელებულიყო იმპერიის შუაგულში, ამიტომ ცენზურა მკაცრად ადევნებდა თვალს ქვეტექსტების კითხვა-ამოკითხვით თვით რუს კლასიკოსებს და აუტანელ პირობებს უქმნიდა სახელდობრ მათ. პერიფერიებში კი მსგავსი ყურადღება მოდუნებული ჰქონდათ. მათი მთავარი ინტერესის საგანს პერიფერიებში წარმოადგენდა მხოლოდ საზღვრები, ე.ი. ის, რომ ქვეყანაში არ შემოსულიყო ანტისაბჭოთა აკრძალული ლიტერატურა. ხოლო თუ მაგალითად რომელიმე კავკასიელი, ან ბალტიისპირელი მწერალი გადაუხვევდა სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებიდან, ისინი გააკონტროლებდნენ მთლიანად ამას ცენტრალური სათარგმნელო ბიუროთი და ასევე საზღვრებზე მათი დალუქვით. საბჭოთა იდეოლოგიისათვის გაცილებით საშიში იყო ბორის პასტერნაკი და ანნა ახმატოვა, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდია და გალაკტიონ ტაბიძე. ბოლოს და ბოლოს არ გადათარგმნიდნენ გამსახურდიას და ტაბიძეს და აკრძალავდნენ მათი წიგნების გაჟონვას საზღვარგარეთ, ხოლო პასტერნაკი და ახმატოვა თვით მრავალმილიონიანი მკითხველი საზოგადოების ავტორები იყვნენ და საზღვარგარეთ თუ არა, მათი შემოქმედება შიგნიდან ააფეთქებდა იმპერიას. ამიტომ მიიღეს საგანგებო ზომები ალექსანდრ სოლჟენიცინის მიმართ, და ამიტომ მოუყრუეს გარკვეულ დრომდე ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მოღვაწეობას.

როდესაც გადაჭარბებას ექნებოდა ადგილი, უმალ აპატიმრებდნენ მთელ ტირაჟს და ანადგურებდნენ მას, - ეს იშვიათად ხდებოდა პერიფერიაში, ხშირ შემთხვევებში კი რუსეთში. იმართებოდა საჩვენებელი პროცესები და საბოლოო ჯამში ავტორს აძევებდნენ საბჭოეთიდან, ან აციმბირებდნენ, ან არადა აპატიმრებდნენ, რის შემდეგაც საგიჟეებში ამწყვდევდნენ.

საქართველოში, როგორც უკვე აღვნიშნე, არ იყო საჭიროება არალეგალური ლიტერატურის შექმნისა, რუსეთში კი დისიდენტური ლიტერატურა კი არა მხოლოდ, არამედ მათ გასავრცელებლად და მოსახლეობაში პოპულარიზაციის მიზნით მეთოდური სისტემაც კი ჩამოყალიბდა. ქართველ დისიდენტებს უმთავრესად ქართულ ყაიდაზე გადმოჰქონდათ რუსული გამოცდილება. ქართულ ენაზე დისიდენტური ჟანრის ბიბლიოგრაფიული მასალების გამრავლებისა და ყოვლისმომცველობით წარმოჩინებისათვის მთელი დატვირთვა მთარგმნელობითმა საქმიანობამ აიღო თავის თავზე. ნაკლებად იქმნებოდა სუფთა დისიდენტური, ანუ აშკარა ანტისაბჭოთა ლიტერატურა საქართველოში. თითზე ჩამოსათვლელია ასეთი ნაწარმოებები და უნდა ითქვას, რომ ძირითადი მათი სტრუქტურა, ლექსი იქნებოდა ეს თუ მოთხრობა, მკაცრი ჟურნალიზმით საზრდოობდა და ამდენად ავტორთა მიზანი არ იყო მხატვრული ხერხების ძიება, მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ყველა ხერხებით ემხილებინათ საბჭოთა სინამდვილე. როდესაც ვკითხულობთ თვითგამოცემა „ოქროს საწმისის“ ნომრებს, ამაში ვრწმუნდებით. უმთავრესად კი საგამომცემლო ღერძი ქართველ კლასიკოს მწერლების თარგზე იყო მოჭრილი და მათი უჯრაში შენახული ლიტერატურის სამზეოზე გამოტანას ემსახურებოდა. იყო აგრეთვე სპეციალურად შერჩეული ჟანრები და ლიტერატურული მიმდინარეობანი, რომლებსაც არ სწყალობდა ოფიციოზი და მიუღებელი იყო სოცრეალიზმისთვის. ამით ამოიწურებოდა დისიდენტური მიმართულების ლიტერატურა ჩვენში.

ერთი რამ უნდა ითქვას საგანგებოდ, ზვიად გამსახურდია 70-იან წლებში ქმნის ორ-სამ ლიტერატურულ ზღაპარს, ორი მათგანი საეტაპო მნიშვნელობის გამოდგა. ესენია „სასწორთვალა და აუწონავი ხმის ჭაბუკი“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1971 წელს და „მგელთავა და ამაღლების ციხე“, ეს კი დაიბეჭდა თვითგამოცემა „ოქროს საწმისში“ 1976 წელს.

სასწორთვალას ზღაპარში ლიტერატურული ხერხით - იგავითა და ალეგორიით მხილებულია არსებული ხელისუფლება და მისი შინაარსობრივი წყობა და დასახული აქვს სამომავლო პერსპექტივაში საბჭოეთის ნგრევა. როდესაც ვკითხულობ ამ ზღაპარს, ძალაუნებურად მახსენდება ბოსხისა და ბრეიგელის ფერწერული დეტალები და სალვადორ დალისეული სივრცე და ატმოსფერო. იგი ერთგვარი სინთეზია სიურეალიზმის, დადაიზმისა და ექსპრესიონიზმისა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სიურეალიზმი პროკომუნისტურ პლატფორმაზე იდგა, ამ ნაწარმოებში პოეტური მეტყველებაა და ჩვენს თვალწინ წარმოჩნდება მწერალი და არა პოლიტიკოსი, მწერალი და არა მწერლის შვილი, რომელმაც მამის კვალობაზე დაიწყო წერა.

ასეთივე ლიტერატურათმცოდნეობითი შეფასება უნდა მიეცეს მგელთავას ზღაპარს. მხოლოდ აქ უნდა დავამატოთ ის ნიუანსი, რის შესახებაც თავში გვქონდა საუბარი. ზვიადი ამ ნაწარმოებში ატარებს ეროვნული იდეოლოგიის ხაზსა და ღერძს, უბრუნდება რა მითოსის თემას - ბედგაუტეხელი ციხის ალეგორიას. ზვიადთან ამ ციხეს ამაღლების ციხე ეწოდა. საყურადღებოა თვით ზღაპრის დასაწყისი, სადაც მოცემულია ფორმულა წარმართული პერიოდის ეროვნული იდეოლოგიისა. ალვის ხე ბერმუხათი (კონსტანტინესეული „ცხრამუხას“ ადეკვატით) იცვლება... და აი, ბედისწერა ეროვნული მოძრაობისა.

„...მთის ძირში ჭალა იყო, რომელსაც ჭინკების ჭალას ეძახდა ხალხი. ამ ჭალაში ერთი წვერწითელა (საგულისხმოა ეს ნიუანსი, რაღაც ასოციაციით შარლ პეროს ზღაპარ „ცისფერწვერას“ მაგონებს. მ.ბ.) ჯადოქარი ცხოვრობდა. ერთ ფერიცვალება ღამეს კიბე აღარ გადმოვიდა ციდან. ამით ისარგებლა ჯადოქარმა, აცოცდა მთაზე, მიეპარა ბერმუხას, შავი კატა დაკლა მის ძირში, ასხურა ფესვებს სისხლი და მიიმალა.

ბერმუხა გახმა. ხალხი ძრწოლამ შეიპყრო. ყველა მოუთმენლად ელოდა ფერიცვალება ღამეს, სურდათ ენახათ, კვლავ გადმოვიდოდნენ თუ არა ციდან ცეცხლის შვილები.

მოაწია ფერიცვალება ღამემ. ცეცხლის კიბის გადმოსვლის ნაცვლად ატყდა საშინელი ჭექა-ქუხილი, გამხმარ ბერმუხას მეხი დაეცა და ერთიანად დაწვა. სამაგიეროდ გარიჟრაჟზე მის ადგილას ხალხმა დაინახა ალმასის ვეება ციხე-კოშკი, რომელსაც ამაღლების ციხე დაარქვეს".

ასეთია იდეა, რეალობა და იდეოლოგია ზვიადის მიხედვით.

უნდა ითქვას, რომ პოეტური ქმნილებებიც თავისებური ჰქონდა როგორც ზ. გამსახურდიას, ასევე მ. კოსტავას. მათი ლირიკა მძიმეა, დატვირთულია ზოგან მკაცრი ჟურნალიზმით, ზოგან კი ფილოსოფიით. ამაში თვით უოლტ უიტმანის გამსახურდიასეული თარგმანები გვარწმუნებენ. პოეზიაში ჟურნალიზმისა და ფილოსოფიური ტრაქტატების დამკვიდრება ერთის მხრივ, როგორც უკვე ითქვა, უ. უიტმანიდან მომდინარეობს, მეორეს მხრივ კი, სიბრძნის ტვირთის გამოვლინება, ფ. ნიცშესეული გაკვეთილების შედეგია. ამ შემთხვევაშიც ზვიადიც და მერაბიც რადიკალურად განსხვავდებოდნენ მათი თანამედროვე ქართველი პოეტებისაგან. მათი პოეზია გამოირჩევა ტაბუდადებული თემების, იდეების, ცნებებისა და რელიგიური მისტიციზმის სფეროს წარმოჩინებით. როგორც ზ. გამსახურდიას, ასევე მ. კოსტავას ლექსების წამყვანი ხაზი გრაალის თემატიკაა. მერაბის პოეზიისაგან განსხვავებით ზვიადის პოეზიაში მეცნიერული საკითხების განხილვაა წინწამოწეული, ანუ ე.წ. მეცნიერული პოეზიაა. ამითაა დამძიმებული მათი ხელოვნება და მოკლებულია ჰაეროვან სისადავეს. ვერ იტყვი, რომ ისინი ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი.

სამაგიეროდ, გასაოცრად კითხვადი და მიმზიდველია მერაბ კოსტავას მუსიკათმცოდნეობის დარგში შექმნილი წერილები და ზვიად გამსახურდიას ლიტერატურათმცოდნეობითი და რუსთველოლოგიური გამოკვლევები. და მაინც, ეს არაა დისიდენტური ლიტერატურა, როგორც კლასიკური ლიტერატურის მიმდინარეობითი განშტოება.

ასევე უნდა ითქვას, რომ ქართული დისიდენტური მოძრაობის დანარჩენ წარმომადგენლებს საბჭოთა პრესა მეტ-ნაკლებად მაინც წყალობდა, იბეჭდებოდა ნოდარ წულეისკირის ნოველები, იდგმებოდა და წარმატებითაც გურამ დოჩანაშვილის პიესები, რელიგიური განხრით საპატრიარქოს გამომცემლობა მჭარველობდა ვიქტორ რცხილაძეს, იბეჭდებოდა რა მისი თეოლოგიური გამოკვლევები სისტემატიურად.

**მ. ბეჟანიშვილი**
**(დასაწყისი „მამული“ №51, გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

შემდეგ ნომერში:
მეგობრები, მტრები და შემოგზავნილები

# პოლიტიკა და პოეზია



**5 მაისს, საღამოს, ჩვენს კორესპონდენტს უცნობმა ადამიანმა გადასცა ორი ცალი DVD-ის დისკი. რედაქციაში გაშიფვრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მასზე ჩაწერილი იყო სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის, უგულავას და ახალაიას საუბარი ბობოყვათის რეზიდენციაში, რომელიც ფარული კამერით არის გადაღებული. ჩვენ გთავაზობთ ამ ფარული ვიდეოჩანაწერის სრულ სტენოგრამას. აქვე გეტყვით, რომ საუბრის ერთი ნაწილი 4 მაისს, გვიან ღამით არის ჩაწერილი, მეორე ნაწილი კი 5 მაისს, დილის 6-დან 8 საათამდე. ფარული ჩანაწერების სტენოგრამის წაკითხვის შემდეგ მკითხველისათვის ცხადი გახდება, თუ რა მოხდა სინამდვილეში 2009 წლის 5 მაისს მუხროვანში.**



# პრეზიდენტ სააკაშვილის საუბრის ფარული, სკანდალური ჩანაწერი











**სააკაშვილი:** - რაღაც უნდა ვქნათ, თორემ ეს გაფუჭდება ამას... წამლებიც აღარ მაწყნარებს უკვე! უნდა ვქნათ რაღაც... არ იმღერიან? როგორ მეზიზღებიან ყველანი, მეზიზღებიან, მძულან... ვაიმე, უნდა მოვიფიქროთ რამე...

**უგულავა:** - უნდა დავარბიოთ, სხვა გზა აღარ გვაქვს... თუ არ დავარბიეთ, ეგენი საერთოდ „გაბლატავდებიან“, თუ ძალა არ ვაჩვენეთ, „ვაფშე“ გადაგვყლაპავენ ეგენი, როდემდე უნდა გვეჩხირებოდეს ეს საკნები თვალში, ნერვებს მიშლის უკვე. ყელში ამოვედი...

**სააკაშვილი:** - ჩემი ნერვების ამბავი ისედაც ხომ იცით, ყველამ...

**მერაბიშვილი:** - დარბევით ვერ გავრეკავთ, ხომ ხედავთ... ყოველ ღამე ვიღაცებს ვცემთ, წამალი შეგვაქვს საკნებში, მაგრამ არა აქვს ამას ეფექტი, შედეგი არ მოაქვს საერთოდ...

**უგულავა:** - ეგ პატარ-პატარა ცემები „ვაფშე“ ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მე თუ მკითხავ, უფრო ოპოზიციონერებს, არ ეშინიათ აღარც...

**ახალაია:** - ჩემი აზრით, რომ უნდა დავაჭიროთ მაგენი, ტო... ვინ არიან მაგენი, ქუჩაში რომ ვერ გამოდიოდნენ მაგათი გულისთვის წესიერად? მე ასე ვიზამდი, რომ მაგათ დავუფლეთ...

**სააკაშვილი:** - ბიჭო, მე რომ მეზიზღება ეგენი, ისე რომელიც გამეზიზღება ეს ხალხი... ხომ იცით, როგორ მძულს მაგენი. ერთი სული მაქვს, გამოვიყვანო სპეცრაზმი და თავებს დავუფშვნეთ... კოჭებს დავუმტვრევ ყველას, ხომ იცით, როგორ მეზიზღება ეგენი... ახლა რომ დავარბიო, ...

**მერაბიშვილი:** - საკნები შეიძლება ...ეგ შეიძლება მარტო... ხალხის დარბევას ვერ შევძლებთ, არ გამოვა ეგა!

**უგულავა:** - რატომ, რატომ?

**მერაბიშვილი:** - არ გვეყოფა ძალა; მარტო „სპეცნაზი“ არ ეყოფა... ჯარი არ გამოვა მაგათ წინააღმდეგ, ჯარი უარს იტყვის... აგერ თქვი, ბაჩო, რა ხდება ჯარში, როგორ ხდება?

**ახალაია:** - არ გამოვლენ ეგენი, ხალხს არ იმას იზამენ... მაქსიმუმ 200-300 კაცი შეიძლება გამოვიყვანოთ, დანარჩენები ატრ...ებენ, არ გამოვლენ..

**უგულავა:** - რატომ, ტო, რა უნდათ, რა უნდათ? რა, პატრიოტები არიან ვითომ? რა, რა ის არის, ტო?

**მერაბიშვილი:** - აი, მიშას იმის მერე, გორში რო იყო, მიშა რო იყო მიწაზე რა... იმის მერე აჭრილები არიან ჯარში, მიშა...

**სააკაშვილი:** - მეც ვიცი, კი, ვიცი ასე მანდ... მაინც მთავარსარდალი მქვია, ხომ ასეა თუ ისეა, მთავარსარდალი მქვია მაინც და რომ გავცე ბრძანება, რომ გამოვიდნენ ეგენი, მეოთხე ბრიგადა რომ გამოვიდეს „სპეცნაზის“ ფორმებში და რომ გადაუარონ ამათ? გორი... რა მექნა, შემეშინდა, ხო იცი, რა... თუ ცოცხალი არ ვიქნებოდი, რად მინდა, ამ ქვეყნის დედაც...!

**ახალაია:** - პენიტენციის „სპეცნაზს“ გამოვიყვან მე, რა! სასჯელაღსრულების ხალხს... გამოვლენ ეგენი, 7-ში რომ გამოვიდნენ რა... სოზარა რომ მიჩექმეს...

**მერაბიშვილი:** - რაღაც მიზეზი მაინც უნდა იყოს, რომ გამოვიყვანოთ და დავარბიოთ ესენი, რამე მიზეზი უნდა იყოს. ისე, „ზაპროსტა“, ხომ ვერ გამოხვალ და ვერ დაერევი...

**უგულავა:** - ერთი თვეა, ქუჩაში დგანან, მაგათ ახლა ნერვები აქვთ დაწყვეტაზე. პატარა პროვოკაცია უნდა და ავარდებიან ეგრევე... პატარა პროვოკაციაზე უნდა წამოვიგდოთ, რა...

**მერაბიშვილი:** - არ ეგებიან პროვოკაციაზე, ხომ ხედავ? რასაც ჩვენ მაგათ ვუკეთებთ, რას არ ვუკეთებთ, მარა არ მოდიან პროვოკაციაზე... ნერვების პრობლემა მაგათ არა აქვთ!

**სააკაშვილი:** - ეს ფეკალიების სროლა რამ მოგაფიქრებინათ საკნებზე? *(აქ ისმის სააკაშვილის გადახარხარება)* საიდან მოიტანეთ ის მძღ...რი, საიდან მოიფიქრეთ, ბიჭო, რა ის იყო... *(ისევ სააკაშვილის ხარხარი ისმის).*

**მერაბიშვილი:** - ეგ, ეგ, ეგ... ჰა-ჰა-ჰააა! უტიაშვილმა მოიფიქრა ეგა, მღძ...რი ვესროლოთო, მაგან ისა ქნა, რა...

**სააკაშვილი:** - პარკებში როგორ მოაგროვეთ ეგ მძღ...რი, ერთი რა, ვაიმე.... *(ისევ ხმამაღლა ხარხარი სააკაშვილის).*

**უგულავა:** - ვაჰ, ჩემი, ვააა, ამის დედა...

**მერაბიშვილი:** - ისა, რა, ის... არ იყო ადვილი, სხვათაშორის, მაგის ისა... ვერ ვიღაცას ხომ უნდა ავლო ტუალეტიდან ეგ მძღ...რი, მერე პარკებში ხომ უნდა გაგვენაწილებინა, მანქანით ხომ უნდა წაგვეღო და მაგას ვინ იზამდა? ვის უნდა ახლა მძღ... ის ტარება მანქანით, მაგი...

**ახალაია:** - ბიჭო, რა ცირკია, მაგის.... უტიაშვილმა მოიფიქრა ეგა? მაგარი „ინტელექტუალია“, ძმაო.

*(სააკაშვილი იცინის, იცინის, კვდება სიცილით!)*

**მერაბიშვილი:** - მერე ცოტა ბევრიც ხომ უნდა ყოფილიყო ეგ მძ... რა. ყველა საკნისთვის უნდა გვქონოდა, ეგრე იყო ლაპარაკი, რა... მერე მაგდენ მძღ...ის მოგროვება ხომ... დიდი შავი პარკები რომ არის, „ლიდო“ რომ აწყვია ეგა... დონაძე გავგზავნეთ, რომ ... ტუალეტში, უნდა ჩაეყარა ის პარკი მაგის უნიტაზში...

*(ისმის უგულავას ხმამაღალი სიცილი)*

**სააკაშვილი:** - მერე, მერე... რატომ არა, რატომ არა?

**მერაბიშვილი:** - მერე წაიღო დონაძემ პარკი, რა... მოიტანა მერე ერთი საათში კახას იმით სავსე! თავიდან ხელით გადავანაწილეთ პარკებში... ეგრე ჩვენს ხალხს იმის გვქონდა, გავატანეთ რა...

**სააკაშვილი:** - ესე იგი, ერთობით, ერთობით, რატომაც არა...

**უგულავა:** - კარგი, გვეყოფა ახლა ეგა, რა მძღ...ზე ლაპარაკობ ახლა, ჩვენ თვითონ ...

**ახალაია:** - მე გამოვიყვან პენიტენციის სპეცრაზმს რა. მაგის გარდა, კრიმინალ ბიჭები არიან შიგად, ერთი სული აქვთ, ძმაო, როდის იმას ...

**სააკაშვილი:** - ეგენი ხვალ აპირებენ მაგისტრალების გადაკეტვას. ეს იქნება ძალიან მძიმე. გარეთაც და შიგნითაც ძალიან მძიმე იქნება ეს ჩემთვის. რეზონანსი ექნება ამას... უფრო შეგულიანდებიან ეგენი, რომ გადაკეტავენ! მე ვერ დავუშვებ, რომ... მაგათ მაგისტრალებს და ავტობანებს არ გადავაკეტინებ. ეს იქნება „პაზორი“, რომ მაგათ გააკეთონ. ვერ ავიტან ამას, ვერ ვუყურებ ისე.... რომ გამოვიდეს ეს, რომ...

**უგულავა:** - ესეც თუ ვერ ჩავშალეთ, გაბანძულები ვართ „ვაფშე“, წარმოიდგინე... თან ეს ნატო-ს ისინიც რომ არიან ჩამოსულები, მაგათ თვალში ეგ იქნება კატასტროფა, რომ მაგათ ნატახტართან და გომბორის ტეკი რომ გადაკეტონ, ეს იქნება პრეცედენტი, რა! მაგის დაშვება ჩვენი მხრიდან იქნება, რომ მაშინ დავიხუროთ ქუდები, რა...

**მერაბიშვილი:** - ეს არის... უნდა ჩავშალოთ ეს ისე, რომ რაც შეიძლება, ხმაური არ მოყვეს, რამეს რომ...

**ახალაია:** - როგორ უნდა ჩაშალო ეგა... მაინც იქამდე მივდივართ, რომ გამოიყვანო მაშინ „სპეცნაზი“ და დაშალო, რა... ან ჯარმა თვითონ უნდა იმას ქნას ეგა...

**მერაბიშვილი:** - ეს ნატო-ს წვრთნები უნდა გამოვიყენოთ მაგისთვის, რაღაც... ვთქვათ, ჯარმა თვითონ ვერ აიტანა, რომ ამ ნატო-ს შეეშალოს ხელი და რომ, ვთქვათ, თვითონ ჯარი, რიგითი ჯარისკაცები არიან დაინტერესებულნი, რომ ვითომ ასეთ დროს არ შეიძლება მაგისტრალების გადაკეტვა, ვთქვათ, ვითომ იქ უნდა გაიაროს ნატო-ს ტექნიკამ და ჯარმა არ დაუშვა, რომ გზა იყოს გადაკეტილი...

**სააკაშვილი:** - ჯარი რომ გამოვიდეს ვითომ და დაშალოს?.. ჯარი არ გამოვა, ხომ ვიცით ეს და ბრძანება რომ გავცეთ, ვთქვათ, არ წავიდა ჯარი, მერე, საერთოდ, გავფუჭდებით... მე არ ავიტან, რომ აქ ნატო-ს წვრთნები გაიმართოს და თბილისის შემოსასვლელები იყოს გადაკეტილი, ამას არ დავუშვებ!

**ახალაია:** - ეს არის ბოლო ვარიანტი, სხვა თუ არაფერი... რა გზაა კიდევ, რომ? ფარული ჩანაწერები რომ გავავრცელოთ ისევ, ვთქვათ, რაღაც ვითომ რუსეთის ამბავი და ოპოზიციას რომ დავარტყათ „მოშნად“, როგორ იქნება, ეს გზა არის, მე მგონი...

**მერაბიშვილი:** - აღარ სჯერა ამ „სკოლი ზაპისების“ არავის, დაგვცინიან ყველა, ხომ ხედავთ? მაგათ ხალხს ვერ იმას იზამ, ვერ მოატყუებ...

**უგულავა:** - მართალია, იმას აღარ ჭამს არავინ უკვე... არც ისე რო...

**მერაბიშვილი:** - ხომ ხედავ, იმ გველესიანის და იმების ამბავი რომ გავუშვით, არ დაიჯერა არავინ, ხალხის ნერვები არ არის ამაზე... იცინიან მარტო ამაზე...

**სააკაშვილი:** - საჭიროდ არის გადასაწყვეტი, რამე არის გადასაწყვეტი... თბილისის შემოსასვლელები არ უნდა დაიკეტოს არაფრით, გაიგეთ? გესმით ესა? პარლამენტი და კანცელარია რომ მაგათ ჰქონდეს, რა, გვყავდეთ ეს „ბაზორიო“. კიდევ არ გვინდა ახლა ასეთ...

**უგულავა:** - მერია რა? მერიაც არ მუშაობს, ფაქტიურად, იქაც...

**სააკაშვილი:** - მოსაფიქრებელია, რა... გადავწყვიტოთ, თორემ ეს იქნება უმძიმესი... მაგას არ დავუშვებ, არ ვაქნევინოთ ეს, თორემ ჩათვალეთ, რომ... მე მაქვს ასეთი აზრი... უნდა გამოვიყვანოთ ჯარი, 200, 500 კაცი მაინც უნდა გამოვიყვანოთ და გავწმინდოთ ესენი რა... ვთქვათ, გომბორის ტეკს რომ გადაკეტავენ, ჯარმა გახსნას გზა...

**ახალაია:** - „სპეცნაზი“ რომ გამოვიყვანოთ, ჯობია, მე მგონი, „სპეცნაზი“ იმას იზამს... მარტო დაშლა არაფერი არ არის. უნდა ვცემოთ ეგენი მაგრად, ძვლების ჩამტვრევა უნდა წავიდეს რა... ოპოზიციის ლიდერები რომ იმას ვქნათ, რამდენიმე კაცი რომ მაგრად დავჟეჟოთ, რა...

**სააკაშვილი:** - არა, ჯარმა უნდა გააკეთოს... რომ ჯარმა არ დაუშვა ნატო-ს წვრთნების ჩაშლა და ჯარი გამოვიდა... ვანო...

**უგულავა:** - რომელი ნაწილია ამაზე წამსვლელი, რომელი ბრიგადა უფრო გამოვა ამაზე...

**ახალაია:** - ახლა ასე ძნელია თქმა... მე-2 და მე-4 ბრიგადა ამაზე არ წამოვა! გამორიცხულია...

**მერაბიშვილი:** - ასე, მე მგონი, მუხროვანის ნაწილი უფრო ის არის, რა... გორის სატანკო ბრიგადა სადაც არის...

**სააკაშვილი:** - ეს კარგად არის მოსაფიქრებელი, რომ რამე იაღლიში გამოირიცხოს. რამე ის არ იყოს, თორემ მერე აირევა რა... მე უნდა ვიცოდე, კონკრეტულად რომელ ნაწილზე გავცე ბრძანება, რომ რაიმე გაუთვალისწინებელი არ იყოს...

**მერაბიშვილი:** - სიტუაცია ისე შეიძლება წავიდეს...

●

**აი, აქ წყდება ფარული ჩანაწერის ეს ნაწილი, რომელიც, 4 მაისის ღამეს სააკაშვილის ბობოყვათის რეზიდენციაშია ჩაწერილი.**

**ფარული ჩანაწერების მეორე ნაწილში, რომელიც 5 მაისის დილის 6-დან 8 საათამდე ასევე ბობოყვათის რეზიდენციაშია გაკეთებული, არსად ჩანან თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბაჩო ახალაია და თბილისის მერი გიგი უგულავა. სააკაშვილი-მერაბიშვილის დუეტს ამჯერად იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი შემომატებია.**

*ფარული ჩანაწერი მერაბიშვილის ლაპარაკით იწყება.*

**მერაბიშვილი:** - ის მოხდა ზუსტად, რისიც გვეშინოდა, ასე მოხდა, რა...

**სააკაშვილი:** - როგორ, როგორ? ვინ აგდიან ესენი, რომ ჩემი ბრძანების შესრულებაზე არ მიდიან? რაო? ხალხზე ხელს ვერ ავწევთო? ვინ არის ხალხი? ვინ არიან ესენი, საერთოდ? როდიდან გათამამდნენ ესენი ასე, რომ ხმას იღებენ? ერთხელ მნახეს მიწაზე დავარდნილი და „გაბლატავდნენ“? ვინ არიან ესენი, რომ ჩემს ბრძანებას „იკიდებენ“?

**ადეიშვილი:** - ჯარი რომ არ იზამდა, ცხადი იყო... არ უნდა გადაგეწყვიტათ ასე. მე რომ ვყოფილიყავი, მიშა, გეტყოდი, რომ ასე არ გამოვამეთქი, რა... არ იყო ეს გადაწყვეტილება მისაღები.

**მერაბიშვილი:** - მუხროვანის ხალხმა, ჩვენ აქედან არ გავალთო, ჩვენ თუ გვაიძულებთ ხალხის დარბევას, დაუმორჩილებლობას გამოვაცხადებთ, ჩვენ აქედან არ გავალთო, ორთაჭალის ბრიგადაც ამას იძახის, ჩვენ არ იმას ვიზამთო, რა....

**სააკაშვილი:** - სად არის ახალაია? სად არის? *(აქ სააკაშვილი უკვე ღრიალებს)* რისთვის დავნიშნე იქ ეგ ძმები, რომ ჯარმა ასე გაბედოს და ხმა ამოიღოს? შეკრიბოს „სპეცნაზი“ ახალაიამ და შევარდეს მუხროვანის ნაწილში, არ ვიცი, რაც გინდათ, ქენით, ჭკუა ასწავლეთ, გადაუარეთ...

**ადეიშვილი:** - ისინიც მაგას ელოდებიან, რომ შეიძლება, ახალაია „სპეცნაზით“ შემოვიდესო... თავდაცვის რეჟიმში ჰყავთ გადაყვანილი ბატალიონი...

**სააკაშვილი:** - რას ითხოვენ, რა უნდათ, რომ ამბოხს ვაწყობთო თუ რა უნდათ?

**მერაბიშვილი:** - არაფერი მოთხოვნა არა აქვთ, ერთადერთი ის არის, რომ ჩვენ აქედან არ გავალთო და ხალხზე არ გავიწევთო, რა... ჩვენ არ გავალთ ნაწილიდანო.

**სააკაშვილი:** - რა ვქნათ ახლა? ახლა ხალხმა რომ გაიგოს, რომ მაგათი დარბევის ბრძანება გავეცი და ჯარმა არ შეასრულა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? მიშას ჯარი გაწუდგაო და დაიწყებენ... მთელი საქართველო აქ გამოვა, გასაქცევი გავხდებით აქედან ყველა, გაგვყრიან აქედან... ეს რომ გახმაურდეს ახლა, ეს რომ მივიდეს ხალხამდე, ხომ...

**ადეიშვილი:** - ჯობია, შიგნით მოვაგვაროთ წყნარად ყველაფერი, რომ არ გახმაურდეს... სიხარულიძე შევიდეს და დააწყნაროს, რომ არაფერი არ ხდება... რომ მოვაგვაროთ შიგნიდან რა... არ გავიდეს გარეთ ამბავი, როგორც...

**სააკაშვილი:** - არ დაიმალება ესა! შენ როგორ გგონია, რომ ჯარმა უარი თქვა ჩემს ბრძანებაზე, რომ ჯარი არ წავიდა ხალხის იმაზე და ეს ამბავი დაიმალება? ოპოზიცია ამას ვერ გაიგებს და ეგენი ამაზე პიარს არ ააგორებენ, რომ მიშა დამთავრდა და ასე შემდეგ? ეგ გასკდება, ეს ამბავი და...

**მერაბიშვილი:** - თუ ბრძანებას მოვხსნით, რომ არ არის საჭირო ხალხის დაშლა და რომ თუ გადაკეტავენ გომბორის ტეკს და იმას, ამით არაფერი. რომ ვუთხრათ, რომ ბრძანება მოიხსნა, ხმას არ ამოიღებენ და ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებენ, რა...

**ადეიშვილი:** - შევიდეს სიხარულიძე მარტო, ახალაიას გარეშე შევიდეს... უთხრას, რომ მორჩა, რა... რომ არ ყოფილა ეგ ბრძანება, რაღაც გაუგებრობა იყო და ხალხის დარბევას არავინ აიძულებს და დაწყნარდებიან, ჩუმად დამთავრდება, რა...

**სააკაშვილი:** - რაა? ეგ შევარჩინო მაგათ, რომ ფეხებზე დამიკიდეს და ჩემი ბრძანება იმასა ქნეს, არ შეასრულეს? ამაზე ახლა ჩვენ რომ გავჩუმდეთ და თვალი დავხუჭოთ, მერე ხომ მთელი ჯარი ამას გაიგებს და ხომ მოგვაჯდებიან თავზე? ნურას უკაცრავად...

**ადეიშვილი:** - რა ვქნათ, აბა? ახლა ამაზე ვთქვათ, რომ ამბოხი იყო ჯარში და რაღაცა?... მერე ამას ხომ საფუძველი უნდა ჰქონდეს? რა ვთქვათ, რომ ჯარს ხალხის დარბევა უბრძანეს და ამიტომ ამბოხი მოაწყვესო?

**მერაბიშვილი:** - ახლა ერთადერთი ვარიანტი ის არის, რომ ამას მოვაბათ რუსული კუდი, რომ თითქოს რუსები მოდიოდნენ ამათთან შეთანხმებით და უნდა დავემხეთ ჩვენ, რომ მერე...

**ადეიშვილი:** - შენ ახლა იმას ამბობ, ვანო, რომ ჩვენს ჯარს, ნუ, მუხროვანის ნაწილს რუსებთან ერთად უნდა აეღო თბილისი? აგვისტოს ომი იყო რუსებთან და ბიჭები გაწყდნენ ცხინვალში და ახლა ვინ დაიჯერებს იმას, რომ ჩვენი ჯარი რუსებს შეეკრა?

*(კადრში ჩანს, რომ სააკაშვილი ოთახში ბოლთას სცემს და კედელს ურტყამს მუშტებს).*

**მერაბიშვილი:** - აბა სხვა რა ის არის? თუ ამბოხის სახე არ მივეცით ამას და არ შევფუთეთ, რომ რუსების კვალია და რომ უნდა აეღოთ თბილისი, აბა, ისე რა ვქნათ?

**ადეიშვილი:** - არ დაიჯერებს ამას არავინ და დაგვცინებენ ისევ? ნატო-ს ხალხიც აქ არის ჩამოსული და ისინი დაიჯერებენ, ახლა იმას, რომ, ვთქვათ, დღეს, 5 მაისს, ქართული ჯარის ნაწილებს რუსებთან ერთად თბილისი უნდა აეღოთ და ჩვენ ამის შესახებ ვიცოდით და არაფერი გავაკეთეთ? ამას ვინ დაიჯერებს? რომ ვიცოდით, რომ რუსები აპირებდნენ მუხროვანის ნაწილთან ერთად ჩვენს დამხობას, ჩვენ ვიცოდით და არც საგანგებო მდგომარეობა გამოვაცხადეთ, ყაზარმულიც კი არ გამოვაცხადეთ?

**მერაბიშვილი:** - აბა, თქვი შენ მაშინ, რომ რაღაცა ვქნათ და გავაკეთოთ...

**სააკაშვილი:** - ახლა მომისმინეთ ორივემ კარგად და რასაც ვიტყვი, ის გააკეთეთ ყველამ. ახლა აქედან დაურეკე უტიაშვილს და უთხარი, რომ სასწრაფოდ, ერთ საათში რომ მზად იყოს, გააკეთონ ყველაფერი და დაწერონ სცენარი და გადაიღონ თითქოს ფარული ჩანაწერი...

**მერაბიშვილი:** - უტიაშვილი რისი სცენარის დამდგმელია, მაგრამ ხომ იცი... ცოლი წერს მაგისი ეგეთ სცენარებს რა...

**სააკაშვილი:** - ვინც უნდა, იმან დაწეროს და გადაიღონ სასწრაფოდ, რომ ვითომ ამბოხი მზადდებოდა და რუსები უნდა შემოსულიყვნენ! გასაგებია? ახლა ერთ საათში რისი გაკეთებაც შეიძლება მხოლოდ ეს არის! გადაიღონ სასწრაფოდ. ვინ დაიჯერებს, არ მაინტერესებს, ნუ დაიჯერებენ, მაგრამ ეს პიარი ახლა სასწრაფოდ, ერთ საათში უნდა ვქნათ ყველაფერი...

**ადეიშვილი:** - როგორ შევფუთოთ ახლა ეს ყველაფერი, როგორ იმას ვქნათ, რომ, ფაქტიურად, ეს გამოდის, რომ ჯარს ვაცხადებთ მოღალატედ, რა...

**მერაბიშვილი:** - ეგრე იმას ვშვრებით, რომ...

**სააკაშვილი:** - არ მაინტერესებს ახლა, მე ეს არაფერი! გამოიყვანეთ ვინმე და ალაპარაკეთ, რომ ჯარში უნდა მოხდეს ამბოხება და რომ რუსები უნდა შემოვიდნენ და დამამხონ. გამოიყვანეთ ვინმე, ჩაწერეთ და ილაპარაკოს...

**მერაბიშვილი:** - თუ ასე იქნება, მაშინ ჩვენ ის შეგვიძლია, რომ 2001 წელს მუხროვანში რომ მოხდა ამბოხი, ის ხალხი ამოვქექოთ და მაგათ სახელები გავიხსენოთ, რომ ვითომ ეგენი ისევ ამზადებდნენ.

**ადეიშვილი:** - ოთანაძე და წკრიალაშვილი?

**სააკაშვილი:** - ეგენი, ხო, ეგენი განაწყენებულები არიან და ვითომ გადაწყვიტეს შურისძიება.

„გენერალთა კლუბი“ გაიყვანეთ საქმეში... ყარყარაშვილი და თევზაძე ჩართეთ, გახოკიძეც, რომ ვითომ ეგენი...

**მერაბიშვილი:** - ეგენი მაშინ, გველუკაშვილის იმის დროსაც გავაჟღერეთ, ეგენიც, კობალაძეც, მაგრამ არ გამოვიდა, რა... მაშინ იმას ქნა ხალხმა...

**სააკაშვილი:** - ახლა ამ საქმეში გარიეთ და მერე თუ უნდა იმართლონ თავი, რაც უნდა ქნან. კობალაძე გაიყვანეთ საქმეში, მაგის დაჭერა დიდი ხანია, მე მინდა ისედაც...

**მერაბიშვილი:** - შევფუთოთ, რომ ეს დაუმორჩილებლობა ვითომ ამბოხი იყო და ჩვენ გავანეიტრალეთ?

**სააკაშვილი:** - ასე უნდა მოხდეს, რომ ვითომ მე შევედი იქ და განვმუხტე სიტუაცია, როგორც განმუხურში, რომ ვითომ იყო ამბოხი, მაგრამ მე არ შემეშინდა და მაინც შევედი იქ... ასე უნდა შევფუთოთ, რომ ჩვენი პიარი გახდეს ეს..

**ადეიშვილი:** - რამდენი ხანი გვაქვს, რომ მოვამზადოთ ეს ისა?..

**სააკაშვილი:** - ოთხ საათზე აპირებენ ისინი გზების გადაკეტვას, გომბორის ტეკზე იქნებიან, ალბათ, 4 საათზე და გადაკეტავენ... რომელია ახლა საათი? (აქ საათზე იხედება). რვის ნახევარია ახლა... ისე ქენით, რომ 12 საათზე მზად იყოს ეს ჩანაწერები, რომ გაუშვათ ტელევიზიებში და მერე...

**მერაბიშვილი:** - ძნელი იქნება, 3 საათში რომ ყველაფერი მოვასწროთ, დასაგეგმია, მოსაფიქრებელია ყველაფერი ისე, რომ ცოტა მაინც დამაჯერებელი იყოს...

**სააკაშვილი:** - არ ვიცი... 12 საათისთვის ეს უნდა მომზადდეს და მერე მე უნდა მივიდე იქ, მუხროვანში, რომ ვითომ ამბოხი იყო და ჩემი მისვლის მერე განიმუხტა.

**ადეიშვილი:** - ახლა ისე ვქნათ, რომ არ იყოს ისე...

●

ჩვენს ხელთ არსებული ფარული ჩანაწერი აქ წყდება!

5 მაისს, 12 საათზე კი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოპერატიული ვიდეომასალა, სადაც სპეცრაზმ „დელტას“ ყოფილი მეთაური **ღვალაძე** თანამოაზრეებს უყვება, როგორ უნდა მოხდეს სამ-ხედრო ამბოხი, როგორ უნდა შემო-ვიდნენ რუსები თბილისში და ქარ-თველებთან ერთად როგორ უნდა დაამხონ სააკაშვილის ხელისუფლე-ბა.

**მუხროვანის სამხედრო ნაწილში „ამბოხებას“ კი მას შემდეგ დაესვა წერტილი, რაც იქ სააკაშვილი მერაბიშვილთან და ადეიშვილთან ერთად მივიდა!**

დააპატიმრეს გენერალი **კობა კობალაძე.** გენერალ **ოთანაძესა** და პოლკოვნიკ **წკრიალაშვილზე** ძებნა გამოაცხადა და მათი „ჩაშვებისათვის“ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯილდოდ 50 ათასი ლარი დააწესა.

6 მაისს მიხეილ სააკაშვილი გაერთიანებული შტაბის შემადგენლობას შეხვდა და განაცხადა, რომ ქართული სახელმწიფო შედგა, რომ მან თავის შეუპოვრობით შეძლო ამბოხის აღკვეთა.

**რაც მთავარია, სააკაშვილმა მიაღწია მთავარ მიზანს: ოპოზიციამ 5 მაისს დაგეგმილი თბილისის შემოსასვლელების პიკეტირება გადადო!**





**მუხროვანის სამხედრო ამბოხზე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე გვესაუბრება:**

## არანაირი ამბოხი არ ყოფილა

- როგორც ირკვევა, საერთოდ არანაირი ამბოხი არ ყოფილა. გარეგნულად ამბოხის არანაირი ნიშანი არ გვინახავს. როცა სამხედრო ნაწილი ამბოხს იწყებს, ის წრიულ თავდაცვაზე არ დგება. ასე ნაწილი განლაგდება მაშინ, როცა მეთაურმა იცის, რომ რაღაც საფრთხე ემუქრებათ და თავს იცავენ. **თუკი, როგორც ჩვენ გვეუბნებიან, ამბოხებულებს ასეთი წრიული განლაგება ჰქონდათ, გამოდის, რომ ამბოხი კი არა, რაღაცისგან თავს იცავდნენ.** თუკი ეს იყო სამხედრო დაუმორჩილებლობა, მაშინ უნდა გამოაქვეყნონ წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესრულებაზეც სამხედრო ნაწილმა უარი განაცხადა. სხვა ტიპის ბრძანებას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის, სამხედრო ნაწილი არ უნდა დაექვემდებაროს. თუ ზეპირ ბრძანებას ჰქონდა ადგილი, ანუ თუ ვიღაცამ რაღაცა სიტყვა მიიტანა იქ და იმას არ დაექვემდებარნენ, ძალიან სწორადაც მოქცეულან! ასე რომ, არანაირი საფუძველი ამბოხის არსებობის დასამტკიცებლად არ არსებობს.

**- არსებობს ფარული ჩანაწერი, სადაც გია ღვალაძე ამბოხზე საუბრობს...**

- საქმე იმაშია, რომ ამ ჩანაწერიდან არანაირად არ ჩანს რაიმე კავშირი იმასთან, რაც მუხროვანში მოხდა. ჩანაწერის პირველ ნაწილს კიდევ არა უშავს. მეორე ნაწილი, სადაც საუბარია გზების გადაკეტვაზე, შენობების აფეთქებაზე, სამხედრო თვალსაზრისით, საერთოდ აბსურდულია. მითუმეტეს, ეს მასალა და გია ღვალაძის ჩვენება არ წარმოადგენს საფუძველს კობა კობალაძის დაპატიმრებისათვის. **რატომ უნდა დავიჯეროთ ღვალაძის? ვფიქრობ, კობა კობალაძის დაპატიმრების რეალური მიზეზი სხვა რამ არის, რაც, ალბათ, მოგვიანებით გახდება ჩვენთვის ცნობილი.**

**- სამხედროებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თუ ამბოხებულები არ დაემორჩილებოდნენ, მოხდებოდა მათი ლიკვიდაცია. რამდენად სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა ეს?**

- **რეალური სამხედრო ამბოხი იყო აკაკი ელიავას ამბოხი. მაშინაც ჩვენ მათ განადგურებას, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ვარჩიეთ, რაც საარტილერიო ცეცხლის გახსნაში გამოიხატა.** სისხლისღვრას, ვისი გამარჯვებითაც არ უნდა დასრულებულიყო ის, გამართლება არ ექნებოდა. საერთოდ, სისხლისღვრაზე მიდის სუსტი ხელისუფლება, ძლიერი ხელისუფლება ამას არასოდეს გააკეთებს.

**- მიხეილ სააკაშვილმა ეს ამბოხიც გაიხსენა, ჩვენ არ ვართ ის ხალხი, რომ გახოკიძესავით მძევლად ჩავბარებულიყავითო, თქვა მან. როგორ მოხდა გახოკიძის მძევლად ჩაბარება ამბოხებულებისთვის?**

- გახოკიძე ჩაბარდა მძევლად და ამაში იყო აზრი. მეტიც, გენერალი უჩაძე მე გავგზავნე დროის მოგების მიზნით მათთან მოსალაპარაკებლად. ვიცოდი, რომ მძევლად აიყვანდნენ და თავადაც იცოდა ეს. **მძევლად ჩაბარება მოხდა არა იმის გამო, რომ ვიღაც უნიათო იყო, არამედ იმის გამო, რომ სამხედრო მოქმედებები მოითხოვს არასტანდარტულ მიდგომებს. ჯემალ გახოკიძე იყო სერიოზული რისკის ქვეშ.** ის მძევალი იყო, როცა მე ამბოხებულებისათვის ცეცხლის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მივიღე. დიახ, ეს იყო ძალიან დიდი რისკი, რის გარეშეც ის ამბავი ისე მალე არ დასრულდებოდა. მე დროში ვიყავი შეზღუდული, რადგან 48 საათის შემდეგ უკვე პარლამენტში გავიდოდა ეს საკითხი, ამიტომ ყველაფერი ან იმავე დღეს უნდა დამემთავრებინა, ან პარლამენტში დებატებს დაველოდებოდი და ამასობაში როგორ განვითარდებოდა მოვლენები, კაცმა არ იცის.

**- თქვენ იყავით თავდაცვის მინისტრი 2001 წელს, როცა მუხროვანში ამბოხი მოხდა...**

- მუხროვანში იყო შინაგანი ჯარის ბაზა. გვარდიის ნაწილი შეიჭრა შინაგანი ჯარის ბაზაზე და გაერთიანებული მოთხოვნები წამოაყენეს. ეს ამბოხი, რეალურად, საფრთხის შემცველი იყო, მაგრამ არა იმ დონის, როგორც ელიავასი. **მე იქ მივედი, მაგრამ ამბოხებულებს არ ვაკადრე, რომ შევჭრილიყავი ნაწილში, ვთხოვე, შევხვედროდით ერთმანეთს იქ, სადაც საჭიროდ ჩათვლიდნენ.** შეხვედრა შედგა მიმდებარე ტყეში. სალაპარაკოდ ოთანაძე და რამდენიმე ოფიცერი გამოვიდა. ისინი პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვდნენ. ეს არასდროს მითქვამს, ახლა პირველად ვამბობ. მე მათ ვთხოვე საათ-ნახევარი და დავპირდი, რომ თუ პრეზიდენტის მათთან შეხვედრას ვერ მოვახერხებდი, გადავდგებოდი და როგორც გადამდგარი სამხედრო, შევუერთდებოდი მათ. **როცა შევარდნაძესთან შევედი, მივხვდი, რომ ჩემი თხოვნა ამბოხებულებთან შეხვედრის თაობაზე, შეიძლება აბსურდებული ყოფილიყო. ამიტომ პირდაპირ ვუთხარი, როცა სამხედრო ნაწილში ასეთი რამ ხდება, მოვალე ვარ, თანამდებობა დავტოვო-მეთქი. მე მისთვის მეტი სხვა მოტივი ჩემი გადაწყვეტილების გასამართლებლად არ მომიყვანია. შევარდნაძემ, როგორც ჩანს, მთელი ეს სიტუაცია გაიაზრა და თავად თქვა, რომ მოვიდოდა ნაწილში, ოღონდ მთხოვა, გარკვეული დროით ეს ამბავი არ გამეხმაურებინა.** ამბოხებულებისა და პრეზიდენტის შეხვედრა შედგა და მგონია, რომ ეს იყო ვაჟკაცური ნაბიჯი შევარდნაძის მხრიდან. ჩვენ გადავკეტეთ გზები, მაგრამ არა იმისთვის, რომ ისინი დაგვეხოცა. როცა არმიის შიგნით სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ეს არის პირდაპირი გზა სამოქალაქო ომისაკენ.

**- ბატონო დავით, ზემოთ 2007 წლის 7 ნოემბერი ახსენეთ. უნდა მონაწილეობდეს ჯარი ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა აქციის დაშლა, ხალხის დარბევა?**

- **ცალსახად - არა!** ასეთია ჩემი ღრმა რწმენა. მნიშვნელობა არა აქვს, კანონი კრძალავს თუ არა ამას, მაგრამ სამხედრო პირისთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა საკუთარი ხალხის დარბევა-დაწიოკებაა. **როგორც პატრიარქმა ბრძანა, ჯარისკაცი, რომელიც საკუთარ მოქმეზე ხელს აღმართავს, სამშობლოს დამცველად არ გამოდგება.**




# სააკაშვილი წავა და მეც წავალ!

**საქართველოში მთელი კვირა გრძელდებოდა საპროტესტო აქციები მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. ოპოზიციონერებს საკმაოდ ბევრი პრეტენზია აქვთ სააკაშვილის მარჯვენა ხელის - შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის მიმართაც. „Комерсантъ" -ის სპეცკორესპონდენტმა ოლგა ალიონოვამ მოისმინა ეს პრეტენზიები და დაინტერესდა, რას ფიქრობს მინისტრი მათ შესახებ.**

●

რუსი ოპოზიციონერები რომ მოხვდნენ საქართველოს პარლამენტის წინ, თითებს დაიკბენდნენ. აქ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით გამოსულია ათასობით ადამიანი, ხოლო დიდებულ სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გახსნილია პრესცენტრი, სადაც დროდადრო ბრიფინგებზე შემოდიან შსს-ს წარმომადგენლები და ოპოზიციის ლიდერები. სასტუმროს კაფე „პარნასში" ჟურნალისტები ხვდებიან როგორც ოპოზიციის ლიდერებს, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მაგიდას ვუზივარ საქართველოს რესპუბლიკური პარტიის აქტივისტ **სოფო ხორგუანთან** ერთად. იგი თვლის, რომ მიხეილ სააკაშვილის გამო საქართველო დასავლეთისკენ კი არა, აღმოსავლეთისკენ მიდის.

- **როცა მიშა მოვიდა, ვფიქრობდით, რომ ის ყველაზე დიდი დემოკრატი იყო,** - ამბობს სოფიო, - **მან კი ხალხს ბიზნესი და სახლები წაართვა, რადგან ეს სახლები მისი გარემოცვიდან ვიღაცას მოეწონა.**

**- მგონი, ძალიან კატეგორიული ხართ, -** შევეწინააღმდეგე, **- როგორც მე ვიცი, ასეთი სასტიკი ზომები მიიღეს მხოლოდ კორუმპირებული ჩინოვნიკების მიმართ.**

- დიახ, თავდაპირველად საქართველოში ეს ბევრს მოეწონა. შემდეგ კი ყველა მიხვდა, რომ ეს პროცესები კანონით არ რეგულირდებოდა. **შეუძლიათ ნებისმიერის დაჭერა, ვინც ხელისუფლებას წილს არ აძლევს.** თუ ჩემი სახლი ვინმე ჩინოვნიკს მოეწონა, არ მაქვს იმედი, რომ ქუჩაში არ გამაგდებენ. სიღნაღში, როცა მიშა ტურისტებისთვის ქალაქ-ბაღს აშენებდა, ხალხს სახლებიდან ყრიდნენ, რათა მათ მოჩვენებითი კეთილდღეობის საერთო ხედი არ გაეფუჭებინათ. მე მსურს, ვიცხოვრო ევროპულ სახელმწიფოში, სადაც იქნება პირადად ჩემი და ჩემი საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიები და არ მჭირდება იმაზე ლაპარაკი, რომ დენი გვაქვს და გზები გაკეთდა. **მიშა გვეუბნება: „ნუ ვჩხუბობთ, ჩვენი მტერი პუტინია." რა შუაშია პუტინი? დიახ, მე არ მინდა პუტინი, მაგრამ ჩემთვის მიშა ისეთივე პუტინია**. რით დაამტკიცა საპირისპირო? ორიოდე კვირის წინ მიშამ **შსს**-ს ახალი შენობა გახსნა და შემდეგ სასადილოდ წავიდა შარდენზე. ოპოზიციონერმა ახალგაზრდებმა იქ საპროტესტო აქცია მოუწყვეს. ისინი სცემეს, ტელეფონები წაართვეს, ტელეკომპანია „მაესტროს" ოპერატორს კი კამერა ჩამოართვეს. ეს პოლიციური სახელმწიფოა, მე არ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება!

**- ასეთი აქციები სანქცირებულია?**

- არა. ჩვენი კანონი გვაძლევს უფლებას, გამოვიდეთ ტროტუარზე და პიკეტი მოვაწყოთ სანქციის გარეშე. როცა ვინმეს უნდა, მიტინგი ჩაატაროს და მოძრაობა გადაკეტოს, ხუთი დღით ადრე მერიაში შეაქვს განაცხადი - მხოლოდ ეს არის საჭირო, ნებართვის ლოდინი არ უწევს. ხოლო თუ ტროტუარზე დგახარ, განაცხადის შეტანაც არ გჭირდება. **ჩვენ ბელგიური კანონები გვაქვს, მაგრამ რეალობა თურქმენულია: თუ ტროტუარზე დგახარ იმ რესტორნის გვერდით, სადაც პრეზიდენტი ვახშმობს, გცემენ.**

სანამ ჩვენ ვსაუბრობთ, ფანჯრის იქით დეკორაცია იცვლება: პარლამენტის წინ მდგომი ხალხი ორ ნაწილად იყოფა - ერთი ნაწილი დროშებითა და ტრანსპარანტებით ავლაბარში, პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიდის, მეორე ადგილზე რჩება და აგრძელებს სკანდირებას „მიშა, წადი!"

- იცით, **ქართველები ქუჩაში არ გამოდიან, როცა პურის ფული არა აქვთ, -** დაფიქრებული ამბობს სოფიო, **- აქ ხალხი ძალიან ემოციურია. ისინი ქუჩაში გამოდიან, როცა მათ ღირსებას შეურაცხყოფენ.**

●

კაფეში შემოდის „ახალგაზრდული ფრონტის" ლიდერი **დაჩი ცაგურია.** დაჩი იმ საპროტესტო აქციების აქტიური მონაწილეა, რომლებსაც მისი მოძრაობა მართავს რესტორნებთან, სადაც სააკაშვილი ვახშმობს. თითოეული აქციის გამო იგი სასამართლოს გადასცეს და დააჯარიმეს **400 ლარით (250$).**

- მე ფული არ მაქვს, მაგრამ რომც მქონოდა, არ გადავიხდიდი, - ამბობს დაჩი, - ყველა ინსტანციას გავივლი და ევროსასამართლომდე მივალ. დაე, მიშამ დამიმტკიცოს, რომ საქართველოს კანონებს ვარღვევ, როცა ვახშმობაში ხელს ვუშლი.

**- პირადად თქვენ რატომ არ მოგწონთ სააკაშვილი?**

დაჩი ხელიდან იხსნის რეზინის წითელ სამაჯურს - იუნისეფ-ის სამაჯურის მსგავსს. სამაჯურზე ინგლისურად აწერია „სანდროს სიცოცხლე". სანდრო გირგვლიანი მოკლეს პოლიციის მაღალჩინოსნებმა სწორედ იმ შარდენის ქუჩაზე მდებარე კაფეში კონფლიქტის შემდეგ. ამბობენ, რომ გირგვლიანმა მათ შეურაცხყოფა მიაყენა. მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი პატიმრობაშია, თუმცა, საქართველოში თვლიან, რომ ძალიან „რბილი" სასჯელი მიუსაჯეს.

- 2005 წელს მოკლეს ჩემი მეგობარი **ბუტა რობაქიძე,** - აგრძელებს დაჩი. - „ვარდების რევოლუციის" წლისთავი იყო, ბუტა ხუთ მეგობართან ერთად მანქანით მიდიოდა, ყველანი სტუდენტები იყვნენ. ისინი გააჩერა **მთვრალმა პატრულმა** და ჩემი მეგობარი დაცხრილეს. მის სიტყვებში თუ ქცევაში რაღაც არ მოეწონათ. და რა გააკეთა ხელისუფლებამ? შეეშინდა. იფიქრა, თუ პატრულს დავსჯი, ეს რეფორმებს დაამცირებსო. ამიტომ მანქანის საბარგულში იარაღი ჩადეს. შემდეგ სასამართლოზე პატრულის თანამშრომელმა განაცხადა, რომ შემთხვევითი გასროლა იყო. იგი გაასამართლეს, მაგრამ მის გარდა, არავინ დასჯილა, თუმცა, იარაღის ჩადების გამო ისინიც უნდა დასჯილიყვნენ, ვინც ეს ჩაიდინა. გასულ წელს კი მოკლეს **გიორგი გამცემლიძე.** იგი პატრულს გაექცა, ალბათ, რაღაცის შეეშინდა, პატრულმა იგი ჩაცხრილა, მერე კი იარაღი ჩაუგდეს. პოლიციელს ორი წელი მიუსაჯეს. მკვლელობისთვის!

- ყველაზე საშინელი ის არის, რომ, როცა იარაღს ან ნარკოტიკს გიდებენ, შენ ამას ვერ ამტკიცებ, რადგან სასამართლო ბრმა და ყრუა, - **მხურვალედ უჭერს მხარს სოფიო.** - ხოლო როცა ხალხს ბიზნესს ართმევენ, ეუბნებიან: იმიტომ კი არა, რომ დააშავე, არამედ იმიტომ, რომ **თქვენ გაყოფა არ გსურდათ.** პატარკაციშვილის ოჯახს წაართვეს მთაწმინდის პარკი - უბრალოდ, სპეცრაზმი შეიჭრა და პარკი დაკეტა. პატარკაციშვილთან საიჯარო ხელშეკრულება გააუქმეს და სხვა ხალხთან დადეს იგივე ხელშეკრულება. რის საფუძველზე, ვერავინ გაარკვია. როგორიც უნდა ყოფილიყო პატარკაციშვილი, კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს, გესმით? ეს რუსეთში გასდით, ჩვენთან კი არ გაუვათ.

კაფეში შემოდის „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი **ნინო ბურჯანაძე**, თბება, ჩაის სვამს. შემდეგ გამოჩნდა „საქართველოს გზის" ლიდერი **სალომე ზურაბიშვილი.** მათ ყურადღებას არავინ აქცევს, სააკაშვილის მოწინააღმდეგე ცნობილი ადამიანები აქ იშვიათობა არ არის. ოპოზიციის ლიდერებს მცირე შესვენება აქვთ ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრის წინ, რომლებიც შეეცდებიან, დაარწმუნონ ოპოზიციონერები, მოხსნან რადიკალური მოთხოვნები და ხელისუფლებასთან დიალოგს დათანხმდნენ.

დაჩი ამბობს, რომ თუ ოპოზიცია ამ დიალოგზე დათანხმდა, ხალხის მხარდაჭერას დაკარგავს. 2007 წელს, 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ, ოპოზიცია ხელისუფლებასთან დიალოგზე წავიდა - შედეგად, თავისი ელექტორატის დიდი ნაწილი დაკარგა.

მოედანზე ხალხი მცირდება, ბინდდება. მიტინგი ცხრა საათზე უნდა დასრულდეს, მეორე დღეს კი, ისევ განახლდება. ჩვენს წინ გაატარეს პლაკატი, რომელზეც გამოსახული არიან **მიხეილ სააკაშვილი**, შს მინისტრი **ვანო მერაბიშვილი,** თბილისის მერი **გიგი უგულავა** და საგარეო უწყების თავკაცის მოადგილე **გიგა ბოკერია.** პლაკატს ინგლისურად წერია **„მკვლელები"**.

- **მათ დაუსჯელობის გრძნობა აქვთ,** - ამბობს სოფიო. - **იციან, რომ სისტემა მათ დაიცავს. ამიტომაც არცერთი ნაბიჯით არ იხევენ უკან. არც აქვთ დასახევი გზა.**

●

**ვანო მერაბიშვილთან** ინტერვიუს თხოვნით შსს-ს დეპარტამენტის უფროსს **შოთა უტიაშვილს** საღამოს ცხრა საათზე დავურეკე. თორმეტის ნახევარზე შოთამ გადმომირეკა: „ხვალ მინისტრს არ ეცლება. ახლა მოდით".

მივედით **შსს**-ს ძველ, საბჭოთა შენობასთან. აქ მუშაობის პერიოდში მერაბიშვილმა შენობა შიგნიდან გადააკეთა. კედლები მინის ტიხრებით შეიცვალა, ასე რომ, **დერეფნიდან ჩანს, რა ხდება კაბინეტებში.** თუმცა, მერაბიშვილს მაინც არ მოსწონდა ძველი შენობა და ააშენა ახალი, თანამედროვე.

- გინდათ, **შსს**-ს ახალ შენობაში წავიდეთ? - მკითხა მან, როგორც კი მის კაბინეტში შევედი. - მხოლოდ ერთი პირობით - **სურათი არ გადამიღოთ, გაუპარსავი ვარ.**

მართლაც, არცთუ კარგად გამოიყურებოდა: თვალების ქვეშ წრეები, დაღლილი სახე. დაცვის თანხლებით ლიფტისკენ გავეშურეთ, შემდეგ ქვევით, ქუჩაში.

- ალბათ, იცით, რას მიწოდებენ? - მკითხა მინისტრმა.

**- დიქტატორს, ბერიას, პრეზიდენტის მარჯვენა ხელს, - ჩამოვუთვალე.**

- ჰოდა, **ახლა დიქტატორი მერაბიშვილი მანქანით წაგიყვანთ**.

მერაბიშვილი მდიდრული „ჯიპის" საჭეს მიუჯდა. მეც წინა სავარძელზე მოვეწყვე. დაცვის თანამშრომლები მეორე მანქანაში ჩასხდნენ.

**- თავდასხმის არ გეშინიათ?**

- არა, - მშვიდად მიპასუხა მინისტრმა და სიგარეტს მოუკიდა. - თუ ამაზე ფიქრს დაიწყებ, სამუშაოდან უნდა წახვიდე.

მახსენდება ნაცნობი ჟურნალისტების ნაამბობი, როგორ ნახეს მერაბიშვილი საზღვარგარეთ - მარტო, დაცვის გარეშე, ხელში ჩემოდნით.

**- თქვენ ყოველთვის შუაღამემდე მუშაობთ?**

- დიახ, განა ცუდია? **ბევრი რამ უნდა მოვასწრო ოთხ წელიწადში.**

**- რატომ ოთხ წელიწადში?**

- იმიტომ რომ **ოთხი წლის შემდეგ სააკაშვილი წავა და მეც წავალ.**

**- მერე რას გააკეთებთ?**

- საკუთარ ბიზნესს წამოვიწყებ, კომპიუტერულ ფირმას გავხსნი. ძალიან მომწონს. როცა ვხედავ, რომ ბიზნესში დიდ ფულს შოულობენ არცთუ ჭკვიანი ადამიანები, ვფიქრობ, რომ მეც შევძლებ, ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტს ვიშოვი, ვიდრე ამ პოსტზე.

**- აბა, რატომ მუშაობთ აქ?**

- ფულის გულისთვის არ ვმუშაობ. განა ეს აშკარა არ არის?

**- ე.ი. თქვენს სამუშაოს აღიქვამთ, როგორც მისიას?**

- **მინდა, რომ ჩემი შვილი ნორმალურ ქვეყანაში გაიზარდოს. რამდენიც უნდა იშოვო, თუ ჩინოვნიკი ხარ, შეიძლება, ყველაფერი დაკარგო, თუ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრობ. ფული უფასურდება, უძრავ ქონებას წაგართმევენ, შენ კი - ან გაგაძევებენ, ან დაგიჭერენ, თუ ქვეყანაში კანონი და წესრიგი არ არის.** სწორედ ამიტომ, ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთია, ასე ებღაუჭებიან მინისტრის სავარძელს: ისინი არ არიან მომავალში დარწმუნებულები, თუ სკამს დაკარგავენ. ჩვენ კი არ ვებღაუჭებით. **ჩვენ გვსურს, ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც ძალაუფლების, სკამისა და ფულის გარეშეც ადამიანი ღირსეულ ცხოვრებას შეძლებს.** და მიხარია, რომ ასეთი აზროვნების ადამიანები საქართველოში მატულობენ. ეს ჩანს იმ შედეგებითაც, რომელიც არჩევნებში მოვიპოვეთ. ხმას გვაძლევენ, ე.ი. ხალხი ამას აფასებს.

**- მაგრამ 2004 წელს უფრო მეტმა მოგცათ ხმა, ვიდრე ახლა.**

- უცნაური იქნებოდა, ახლაც რომ 99% მიგვეღო. ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ, გვყავს პროტესტანტი ელექტორატი, რომელიც ჩვენი რეფორმებით უკმაყოფილოა.

*თავისუფალი გზაჯვარედინი. შუქნიშანზე წითელი ანთია. მერაბიშვილი ამუხრუჭებს. ვდგავართ, მწვანეს ველოდებით. მე ეს ცოტა ხელოვნურად მეჩვენება.*

- **მე მინდა,** - ამბობს მერაბიშვილი, - **რომ მრავალი წლის შემდეგ, როცა ადამიანები თბილისში გაივლიან, თქვან: აი, ეს შენობა მერაბიშვილის დროს აშენდა. ქართულმა პოლიციამ ქრთამის აღება მერაბიშვილის დროს შეწყვიტა. ავტოინსპექციაც მერაბიშვილის დროს გაუქმდა. თქვენ ნახეთ ლტოლვილებისთვის აშენებული დასახლებები?**

**- ვნახე. ამბობენ, ამ დასახლებების მშენებლობაზე პასუხისმგებლად თქვენ დაგნიშნეს.**

- ჩვენ სამ თვეში ავაშენეთ. იქ არის წყალი, გაზი, დენი, კანალიზაცია. ის დასახლებები კი, რომლებსაც თურქები და გერმანელები აშენებენ, საუკეთესო შემთხვევაში, ნახევარი წლის შემდეგ დამთავრდება. განა ეს მაჩვენებელი არ არის?

●

**შსს**-ს ახალი შენობა შორიდანვე ჩანს - იგი ტალღისებური ფორმისაა და სხვადასხვა ფერად ელვარებს. მივუახლოვდით აუზს, რომელშიც იგი აირეკლება - მერაბიშვილი ტკბება ხედით და შესასვლელთან აჩერებს მანქანას.

ჰაი-ტეკის სტილის, მინისა და ლითონის შენობა ჯერ ცარიელია, მხოლოდ ერთი კვირის წინ გაიხსნა, და მალე აქ გადმოვა **შსს**-ს ცენტრალური აპარატი.

მერაბიშვილი ფართო, თეთრ დერეფანში სწრაფად მიაბიჯებს, დაცვა ვერ ასწრებს მისთვის მინის კარის გაღებას და იგი თვითონ აღებს. ამავდროულად მიხსნის, რომ მინა გამოხატავს მთავარ იდეას, რომელიც ხელისუფლებამ ხალხამდე უნდა მიიტანოს - **ხელისუფლების ორგანოები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია.**

- თქვენ არ მოგწონთ? - მეკითხება მინისტრი.

**- მგონი, ასეთ შენობაში მუშაობა არც ისე კომფორტულია, - გულახდილად ვაღიარებ - ეს ხომ მაინც ძალოვანი სტრუქტურაა და მისი თანამშრომლები თავს დაცულად უნდა გრძნობდნენ.**

- **ჩვენ არ განვიხილავთ პოლიციას, როგორც ძალოვან სტრუქტურას, რომელიც ხალხს სჯის.** ეს სამსახური ხალხს ემსახურება. თუ ჩვენი პოლიციელი არ იგრძნობს თავს ასეთ ადამიანად, კორუმპირებული, არალიბერალური იქნება.

შევდივართ მინისტრის კაბინეტში - ფართო, თეთრი, მინის კედლით, რომლის იქით ტრასა მოჩანს.

**- ჩემი აზრით, საქართველოში ყველა არ არის მზად მინის კედლებისთვის.**

- სწორედ ამიტომაც გამოდიან მიტინგებზე, - მიპასუხა მერაბიშვილმა, - **რა არ მოსწონთ, თვითონაც არ იციან.** მაგრამ ისინი გრძნობენ, მათი ცხოვრების სტილი იცვლება, ვაიძულებთ, შეიცვალონ. ეს კი ადამიანს არ მოსწონს. მათთვის ხომ ყოველდღე გრძელდება რევოლუცია. ადრე შეგეძლო, დაგელია და საჭესთან დამჯდარიყავი, გაგევლო წითელზე, თუ „მაგარი" მანქანა გყავდა, ახლა კი ეს შეუძლებელია. **არ მოსწონთ, რომ ქუჩებში ვიდეოკამერები დავაყენეთ. არ მოსწონს ქართველს, რომ სახლში მისულს ჯარიმის ქვითარი ხვდება, ინტერნეტში კი ნებისმიერი ნახავს, როგორ არღვევს მოძრაობის წესებს.** ის ხომ ძველებურად ცხოვრებას არის ჩვეული: **ავტოინსპექტორს 20 დოლარს მისცემდა და სახლში ამაყად მიდიოდა, რადგან ნაძირალა პოლიციელი დაამცირა**. ახლა კი ამაყია პოლიციელი, რომელიც ქრთამს არ იღებს. ქართველს ეს არ მოსწონს. რადგან ცდილობენ, იგი აქციონ პატარა, ევროპელ, კანონმორჩილ მოქალაქედ.

იქ, მიტინგზე, ხალხის 70% - ყოფილი პოლიციელები და მებაჟეები არიან, რომლებიც სამსახურის და ქრთამის გარეშე დარჩნენ. მათ შეუძლიათ, ბიზნესით იშოვონ ფული, მაგრამ მათ სტატუსი დაკარგეს. არ მოსწონთ ახალგაზრდები, რომლებიც მათ ადგილებზე მოვიდნენ. და რადგან ეს ხალხი ჯერ კიდევ სარგებლობს ავტორიტეტით, საზოგადოებრივ აზრზე გავლენასაც ახდენს.

**- დღეს ვნახე პოლიციელების მიერ მოკლული ახალგაზრდების ფოტოები. ეს მკვლელობები მოსახლეობის სულ სხვა კატეგორიას აღაშფოთებს.**

- ზოგიერთი მათგანი, ვისი სურათიც ნახეთ, ჯერ კიდევ **ირაკლი ოქრუაშვილის** შს მინისტრობისას მოკლეს. რაც შეეხება შემდეგ მომხდარ შემთხვევებს, არ არსებობს არცერთი ფაქტი, რომ პოლიციელს კანონი დაერღვიოს. ყველა დანაშაული გახსნილია და დამნაშავეები დაისაჯნენ. საქართველოში ასეთი რამ ადრე არასოდეს ყოფილა. ხოლო **კლიშე ვანო მერაბიშვილზე შექმნა პატივცემულმა ბადრი პატარკაციშვილმა, რომელსაც შეეძლო, თავისი ტელევიზიის მეშვეობით საზოგადოებრივი აზრი შეეცვალა.**

**- თვლით, რომ თქვენი დღევანდელი იმიჯი - პატარკაციშვილის მუშაობის შედეგია?**

- წლების განმავლობაში იგი ქმნიდა კლიშეს სახელმწიფოს წინააღმდეგ. მას ვეზიზღებოდით, იგი ჩვენ გვებრძოდა.

**- მისი არარსებობა აისახა ოპოზიციაზე?**

- რა თქმა უნდა. განა ეს არ ჩანს? იგი ღირსეული მოწინააღმდეგე იყო. წარმოადგენდა ოპოზიციის ლიდერს, სპონსორს, იდეოლოგიურ მამას. მან შექმნა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა. ახლა ვინ არის იქ? ის ხალხი, ვინც პირადი წყენა აქვს ხელისუფლების მიმართ. ხალხი, ვინც ხელისუფლებას საკუთარ ანგარიშებს უსწორებს.

**- დიდხანს აპირებთ ოპოზიციის აქციების მოთმენას?**

- **რას ჰქვია მოთმენა? ეს ხალხის კანონიერი უფლებაა, გამოხატოს თავისი ნება. ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ!**

●

დემოკრატიულ სახელმწიფოზე განსაკუთრებით მსურს საუბარი. მინისტრს ვახსენებ **7 ნოემბერს** - იგი წარბშეუხრელად მპასუხობს, რომ მაშინ „ბანდიტების ჯგუფმა სცემა პოლიციელს, და პოლიცია იძულებული იყო, გაეწმინდა პარლამენტის წინ მოედანი ამ ბანდიტებისგან".

**- ამ დღეებში ერთ-ერთ მიტინგზე თქვეს, რომ პოლიციამ გზა გადაუკეტა რეგიონებიდან თბილისში მომავალ კოლონებს, - არ ვნებდები მე, - ეს დემოკრატიაა?**

- თქვენ თვითონ წადით და ნახეთ. ეს ხომ იოლი შესამოწმებელია. არ მესმის, ასე აშკარად რატომ ცრუობენ? ჩვენ არავის ვუშლით ხელს. ან რისთვის? **ეს აქციები ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს არ უქმნიან.** გადაკეტეს ქალაქში ქუჩები ნახევარი საათით - მერე რა, საგანგაშო არაფერია. ევროპა მუდმივად ასე ცხოვრობს. თქვენ ყოფილხართ როდესმე დემონსტრაციებისას ევროპაში? მე ვიყავი - არა უშავს, ნორმალურია.

**- ასევე ამბობენ, რომ პოლიციამ სცემა გენერალი ყარყარაშვილი.**

- ო, ეს ცნობილი გენერალია. შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, რომ მისი შეურაცხყოფის მცდელობა იყო. *(იცინის)*. იცით, მან ჩვენს თანამშრომლებს დაურეკა და უთხრა, რომ იგი, გენერალი, ნაწყენია იმით, რომ საპატრულო პოლიციის **ვიღაც** უფროსმა გვარად **ბებეჭკორმა** გაბედა მისი მანქანის გაჩერება. და დაგვპირდა, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ ამაზე პასუხს ვაგებთ. ასე რომ, არჩევანის წინაშე დაგვაყენეს - **ან ბოდიში მოვუხადოთ დონ ყარყარაშვილს, ან ამ ბებეჭკორს გენერლობა მივანიჭოთ!**

**- მერე, რა არჩევანს გააკეთებთ?**

- თვითონ მიხვდით *(იცინის)*. და ეს, სხვათაშორის, ძალიან საგულისხმო შემთხვევაა. **ეს ადამიანი - ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერია.**

ღამის პირველ საათზე ვტოვებთ შენობას, რომელმაც უნდა განასახიეროს ახალი საქართველო. მერაბიშვილი კვლავ „ჯიპის" საჭესთან ჯდება და მივყავართ ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეკომპანიის ოფისთან, სადაც მეგობრები გველოდებიან. მინისტრი მეორე „ჯიპში" უკან ჯდება და მანქანები ღამის სიბნელეში უჩინარდებიან.

საიდანღაც ძველი „09" გამოჩნდა.

- **თქვენ რუსი ჟურნალისტები ხართ?** - გვეძახის ახალგაზრდა მძღოლი, როცა ფოტოაპარატი შეგვამჩნია. - **წადით სახლში, აქ, ქუჩაში, მერაბიშვილის ზონდერბრიგადები დადიან, ისინი ხალხს იტაცებენ!**

ვერ მიხვდა რა, რატომ ვიცინოდით, მძღოლმა ხელი ჩაიქნია და ადგილიდან სწრაფად მოსწყდა.

## ჩვენი ფოტორეპორტაჟები









ნანა კაჭილოტის ფოტორეპორტაჟი





ქეთი ბერიანიძის ფოტორეპორტაჟი

ხელისგულივით გაშლილ მდელოზე ხასხასა, მწვანე ბალახი ბიბინებს. ნიავი ხან ერთ მხარეს წამოუბერავს ფერად-ფერადებით, ხან მეორეზე და მის ნებას აყოლილი მინდვრის ყვავილები თითქოსდა ცეკვაობაში ესალმებიან ერთმანეთს, მზეს, ნაკადულს, ნაზახუსვეი დღევით მოლუშულ მთებსა და კლდეებს.

სასიხარულო მართლაც ბევრი აქვთ. თვითონაც ნაირ-ნაირ ლამაზებს განსაკუთრებით ლამაზი ადგილი აჩუქა ღმერთმა. თბილი, მზიანი... სუფთა ჰაერითა და ყინულივით ცივი ნაკადულებისაგან გაცდენილი მიწა მათი სახლია. ეს ულამაზესი პეიზაჟები მათი სამშობლოა. ჰოდა, ხარობენ მთასა და ბარს შუა სული ბუნებრივი ყვავილები თავიანთი არსებობით, სიცოცხლით, სიყვარულით, კაცთმოყვარეობით და ქვეყნით, რომელსაც „ყვავილების ქვეყანა" ჰქვია.

ისე ნუ გამიგებთ, რომ ამ დალოცვილ მიწაზე ყველა საუკეთესო აღმოცენებულა! სარეველაც ბევრია და მათ, ისევე როგორც ყველგან, ნაბიჭვრებს ეძახიან. ეს სწორედ ის სარეველაა, რომელიც თავისი ურწმუნოებით, უსინდისობით, ბოროტებითა და ქრისტიანული ცემლობით ასე ამძიმებს მადლიან მიწას.

ყვავილები თავიანთი წარსულით ამაყობენ. ძველად მტერს უჭირდა აქ შემოსვლა. კლდეების, მთების, ცივ-კოჯებისა და, რაც მთავარია, გაკვაცების მეშვეობით, არ იყო ადვილი ბოროტთათვის ამ ქვეყნის ათხრობა. არა, აოხრებულიც ყოფილა, ტყვეობაც უგემია, ბევრ ურჯულო ურდოსაც ნაფლეთსცდია, როგორც თვითონ ამბობენ - მათი მიწიერი სამოთხე, მაგრამ ფეხის მადლით, ჯანმრთელი ფესვისა და თესლის წყალობით, კვლავ წამოიმართულა, მიმრავლებულან და თავისი სახეცვლა ქვეყანაც შეუნარჩუნებიათ.

დღევანდელი პრობლემა სულ სხვაა, გარეგნული ცივილიზაციის ნაშობი და აქ ძალით მოთრეული ბოროტებაა, რომელიც „ნავთობის მილსადენის" სახით დაატყდათ თავს. ყვავილები შიშით გაჰყურებენ იმ შავით მოსილ ადგილს, რომლიდაც უკვე მოისწრო ჰაერის, წყლისა და მიწის დაბინძურება. თვითონ იყვნენ მოწმენი, ეხილათ, როგორი ტანჯვა-წამებით ხმებოდნენ მათი თანამოძმენი. ასევე მოწმენი იყვნენ ჯორჯიტაური ხანძრებისა, რომლებმაც ძირფესვიანად გაანადგურა საუკუნოვანი, ულამაზესი ტყის მასივები. ეეეჰ... რაც იყო, იყო! ახლა კი, მოდიკა... ეს ვინღაა?!

- **ისეც ის დამპალი მოდის, მაინცდამაინც თავზე რომ მადგამს ფეხს,** - აიქოჩრება ზამბახი და ტოტს გადაისვამს კოკორზე.

- **ეტყობა, მოლაპარიკნე მოდის!** - დაასკვნის გვირილა.

- **კი მაგრამ, ჩვენ რომ არ გადაგვიაროს და ისე გაიაროს, არ შეიძლება?!** - ბრაზობს ყოჩივარდა.

- **ორნი ყოფილან,** - დაითვლის ყაყაჩო.

მართლაც, ორნი მოდიან. კაცები საუბარ-საუბრით მიუახლოვდებიან ყვავილებს. ერთ-ერთი, რომელიც მუცელში დაგროვილი გაზები აწუხებს, „ქუხილით" დაიძრახუნებს ბუნებრივ მოთხოვნილებას.

ყვავილები შეცბებიან... ერთი-ორი ამ უზრდელის მაგივრადაც კი გაწითლდება.

- **ჩვენ რომ გვასწავლიან კულტურას,** - ჩაიქირქილებს მიხაკა.

- **უჰ, თქვენ... არ დაგვწვამდეს ამ მახინჯებმა?!** - უყვირს ტიტას.

- **მიდი რა, ჭკუა ვასწავლეთ!** - მუშტებზე იყურება ყოჩივარდა.

- **ჩინჭარო! აბა, შეეგებეთ!** - გაიზმორება ეკალბარდი.

ამასობაში კაცები მათ ტერიტორიაზეც შემოდიან. სტვენ-სტვენით მოდიან. ხელში სამუშაო იარაღები უჭირავთ. როგორც ჩანს, მართლაც მილსადენისაკენ აქვთ გზა. ცა ქუდად არ მოაჩნიათ და დედამიწა - ქალამნად, მანამ, სანამ გზად ეკალბარდი არ შეეჩეხებათ.

- **ნუ, ბლიად!** - დაიყვირებს რუსი და ფეხში შერჭობილ ეკალს გამოიღებს.

- **ფოქ იუ!** - აბღავლდება ჰინჭრით დასისხლული ამერიკელი.

ასე დაზედებიან ყვავილები დიაპაზონელ სტუმრებს. შებრბივიანთ შემართული ეკლების არმიას სამაროლო მზადყოფნაში მოიყვანენ. ფერადოვისსხლიანებული და ხელდასისხლული „სტუმრები" ტრაქტორს მოათრევენ, რომელიც ბეხთვ წამოყენებული, მაგრამ... აქაც იმარჯვებენ ყვავილები, ერთად შეეხებიან, ერთ მუშტად იქცევიან და ტრაქტორი ადგილზე „ბუქსაობს" დაიწყებს. ბოლო-ბოლო მუშები შეჭირდა დანებდება ყვავილებს და შემოძღოთა გზით აჩნივე მილსადენთან მისულან.

ყვავილები ერთმანეთს წამოაყვეხვებს, გაამხნევებენ და ღირსეულად მოულოდველ გამარჯვებას.

●

...უკაცრიელ ადგილზე მდგარ, ერთი შენობიდან პატარა შენობას, მდგოშლობრობიდან ახვვივა და გამოიერებული დაცვა ჰყავს მიჩენილი. დაცვის წევრებს სპეციალურებით აცვიათ და ხუთ წუთში ერთხელ, დაგეშილ ძაღლებთან ერთად, პერიმეტრის შემოვლა-შემოწმება ევალებათ.

გასაიდუმლოებულ შენობას ლაბორატორია აწერია. მართალია, ის თითქმის იზოლირებულია გარე სამყაროსაგან, მაგრამ ხანდახან, რაღაც არაბუნებრივი, არა ამქვეყნიური ხმები მაინც აღწევს გარეთ. სიცოცხარის შემდეგ, შეიძლება გაიგონო ქვითინი, ტირილი, ბღავილი კი. ან ცხვრის კიკინს მოჰყვეს ლომის ბრდღვინვა, კაცის ჭინთვა და ა.შ. განსაკუთრებით ხითხითი ისმის. ხითხითის და ხითხითის ვიღაც თუ რაღაც. ერთი სიტყვით, ამ შენობაში სხვადასხვა სახის ექსპერიმენტს ატარებენ. აქ მუშაობენ ფიზიკოსები, ქიმიკოსები, მათემატიკოსები, ყველაფერსებისები. იცდებენ ატომს, მოლეკულას, გენეტიკას, ჯიშსა და ჯილაგს. მოკლედ, ამ შენობაში კეთდება ყველაფერი კაცობრიობის არსებობის გასართულებლად. ყველაფერი, რაც კი ტვინნაღრძობი ადამიანის აზროვნებას წარმოუდგენია.

პირბადეაფარებული მეცნიერ-მუშაკი მიწისქვეშ განთავსებულ ღერეფანს გაივლის. აქ ბევრი საიდუმლო ოთახია და ყოველ მათგანს უცნაური წარწერა აწერია. აი, ზოგიერთი მათგანი: - **მოწილავემში ბიჭები, ზეძლარი ძარღვები...**

მეცნიერი რევოლუციების კართან შეჩერდება და სამჯერ დააკაკუნებს.

- **პაროლი?** - ისმის მექანიკური ხმა.

- **ვარდი!** - უპასუხებს მეცნიერი და კართან მიმაგრებულ ამერიკულ დროშას პატრიოტული სიამაყით შეასრულებს.

მას აღფრთოვანებით და დიდი სიხარულით შეეგებებიან თანამშრომლები. საუბარი ინგლისურ ენაზე წარიმართება, თარგმანი კი ასეთი შინაარსისაა:

- **ო, მაი გოდ! გილოცავ, ჯორჯ, გილოცავ!**

- **რაო, ჯეკ? გამოვიდა?**

- **მეთოქმ იცოცხლა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა.**

- **მართლა, მეთიუ? შეგიძლია, მითხრა, როგორ მოხდა?**

- **ო, კეი, ჯორჯ! გეტყვი. გახსოვს, თავიდან სუპერთესლს ვხმარობდით...**

- **ჰო, მაგრამ არ გაამართლა, ფოქ იუ!**

- **ამიტომაც ავიღე და ყველაზე, ყველაზე, ყველაზე დამპალი თესლი დავამცნე...**

- **ნეფოუ ისევ სუფთა მიწას?!** - არ აცლის სულსწრაფი ჯორჯი.

- **არა, ჯორჯ! მოდი კოლბასთან და აგიხსნი.**

მეცნიერები საექსპერიმენტო მაგიდაზე მდგარ კოლბასთან მიდიან. მინის ჭურჭელში ჯერ კიდევ გაურკვეველი ჯიშის, ერთი ციცქნა მცენარის ნითილი მოჩანს, რომელიც ღრმად ჩაფლულა სათიტრულ აქოთებულ სიბინძურეში.

ეს სიმყრალე ჯორჯის პირბადეშიც აღწევს და ლამის გულს შეუღონებს, ხელით იწიავებს ცხვირთან ჰაერს. მეთიუ შეამჩნევს მეგობრის გასაჭირს და კოლბას ნაჭერს გადააფარებს.

მეცნიერები გარეთ გამოვლენ და უკვე „ოდოცატორულად" მოულოდნელ ერთმანეთს წარმოადგენს, მაგრამ ჯორჯს სრული ინფორმაცია უნდა და შეკითხვებსაც სვამს.

- **მეთიუ? გავიგე, რომ ყველაზე დამპალი თესლი აარჩიე, მაგრამ რაზე დაამყნე? ოღონდ არ მითხრა, რომ ის, რაც ასე ყარდა, მხოლოდ და მხოლოდ მიწაა...**

- **არა, ჯორჯ! ეს არის სისხლით ნაჟღენთი, რომელსაც შერეული აქვს ნაკელი, ნახველი, დამწვარი პლასტმასი, მეჯვე ლორწო, თეთრ-წითელი და ტრაკის ჭიები, ძაღლის ფურთხი.**

- **ო, კეი მეთიუ, ენდ ნამბრ ოუ - რომელ ენაზე ამეტყველდება ეს ნერგი 003-ო?**

- **შმ, რა კითხვაა, ჯორჯ?! პოლიგლოტი იქნება!**

●

თითქმის ანალოგიურად ვითარდება სიტუაცია გვერდითა ოთახში, სადაც ასევე შეკრებილან მეცნიერები მაგიდაზე მდგარ კოლბასთან და სიძვილოისაგან გულმწუხრებულები უყურებენ ზუსტად ისეთივე ჩითილს.

ამ ოთახში რუსულად საუბრობენ.

- **დაა, პოლიგლოტ ეტა ხარაშო, მალადეც ვოვკა!**

- **სპასიბა, კოლკა, სპასიბა, ვასკა. ნუ კაკ? ატმეტიმ ბლიად?**

- **და, ესტესტვენნა. ნო უ მენია ეშო ადინ ვაპროს, კაკ პადკრასიმ ნაშეგა შპიონა?**

- **ჩტო ზა ვაპროს?! რაზუმეეტსა კრასნიმ, ბლიად!**

... გასაიდუმლოებული შენობიდან სანიტარი გამოვა და გორგოლაჭებიან მაგიდაზე მდგარ, უკვე ოქროსფერ კოლბებს გამოიტანს. ბუნკერთან შეიყვება და „ნაგვის" გადაყრას დაიწყებს.

ერთ-ერთ კოლბაში „ბაბუაწვერა" ზის. ის ბეზერი და სათვალიკიროკიფერია. თვითონაც ხვდება, ბოლომდე რომ ვერ გაამართლა იმედები და შეცდომად ამოიღეს მოშუბებში. ეჰ, ერთ ოცდაათი წელი ახალგაზრდა იყოს, კი იცის, როგორ „გააზარხეთებდა" ახალ „გმირს", მაგრამ რა ქნას? წლები თავისას შვრება და...

სანიტარი კოლბაში ჩაყოფს ხელს და მოტეხილ, გამტყდარ „ბაბუაწვერა"-ს ამოიღებს. ისიც გამხდარ თავის „შესაფრის"? და მორცხვად დახრის თავს, თითქოს ამოიბობინებს კიდეც.

სანიტარსაც უხმობს მისი ნაგავში გადაგდება. ხუმრობა ხომ არ არის, თითქმის მთელი თავისი ცხოვრება „ბაბუაწვერას" უყურებდა, უვლიდა, მის კაპრიზებს ეჟორჯიანობდა...

- **ეჰ, ბაბუ! ბაბუ! შენ აქ არავის აღარ სჭირდები, მაგრამ გადასაგდებად მაინც არ მემეტები. წადი და ინავარდე დარჩენილი ცხოვრება! წადი, მშვიდობით! შენს დაწყებულ საქმეებს ვარდი დაამთავრებს.**

სანიტარი სულს შეუბერავს და ბაბუაწვერაც ნიავს გაჰყვება...

●

- **ვარდები მოდიან, ვარდები** - გაისმა ხმა, რომელიც მთებმა აიტაცეს.

- **ვარდები, ვარდები,** - გაიმეორა ექომ და ხმა ველზე გაშალა.

- **მოდიან, მოდიან!** - ახლა სიომ აანაკარდა ხმა და სათითაოდ ჩამოუარა მინდვრის ყვავილებს.

- **ვარდები?!** - გაიკვირვა ბუნებრივმა ვარდმა და თანამოძმეებს გადახედა.

მათაც გაიკვირვეს...

ყვავილები აიშალნენ...




- **ნეტავ, რა უნდათ?** - პირი იბანეს იებმა.

- **საქმე აქვთ, ალბათ,** - ტანი შეისწორეს ტიტებმა.

- **ასე დილაადრიან?** - თავები წამოსწიეს გვირილებმა.

- **რაღაც არ მომწონს,** - მუშტებს დახედეს ყოჩივარდებმა.

- **იასამანნო! ბევრნი არიან?** - ასძახეს ენძელებმა.

- **ძალიან ბევრნი, მთელი ლაშქარია,** - ჩამოსძახეს იასამნებმა.

- **კი მაგრამ, სუნს რატომ ვერა ვგრძნობ?** - ეჭვობს ჟასმინი.

ამასობაში, ვარდებმა გაივაკეს და მინდვრის ყვავილებთან შიკრიკები აფრინეს. ყვავილებმა მდაბლად დაუკრეს თავი მოსულთ და ინტერესით აათვალ-ჩაათვალიერეს.

- **რა ლამაზები არიან,** - გულწრფელად აღფრთოვანდნენ ზაფრანები.

- **ლამაზები, ტანადები, მაგრამ სურნელი რომ არა აქვთ?** - კვლავ ეჭვებშია ჟასმინი.

- **მთელი ცხოვრება ვნატრობდი, რომ ვარდი ვყოფილიყავი,** - ჩაილაპარაკებს იასამანი და ისე ამოიოხრებს, თავიდან ბლუჯად გასცვივდება ფოთლები.

ყვავილები გულიანად აკისკისდებიან. იასამანი მიხვდება, ფიქრი რომ ხმამაღლა გააცხადა და სირცხვილისაგან გალურჯდება.

ვარდები დამცინავი, ცინიკური „სახეებით" ათვალიერებენ ყვავილებს და პირველ სიტყვას, ყველაზე გრძელ, სისხლისფერ ლიდერს დაუთმობენ. ისიც, არც აციებს, არც აცხელებს და პირველივე მიმართვაში გამოაჩენს „ეკლებს".

- **ეი, თქვენ! ველურებო! ჩვენ, ახალი თაობის ვარდები, მოვედით აქ, იმისათვის, რომ მთლიანად შევცვალოთ აქაურობა. ავაშენოთ, გავაბრწყინოთ და ევრო-ამერიკული კულტურა შემოვიტანოთ, გასაგებია?!**

ბუნებრივია, ყვავილებს ასეთი მიმართვა არ ესიამოვნებათ. ის კი არა, გვირილა, საკუთარი ფურცლების წყვეტას დაიწყებს - ვუპასუხო-არ ვუპასუხოს მოტივით.

მასპინძელი ვარდი ჯერ „ყველაზე გრძელ" თავხედს გახედავს, მერე თანამოძმეებს და დაინტერესდება.

- **გამაგებინეთ ერთი... თითქოს ჩვენებურია, მაგრამ თავს დავდებ, რომ არ არის ეს ჩვენებური... ნეტავ, საიდან მოეთრა ეს თესლი აქ?!**

- **თესლი არა... ყველა კოლბაშია გამოყვანილი. ვერ ხედავთ, როგორ საპნის ბუშტებივით ჰგვანან ერთმანეთს?!** - უპასუხებს თანამოძმე.

- **ხომ ვიძახდი, რაღაც არ მომწონს-მეთქი,** - მუშტებს ისრესს ყოჩივარდა.

„ყველაზე გრძელი" კი დუჟმორეული აგრძელებს „რეჩს".

- **დღეიდან ყველაფერი იქნება ის ფერი, რომელსაც ჩვენ გადავწყვეტთ, ანუ ჩვენფერი. ყველაფერს ექნება ჩვენი სუნი და არა ზოგიერთების!**

- **საკუთარი სუნიც კი არა გაქვთ, თქვე ხელოვნურებო,** - ჩაილაპარაკებს მიმოზა.

ვარდი გახედავს მიმოზას და ისეთი შეუნიღბავი ზიზღით აიმრიზება, რომ ეს უკვე მეტისმეტია. ამის მოთმენა აღარ შეიძლება.

გვირილა, რომელსაც ფურცელი „ვუპასუხოზე" შერჩა, „სტუმრებს" თვალს გაუსწორებს და ალალად გაკვირვებული ჰკითხავს:

- **რატომ ასეთი აგრესია?**

- **რა ბრძანეთ?** - კითხვითვე უპასუხებს „ყველაზე გრძელი".

- **ასეთი აგრესიით აქ ვერ გაბატონდებით,** - თავს გაიქნევს ია.

- **შენ ვილას დაკარგვიხარ?** - გაეცინება „გრძელს".

- **რატომ გძულვართ ასე?! რა დაგიშავეთ?!** - აღშფოთდება ზამბახი.

- **მძულხარო?! მძულხართ კი არა... მეზიზღებით! მე-ზი-ზღებით,** - სათქმელს დამარცვლავს ლიდერი და ბოროტად დაუჭყრიალდება ტუჩები.

„ახალი თაობის" ვარდები გამხიარულდებიან. განსაკუთრებით დამარცვლით შემდეგ სიტყვა მოეწონებათ და - რა მაგარიაო, - ლიდერზე აწეწებენ ერთმანეთს.

- **ცოტა ფრთხილად, წელში არ გადატყდეთ,** - გაბრაზდება ზაფრანა.

- **ვის ეუბნები მაგას შე ზაფ... ზაფ... ზაფ... ზაფრან და ჯანდაბა შენა!** - გააგრძელებს დაცინვას ახლა უკვე „ყველაზე გრძელი" და „ყველაზე მაგარი" ვარდი.

- **ასეთი სიძულვილით აქ ვერ გაიხარებთ!** - ჩაურთავს ენძელა.

- **ვინ გაიხარებს და ვინ არა, მაგასაც ვნახავთ!** - დაემუქრება გაბოროტებული ვარდი.

- **ნუ გვაშინებთ, გაფიცებთ კოლბებს,** - აიქოჩრება ყოჩივარდა.

ამის თქმაზე, წამსვე იქ გაჩნდება „ვარდშპანა" და აწივლდებიან.

- **ე, შენ რაებს ბედავ, ბიჭო?! რა კოლბა, რის კოლბა, თქვე გოიმებო.**

- **ვის უბედავ, ბიჭო, შენ? რა კოლბა, ბიჭო? ამერიკაში აქვს ნასწავლი, შე გორსალა, შენ.**

- **იცი, ვაფშე, ეს ვინ არის?**

- **მოდი, გვითხარი ერთი, ვინ არის?** - შეუტევს მიხაკი.

- **ეს, ტო?! ეს არის ყველაზე გრძელი და ყველაზე მაგარი ვარდი მთელ მსოფლიოში.**

განსაკუთრებით რამდენიმე მოთრეული იქაჩება, პირდაპირ მუქარაზეც კი გადადიან.

- **რა დღეში ხართ, თქვე უბედურებო? ღმერთი არ გაგიწყრეთ, იცოდეთ!** - ცინიკურად საუბრობს ვარდი, რომელსაც ერთი „ფურცელი" ალთას გაურბის, მეორე ბალთას.

- **ააამოგხდით სუუუულს,** - ძლივს გამოეტევა პირიდან სათქმელი ვარდს, რომელსაც როგორც ჩანს, ჩითილობაში, ვიღაცამ ძალიან მძიმე ფეხი დაადგა კოკორზე.

- **არ შეგიტოკდეთ ხელი, ყველა გაახმეთ!** - გასცემს ბრძანებას ერთ-ერთი ნახევრად დებილი.

●

მინდვრის ყვავილები მედგრად დგანან. ძნელია მათთან მუქარით საუბარი. ეს მიწა-წყალიც მათ ეკუთვნით, ასი წლის წინათაც და სამი ათასი წლის წინათაც მათ ეკუთვნოდათ. ამაყნი, ლამაზნი და შეუპოვარნი არიან. ნიავმაც წამოუბერა და კიდევ უფრო აიქოჩრნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოვარდნილმა სიომ ჩასჩურჩულა - ფესვები არ გაადგმევინოთ ამ უჯიშოებს ჩვენს მიწაზე, ესენი ჩვენს დასაღუპად ჩემოეთესლნენ აქაო, - ჰოდა, ამის შემდეგ ზღვასავით აღელდა არე-მარე.

შეკრთნენ „კოლბის" ვარდები, ლიდერს შემოეხვივნენ და თათბირი გამართეს. ამის მერე გამოვიდა „ყველაზე გრძელი" და - მოდი, ვიდებატოთო, - თქვა. მინდვრის ყვავილებმა ერთმანეთს გადახედეს და გადაწყვიტეს, ნამდვილი ვარდისთვის მიენდოთ ეს საქმე.

ჩამოსხდნენ ერთმანეთის პირისპირ, ნამდვილი და ხელოვნური ვარდები და დებატებიც დაიწყო, პირველი კითხვა „ხელოვნურმა" დასვა.

- **ვინა ხართ, თქვენ?**

- **ჩვენ აქაური ყვავილები ვართ. უძველესი ჯიშის, კულტურის, რწმენისა და სილამაზის ყვავილები.**

- **ჰო, მაგრამ დღეს ვინა ხართ? რას წარმოადგენთ?**

- **ჩვენ რას წარმოვადგენთ?! საბედნიეროდ, თქვენგან განსხვავებით, ჩვენ მინდვრის ყვავილები ვართ, როგორც თქვენ გვიწოდებთ,** - ველური ყვავილები და სწორედ ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება. ჩვენ თავისუფლები ვართ და ზოგზოგიერთებივით, ლარნაკებში არ ვლპებით...

- **არც მე ვლპები, სულ არა მაქვს ფესვი!** - ჩაიხითხითებს ლიდერი.

- **ჰოდა, ეგაა თქვენი უბედურება. იმ ფესვების წყალობით, რომელიც თქვენ არ გაგაჩნიათ, ჩვენ მიწის მადლს შევიგრძნობთ. ჩვენა ვართ ყვავილები, რომლებსაც ჰაერის სუნთქვა გვახარებს. თქვენ ინსტინქტის დონეზე შემოგრჩათ სიყვარული, ჩვენ, კი, სიყვარულისთვის ვართ მოვლენილები ამქვეყნად. სიყვარული გვაცოცხლებს და გვაძლევს ძალას არსებობისათვის. ჩვენ ხან ვიღაც არაადამიანი გადაგვთქერავს, ხან მოვარდნილი წყალი წაგვლეკავს, შეიძლება მძიმე თოვლმა დაგვტეხოს და გაგვყინოს, მაგრამ ისევ ჩვენი ფესვების წყალობით, რომელიც ღრმად გვაქვს გადგმული მიწაში, ცოტას გავიჭირვებთ, ერთმანეთს შევძახებთ, შევეშველებით, წყალს და სითბოს არ დავამადლით არავის თქვენსავით და კვლავ წამოვიმართებით, გავმრავლდებით, ავყვავდებით და გავალამაზებთ არემარეს. იცით, რა არის მთავარი სხვაობა ჩვენს შორის? ამდენი უბედურების, ომის, გაჭირვების და ლამის მოსპობის მერე, ისევ ყვავილებად ვრჩებით. ამაყნი, ლამაზნი, სურნელოვანნი. თქვენ კი, თუმცა, რა უნდა გელაპარაკოთ „პლასმასებს?"**

**ასე რომ, დაიკარგეთ აქედან! თქვენ მიწა არ გჭირდებათ. თქვენი პატრონი სხვა რამეს მოიფიქრებს... შეიძლება ქუდში გაგირჭონ ან სარკეზე მიგაკრან, თქვენ ხომ ამით არაფერი დაგაკლდებათ. ერთს გირჩევთ მხოლოდ - თავი დაანებეთ „ყვავილების ქვეყანას", ეს ჩვენი ქვეყანაა და ჩვენი ფესვებია აქ გადგმული!**

მკითხველი, ალბათ, ხვდება, რა შედეგითაც მთავრდება დებატი. გამწარებული, დამარცხებული „ყველაზე გრძელი" ჯერ „ჰალსტუხს" დაღეჭავს, მერე წამოფრინდება, გავარდება, მოვარდება და სანამ ყვავილები გამარჯვებას ზეიმობენ, არანორმალური ხმით შეჰყვირებს ორად ორ სიტყვას.

- **ჰელფ!!! პამაგიტე!!!**

„ჰელფი" წამსვე გაჩნდება მასთან. ეს ისაა, ლაბორატორიაში რომ მუშაობდა მის შესაქმნელად. დიახ, ჯორჯი ვალდებულია, ჭკუა ასწავლოს, დაარიგოს თავისი მოწაფე, თორემ თვითონ მას მოსთხოვენ პასუხს.

„გრძელი" ყურადღებით მოუსმენს მასწავლებელს და ახლა „პამაგიტე"-სკენ გაიქცევა ინსტრუქციის მისაღებად. ესეც ძველი ნაცნობია, მის „შესაქმნელად" რომ მუშაობდა ლაბორატორიაში - ვოვკა, ოღონდ ვოვა ნაწყენია, როგორ თუ, პირველი ჯორჯთან გაიქეციო, და ერთ მაგარ ჭიტლაყს სდრუზავს, თან - „ბლიადო", - დააყოლებს.

„გრძელი" გამოიქცევა. ის ხომ ხელოვნურია და თავმოყვარეობა რაა, არ იცის. თუმცა, ჭიტლაყი არ ესიამოვნება.

- **მე შენ განახვებ სეირს... შენ თუ ძალით არ მოგეცი ჩემი მიწა და საზღვრები არ გადმოგაწევინე წინ, ვარდი არ ვიყო მეო,** - იმუქრე-ბა.

ამასობაში, საოცარი მოვლენები განვითარდა ქვეყანაში. როგორც ჩანს, ჯორჯისა და ვოვკას საქმიანობამ შედეგი გამოიღო. ჯერ იყო და, „კოლბის" ვარდების თათბირზე, „ჯონჯოლი" გამოჩნდა, რატომ, რისთვის და როგორ, არავინ იცის. თვითონ „ჯონჯოლმაც" კი...

მერე მთიდან გადმოვარდნილმა ყვავილმა მიწაზე გაადინა ბრახვანი. „პადოშივით" გაბრტყელებულმა - ხელოვნური სუნთქვა მჭირდებაო, - თქვა და ისიც თათბირზე გაიქცა, ხელოვნურებთან.

მათ არც სათვალიანი ყვავილუნა ჩამორჩა - კი ვარ თქვენიანი, მაგრამ ისინიც ხომ ჩვენიანები არიანო? რა, არ არიანო? ჰოდა, თუ არ არიან, არც მე ვარ თქვენიანიო, - იბჟუტურა, ცრემლები ღვარა და ტირილ-ტირილით გაიქცა თათბირზე.

სულ სხვანაირად მოიქცა მეორე ყვავილუნა, რომელიც ჩითილობაშიც „ჰალსტუხით" დადიოდა. დიახ, სწორედ მიხვდით, ის, ეკლიანი, რომელსაც ვინც კი თავზე ხელი გადაუსვა, ყველა დაასისხლიანა. მან თქვა - მე იმედი მაქვს, მქონდა და მუდამ იმედიანად ვიქნებიო, იმდენად იმედიანადო, რომ ვარდებმა ფეხზე ადგომით მიიღეს თათბირზე.

და ბოლოს, ერთი, რომელიც თავის თავს მრავლობითში ხედავდა - ჩვენ თვითონო, - თქვა, ისიც წავიდა და აღარ დაბრუნებულა ჯერაც.

მოკლედ, იმატა ქვეყანაში სარეველა ბალახმა. ფესვი გაიდგა, მოღონიერდა და სურათიც რადიკალურად შეიცვალა. ყვავილების აბობოქრებულ ზღვას თითქოს მძიმე ხალიჩა გადააფარესო - ყველაფერი გაშეშდა, დაჩლუნგდა და „ყველაზე მაგარმა"-ც მუხასთან დადო ფიცი, რომლის დროსაც განუწყვეტლივ ისმოდა სარეველების აღტყინებული შეძახილები.

- **ა, როგორია? ხომ მაგარია?**

- **ღმერთია, ღმერთი! მაგას ვენაცვალე...**

- **რას ჰქვია ენაცვალე?! შენ კი არა, მე ვენაცვალე, მე! ვარ-დი-ვარდი!**

- **ორჯერ უკვე ამომძირკვეს, მაგრამ ამის გულისთვის მზად ვარ, მესამედაც ამომძირკვონ! ვარ-დი! ვარდი! ვარ-დი!**

- **აბა, რა... ამომძირკვონ კი არა, ამის გულისათვის მზად ვარ, გავხმე ოჯახიანად,** - ისტერიულად გაჰკიოდა ზოგი.

- **შენი ვარ, შენი! მარად შენი** - ტანში ტყდებოდნენ „ვარდუნები".

„ყველაზე მაგარი" კი აღარ ჩერდებოდა! თუმცა, არც ახლა ჩერდება და მოდით, ისევ აწმყო დროში გავაგრძელებ წერას.

„ყველაზე მაგარი" აღარ ჩერდება.

- **მე გავამთლიანებ, გავაერთიანებ, გავაძლიერებ და გავაბრწყინებ „ყვავილების ქვეყანას". ყველაფერი ისე გექნებათ, როგორც ზღაპარში, აი იმ ზღაპარში, ასე რომ მთავრდება.**

- **ჭირი აქა, ლხინი იქა,**
**ქატო აქა, ფქვილი იქა.**

- **შეგეშალაო,** - გაუბედა ერთ-ერთმა.

- **მოგუდეთო,** - გასცა უმალ ბრძანება.

... მეორე დილით „ყვავილების ქვეყანაში" მზე აღარ ამოვიდა, ბევრი გაახმეს, ბევრი დაიჭირეს და გასახმობად გაამზადეს.

ვინც ბოლომდე უერთგულა, დააჯილდოვა კიდეც. უზარმაზარ სამგლოვიარო თაიგულში დაიდო ბინა და მთხოვნელების არმიაც იქ მიადგა მბრძანებელს.

ერთ-ერთი შევიდა და ეუბნება - მე მერობა მინდაო. თავიდან უარი სტკიცა - მერის შენ არაფერი გცხიაო, მაგრამ - გასვლისას, მის დაღვრემილ „დუნდულებს" რომ მოჰკრა თვალი - გეხუმრეო, - მიაძახა.

- **მერის შენ მარტო ძუძუები გაქვს, მაგრამ იყავი, მე რა მენაღვლებაო.**

მეორე შევიდა და კულტურა სთხოვა. პასუხმაც არ დააყოვნა - კი ბატონოო, - უთხრა.

- **თუ მუცელს მოიშორებ, კულტურას ჩაგაბარებ, თორემ ასე ნამეტანი უკულტუროდ გამოიყურებიო.**

ჰოდა, შეაგდო ამანაც მუცელი მთელი საუბრის განმავლობაში, გაისუსა, გადმოკარკლა თვალები და ისე გაუჭირდა, ისე გაუჭირდა, რომ კინაღამ გადაჰყვა ამ კულტურას. კიდევ კარგი, სხვებიც ელოდებოდნენ გარეთ და „თაიგულიდან" სასწრაფოდ გამოვარდნილმა - უჰო, - ერთი სიამოვნებით გამოუშვა ჩასუნთქული ჰაერი და ღიპი კი გამოაგდო, მაგრამ თვალები ვეღარ დააბრუნა ადგილზე.

გარეთ კი ბუნებაც იცვალა თითქოს, მზეც ვერ მზეობდა. ცა მოიქუფრა და სისხლის წვიმებიც დაიწყო.

- **სცემეთ!**
- **დაიჭირეთ!**
- **ქრთამი შესთავაზეთ!**
- **წამალი ჩაუდეთ!**
- **იარაღი დაუდეთ!**

ვარდი წითლდება და წითლდება. უნიჭობა, უზნეობა, მკრეხელობა, კაცთმოძულეობაა ახლა მოდაში.

- **დაახრჩვეთ!**
- **ესროლეთ!**
- **მოკალით!**
- **გაანადგურეთ!**

კოკორი უსივდება ბალღამით, გესლით, ბოროტებით და ამასაც არ კმარობს. შვიდი თუ ცხრა თაობით იწყევლის თავს.

- **დაარბიეთ, გაასახლეთ, გამოასახლეთ, შუაზე გადახერხეთ, ნახევარი ვოვას, ნახევარი ნატოს...**

ჰოდა, ხერხავენ შუაში „ყვავილების ქვეყანა"-ს ყველას თვალწინ. ფეხებზეც არ ჰკიდიათ იქ მცხოვრებთა ბედი? ხერხავენ დაუნდობლად, ერთი სული აქვთ, მოასწრონ, მიწასთან გაასწორონ, ფესვებიანად ამოგლიჯონ ყველაფერი ის, რითაც ასე ამაყობდნენ ოდესღაც ველური მინდვრის ყვავილები.

- **ნა ტებე მოი კუსოკ ზემლი! სკოლკა დაშ?**

მიდის გაგანია ვაჭრობა 2008 წელს, 21-ე საუკუნეში. ვაჭრობენ ყველაფრით, ტყით, ტბით, ზღვით, მდინარით, თავმოყვარეობით.

თითქოს მზეც ტირის და ამით აფხიზლებს მიძინებულ, დაჩლუნგებულ, თავგზააბნეულ ყვავილებს, რომლებიც ესოდენ ამაყობდნენ ოდესღაც თავისი ქვეყნით, ფესვით, თესლით.

„მაგარმა" კი იცის, რომ უნდა მოასწროს ამ ქვეყნის „აღგვა მიწისაგან პირისა", უნდა მოასწროს, მანამ გამოიღვიძებს გენი, რომელიც ჯერ კიდევ უხვადაა გადგმული ფესვებში. ამიტომ არ აწყობს მზე, მას უკუნი სიბნელე უნდა და ბოროტი, ჩასისხლიანებული თვალებით „ხვრეტს" ღრუბლებში შემავალ მზეს, თან ხითხითებს, ხითხითებს, ხითხითებს.

მაგრამ... მზე კვლავ მზეობს და ამ შავ ღრუბელსაც შუაში გახლეჩს. სითბო ჩამოწვება... მიწაზეც გაფაჩუნდება რაღაც, ნეტავი, რა არის? ჩითილი ყოფილა, იმდენად პატარაა, ჯერ ვერც მიხვდებით, ვისია... ააა, ენძელა ყოფილა! აი, კიდევ! ეს ვიღაა? იამ წამოყო ლამაზი თავი. იქით გვირილა გაშლილა, უფრო იქით - ვარდი, ოღონდ, ნაღდი, ლამაზი და სურნელოვანი.

თქვენ მოსვლას გაუმარჯოს, გენაცვალეთ! კვლავ ლამაზია „ყვავილების ქვეყანა."

- **ჭირი იქა, ლხინი აქა,**
**ქატო იქა, ფქვილი აქა!"** -

ამბობს ახლახან ამოსული პატარა ყოჩივარდა და ჯერ კიდევ პატარა მუშტებს უღერებს „კოლბების" ხელოვნურ, უჯიგრო, უფესვო ვარდებს.

**ლევან ანჯაფარიძე**

თბილისისთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ფორსმაჟორულ რეჟიმში ცხოვრება, რადგან ეს მიტინგები მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომის შემდეგ შეწყდება. პოლიტიკოსების გვერდით ადგილს იკავებენ რიგითი მოქალაქეებიც თავიანთ მცირეწლოვან შვილებთან ერთად. ცნობილი გამოთქმა, ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო ყაჩაღიო, თავისუფლად შეიძლება შეუსაბამო დღევანდელ პოლიტიკურ მოვლენებს, რადგან ბავშვები ზომაზე მეტად არიან პოლიტიზირებულნი და მათ ნამდვილად იციან, ვინ არის მიშა (მიხეილ) სააკაშვილი.

# ბავშვები სიმართლეს ლაპარაკობენ!



**მარი შაქიშვილი**, *8 წლის, 32-ე საჯარო სკოლის მოსწავლე.*

**- მარი, მიტინგზე რომ დაგინახე, გამიკვირდა, შენი აზრით, ბავშვებმა უნდა იარონ მიტინგზე?**

- მე მიტინგზე ბებიამ წამომიყვანა, გაკვეთილებზე არ ვიყავი და ტელევიზორში რომ ვუყურებდი ბევრ ხალხს, აქეთ წამოსვლა მომინდა. მარტო მე კი არა ვარ ბავშვი, სხვებიც ვნახე ჩემი ტოლები და ძალიან გამიხარდა.

**- მაინც რატომ მოხვედი მიტინგზე?**

- **იმიტომ მოვედი, რომ ეს მთავრობა არ მომწონს, არც მიშა სააკაშვილის მჯერა. ეს კაცი ძალიან ბევრს ლაპარაკობს, ამიტომ ტელევიზორს სხვა არხზე გადავრთავ ხოლმე, მას რომ აღარ ვუსმინო.** სულ ამბობს, უმუშევრებს უნდა მოვუძებნო ადგილიო, პენსიები მოვამატოო, მაგრამ არაფერი იცვლება. მიშა სააკაშვილი რომ არ იყოს პრეზიდენტი, დედიკო და მამიკო ჩემთან ერთად იქნებოდნენ.

**- ახლა სად არიან შენი მშობლები?**

- ისინი დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობენ. მე და ჩემი პატარა დაიკო იქ დავიბადეთ და ორივენი აქ გამოგვგზავნეს. ახლა ბებიები გვზრდიან. **მამა მელაპარაკება იქიდან და მეუბნება, სანამ კარგი ცხოვრება არ მოვა და სააკაშვილი არ გადადგება, მანდ ჩამომსვლელი არა ვარო.**

**- მარი, იმიტომ გინდა სააკაშვილის გადადგომა, რომ შენი მშობლები ჩამოვიდნენ?**

- ჰო, იმიტომ მინდა, დედამ ისიც მითხრა, ცუდი ხელისუფლება გვყავს და შვილებთან ყოფნას არ მაცლიანო. ისინი იქ მუშად მუშაობენ და ჩვენ ფულს გვიგზავნიან, რომ არაფერი მოგვაკლდეს, მაგრამ სულ ასე ხომ არ ვიქნებით, **მინდა, სააკაშვილი გაგვეცალოს და კარგი ცხოვრება მოვიდეს!**



**ლუკა გამეზარდაშვილი**, *7 წლის, 1 საჯარო სკოლის მოსწავლე.*

- მიტინგზე უკვე მესამედ მოვედი. აბა, სხვაგან სად წავიდე, ჩემს სკოლაში სწავლა შეწყვეტილია, მოვდივარ ზოგჯერ, ვკითხულობ, ხომ არ იწყება სწავლა-მეთქი. არაო, მეუბნებიან და მერე მიტინგზე ვრჩები. მომწონს აქ ყოფნა, პოლიტიკოსების ლაპარაკს ყურს ვუგდებ.

**- მერე მოგწონს, პოლიტიკოსები პრეზიდენტზე ცუდად რომ ლაპარაკობენ?**

- ეს პოლიტიკოსები ყველაფერს მართალს ლაპარაკობენ, ძალიან გაბრაზებულები არიან პრეზიდენტზე და მართლებიც არიან: **სააკაშვილი მიშა მართლა ცუდი პრეზიდენტია!**

**- რატომაა ცუდი პრეზიდენტი?**

- იმიტომ, რომ **ჩემს მშობლებს რიყეზე ოფისი ჰქონდათ და დაუნგრია, ზარალში ჩაგვაგდო. მიშა ბოროტი კაცია. მაგას არავინ უყვარს, იმიტომ რომ გულქვაა!**

**- სკოლაში ხშირად ლაპარაკობთ პოლიტიკაზე?**

- ზოგთან ილაპარაკებ, ზოგს არ უყვარს პოლიტიკოსები, მე კი აქ იმიტომ მოვედი, რომ მიშას წასვლა მინდა, **რაც მალე წავა, მით უკეთესი.** მერე კარგი პრეზიდენტი თუ მოვიდა, ყველანი კარგად ვიცხოვრებთ.



**გვანცა ჯაიანი**, *7 წლის, 43-ე საჯარო სკოლის მოსწავლე.*

**- გვანცა, მიტინგზე რატომ მოხვედი?**

- აქ მამიკომ წამომიყვანა, მქონდა სურვილი, მენახა, პოლიტიკოსები რას ლაპარაკობდნენ.

**- მერე მოგწონს და ეთანხმები მათ საუბარს?**

- კი, მომწონს ესენი. მართალსაც ამბობენ სააკაშვილზე, რომ არ უყვართ, იმიტომ, რომ მიშამ აქ ჯარი შემოიყვანა, სოფლებში ავტომატიანი და ტანკიანი ხალხი დადის, მათ რომ ვუყურებ, მეშინია, სროლა არ დაიწყონ.

**- შენი აზრით, მიშამ შემოიყვანა იარაღიანი ხალხი?**

- ჰო, იმიტომ, რომ მაგას თავისი შვილების გარდა, არავინ უყვარს. მარტო მე კი არა, ჩემს მეზობლებსაც მოსწონთ მიშა. ის უნდა გადადგეს.

**- მერე მიშა რომ გადადგეს, ვინ გინდა, მისი შემცვლელი გახდეს?**

- მე ძალიან მომწონს **ლევან გაჩეჩილაძე.** ემჩნევა, კეთილი და მართალი კაცი რომაა, არც იტყუება. ის ყველას გასაჭირზე ჯავრობს.

მოამზადა
**ნათია ლებანიძემ**

**დავით კაკაბაძე**, *13 წლის, 63-ე საჯარო სკოლის მოსწავლე.*

- მე ხელში დროშა იმიტომ მიჭირავს, რომ სხვა ბავშვებმაც დამინახონ და მოვიდნენ აქ მშობლებთან ერთად. მიტინგზე ჩვენი მომავალი წყდება და აქ უნდა ვიყოთ ყველანი. უფროსები ამბობენ, ჩვენ უდარდელი ბავშვობა გვქონდაო, ისინი კარგ დროში ცხოვრობდნენ, ჩვენ კი მიშა კარგად ყოფნას არ გვაცდის.

**- მაინც რას გიშავებს მიხეილ სააკაშვილი?**

- მეტი რაღა უნდა დაგვიშავოს, როცა ხალხი გასაჭირშია, ზოგი საჭმელს ბუნკერიდან იღებს, რომ შიმშილისგან არ მოკვდეს. ეგ კი საზღვარგარეთ დასეირნობს, კარგს სვამს და კარგს ჭამს. **ეგ და მისი მინისტრები მდიდრდებიან, ლიპები ეზრდებათ ჩვენს ხარჯზე. ამათი გაძლება და ყურება აღარ შეგვიძლია.**

**- საინტერესოა, შენი ტოლებიც ასე ფიქრობენ?**

- კი, ბევრს არ მოსწონს პრეზიდენტი. **ის ცანცარა და მშიშარა კაცია, ბევრჯერ შეგვარცხვინა საზღვარგარეთ, თავისი ქცევებით ყველას თავი შეაჯავრა.**

**- მიტინგზე ყოფნას როდემდე აპირებ?**

- მანამდე ვიქნები, ვიდრე პრეზიდენტი არ გადადგება. მაგას ბევრს ლანძღავენ, შეიძლება, დააპიროს გადადგომა, მაგრამ თავისი ხალხი არ დაანებებს, გამოჭერილი ჰყავთ მათ მიშა. მეტი გზა არ დარჩენია, ან ნებით გადადგეს, ან ჩვენ ძალით გადავაყენებთ!





**ნიკა ტოგოშვილი**, *10 წლის, მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლე.*

- მე მიტინგზე იმიტომ წამოვედი, რომ მომწონს, ტრიბუნაზე პოლიტიკოსებს რომ ვხედავ. ყველანი მიშაზე ცუდს ამბობენ და მართლებიც არიან.

**- იქნებ იტყუებიან ეს პოლიტიკოსები?**

- არა, ყველაფერს მართალს ამბობენ, ბავშვებიც ვხვდებით, მატყუარა პრეზიდენტი რომ გვყავს. ხალხს ნერვებს უშლის. ზოგი ამბობს, რატომ ლანძღავენ მიშასო, მე კი ვთვლი, ის ღირსია, რასაც ამბობენ მასზე.

**- ამბობენ, პრეზიდენტს ბავშვები უყვარსო. შენს ტოლებს ხომ ექცევა კარგად, საჩუქრებს უკეთებს...**

- მაგას იმიტომ აკეთებს, რომ მერე ტელევიზორში აჩვენონ, სინამდვილეში მაგას არავინ უყვარს. ამიტომ მინდა, წავიდეს ეგ კაცი, ხომ ხედავს, უკვე აღარავინ აღარ ენდობა. **მე აქ ვივლი მანამ, სანამ არ გადადგება მიშა.**



**მარი ახელაშვილი**, *7 წლის, 69-ე საჯარო სკოლის მოსწავლე.*

- მიშა რომ გადადგეს, ძალიან მინდა, რადგან ის ცუდი კაცია და ხალხი გაჭირვებაში ჩაყარა. სულ ჰპირდება, კარგად გაცხოვრებთო, მაგრამ კარგი არაფერი ხდება.

**- აბა, მითხარი, ცუდი რა ხდება?**

- სულ ცუდი ამბებია ყველგან. მე ერედვში სოფელი მქონდა, ზაფხულობით იქ ჩავდიოდი დასასვენებლად. ახლა ის სახლი დაიწვა, არც ახალი აიშენა და არც ფული მოგვცა, მოგვატყუა... გული მწყდება, დანაპირები რომ არ შეგვისრულა.

**- შენი აზრით, როგორი პრეზიდენტია ის?**

- როგორი და, **მშიშარაა,** ხომ ვნახეთ სურათში, ომის დროს მიწაზე რომ დავარდა. მერე ჰალსტუხებს ჭამა დაუწყო. ყველა დასცინოდა ამის გამო. მე მრცხვენია ეგეთი ლაჩარი პრეზიდენტის ყოლა. **ჩემი დედიკო ანტალიაში წავიდა იმიტომ, რომ აქ სამუშაო ვერ ნახა, იქიდან კი ფულს გვიგზავნის, რომ მშივრები არ ვიყოთ.**

**- მარი, შენი აზრით, გადადგება მიშა სააკაშვილი?**

- მგონი, გადადგება, ის წავა და მინდა, **შალვა ნათელაშვილი** მოვიდეს. ის მართალი კაცი ჩანს და გაჭირვებულ ხალხს სულ გვერდში უდგას. მარტო მე კი არა, ბევრი გაიხარებს მიშას გადადგომით!

## შპალერიზმები

**მთელმა საქართველომ ნახა სატელევიზიო კადრები, როგორ ისვრის ჩიტაძის ქუჩაზე განთავსებული შსს-ს შენობის აივნიდან ვასილ სანოძე წყლით სავსე პარკს!**

თითქოს, მაღალჩინოსანი ძალოვნის სამარცხვინო საქციელს ვერაფრით გაამართლებ, მაგრამ როდესაც „ნაცმო“-ს თავის რიგებში ჰყავს **უფუნქციოდ დარჩენილი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე,** ქოთანს იქიდან მოაბამ ყურს, საიდანაც „მკვლელების ბრიგადის“ ამ ადვოკატს გაეხარდება!..

დიახ, **ინგა გრიგოლიას 26 აპრილის ტელეგადაცემა „პოლიტიკურ კვირაში“, თენგიზ კიტოვანივით მუდამ საეჭვოდ მომღიმარმა დავით ბაქრაძემ ურცხვად განაცხადა, სანოძე თავის თანამშრომლებს გაეხუმრა და ამიტომ ესროლა წყლით სავსე პარკი შსს-ს შენობის აივნიდანო!**

ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ ვასილ სანოძე მართლაც ასეთი „ხუმარაა“ და წყლით სავსე პარკებით „ატენიანებს“ თანამშრომლებს!..

**ბარაქალა ჩვენს ძალოვნებს, რომელთა მაღალჩინოსნები - საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებასა და მშვიდ ძილზე მზრუნავი მეციხოვნეები - ასე ერთობიან სამუშაო საათებში!..**

**მაგრამ ვინ დაიჯერებს (დავით ბაქრაძის გარდა!), რომ ვასილ სანოძე იუმორისტული განცდების ტყვეობაში ისვრის აქეთ-იქით წყლიან პარკებს?!**

**ეს ხომ ის ვასილ სანოძეა,** რომელიც 2004 წლის გაზაფხულზე გლდანის ეკლესიის სამარცხვინო, ავაზაკური დარბევისას **სახეში მუშტებს ურტყამდა ხანშიშესულ ქალებს?!**

**ეს ხომ ის ვასილ სანოძეა,** რომელიც დღემდე ეჭვმიტანილია ოქროყანის სასაფლაოზე **სანდრო გირგვლიანის შემაძრწუნებელი წამებისა და მკვლელობის დაგეგმვაში?!**

ვასილ სანოძეს ზემოხსენებულ სატელევიზიო კადრებში აშკარად არ ეტყობოდა, რომ ხუმრობის ხასიათზე გახლდათ!

მეტიც, **იქვე ჩანს, როგორ უჭირავს სანოძის ერთ-ერთ დამქაშს ხელში „კისტის“ თოფი!.**

**სანოძის მიერ წყლიანი პარკის ტყორცნა 25 აპრილს მოხდა. ამავე დღეს თოფით სახეში დაჭრეს მომიტინგე თენგიზ ბერიძე!..**

იქნებ, ბაქრაძეს დაავიწყდა, ეთქვა, **„სანოძე და კომპანია“** თანამშრომლებს ხუმრობით „კისტის“ თოფსაც ესვრისო?!

შსს-ს სამინისტროდან „კისტის“ თოფიდან გამოსროლილი ტყვიით დაჭრილი დემონსტრანტის დასისხლიანებული სახე კი ყველამ ნახა!

**ვასილ სანოძის „იუმორისტული შოუს“ შემხედვარე, ვის უნდა უკვირდეს, რომ ასეთი დიალოგის მოსურნე „ხელისუფლებასთან“ საქმის დაჭერა არავის უნდა!**

**ეს „ხელისუფლება“ მშვიდობიან მომიტინგეებს აბუჩად იგდებს, „კისტის“ თოფსა და ფეკალიებით სავსე პარკებს ესვრის და თუ სანოძეები სავარძლებს შეინარჩუნებენ, არა მხოლოდ დალაშქრული ეკლესიების ეზოებში ჩაარტყამენ მუშტს ხანშიშესულ ქალბატონებს, არამედ, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძისა თუ გურამ შარაძის მკვლელობებისა არ იყოს, კვლავაც გააგრძელებენ უდანაშაულო ადამიანების ხოცვას!**

●

**ვასილ სანოძის მიერ ნასროლი წყლიანი პარკი, პრაქტიკულად, მთელი ცივილიზებული სამყაროს თავზე გასკდა ნეიტრონული ბომბივით და ყველას დაანახვა, რას წარმოადგენს სააკაშვილის რეჟიმი და რატომ ითხოვს ქართველი ხალხი აგერ უკვე თითქმის ერთი თვეა:**

**„მიშა, წა-დი!!!“**

**გიორგი გიგაური**

## როდესაც პატრიარქის მიმართვა დაბლოკეს, მე ჩავთვალე, რომ უნდა დამეტოვებინა „ტელეიმედი“



**„ტელეიმედიდან“ თანამშრომლები მოდიანო, თქვეს და უცებ დაადეს ამ თემას ტაბუ... დღეს ხელისუფლების ტელევიზიებიდან ხალხის გადინების პროცესის გახმაურება არ აწყობთ, ალბათ, „ნაცმოძრაობის“ ბელადებს... არადა, დიანა ტრაპაიძე და თეა სიჭინავა 8 აპრილს მხოლოდ იმიტომ წამოვიდნენ მშობლიური ტელეკომპანიიდან, რომ მავანმა ულმობლად პატრიარქის მიმართვის დაბლოკვა შეძლო! ვესაუბრებით „იმედის“ უკვე ყოფილ ჟურნალისტს თეა სიჭინავას:**

- იცი, ჩემთვის ძალიან მტკივნეულია ამ თემაზე საუბარი და არ მინდა, ჩემი ნაბიჯი ვინმემ რაიმე სახის პოლიტიკურ პროცესს დაუკავშიროს, რადგან ვთვლი, რომ, პირველ რიგში, მე ვარ ჟურნალისტი და ამ პოლიტიკური პროცესებისგან შორს ვარ! **რამ მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება? მიმაღებინა იმან, რომ ჩემთვის მიუღებელი იყო პატრიარქის მოსაზრების არასრული ვერსიით გაშუქება!** ეს კომენტარი ის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მისი უწმინდესობის მიმართვისა, რომელშიც ჯარისადმი იყო მიმართული და რომელიც გავიდა „ქრონიკის“ დღის ორსაათიან გამოშვებაში და რომელიც მერე - ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით - ამოიღეს ეთერიდან! მე, უბრალოდ, კითხვა დავსვი, როგორც ჟურნალისტმა - **„რატომ?“,** რაზეც მივიღე ასეთი პასუხი - **„ეს თქვენი საქმე არ არის!“** ჩემთვის ის იყო მიუღებელი, რომ პატრიარქის კომენტარი დაბლოკეს! ფაქტმა ნათლად დამანახა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო მომავალში!

**- თეა, დღეს შენ ისეთი ნაბიჯი გადადგი, როგორი ნაბიჯის გადადგმასაც ადრეც და ახლაც საზოგადოება ბევრისგან ელოდა... რატომ მაინცდამაინც დღეს? აქამდე ყველაფერი რიგზე იყო „იმედში“? მით უფრო, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ...**

- ჩვენ, „იმედში“ დარჩენილი ადამიანები, ვთვლიდით, რომ 2007 წლის ბოლომდე ეს ტელევიზია ნამდვილად გახლდათ დამოუკიდებელი ტელეკომპანია! ჩვენთან მფლობელის შეცვლის შემდეგ, ჯოზეფ ქეის მოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე მობრძანდა ქალბატონი **ინა გუდავაძე** - ბატონი ბადრის მეუღლე და ტელევიზიის თანამშრომლებს გვთხოვა, დავრჩენილიყავით არხზე... მისთვის მთავარი იყო, არხი გადარჩენილიყო... მე, როგორც „ტელეიმე-დის“ პირველი თაობის თანამშრომელმა, მივიღე ქალბატონი ინას თხოვნა და ვიყავი იქ იმ დრომდე, ვიდრე შევძელი!

უკვე მეცხრე თვეა, რაც მაუწყებლობა აღდგა და შემიძლია, დაზუსტებით გითხრათ, რომ ძალიან ბევრმა ჟურნალისტმა ძალიან ბევრჯერ გამოთქვა პროტესტი არხის ხელმძღვანელობის მისამართით! ხშირად შედეგიც მიგვიღია, ბრძოლას ჰქონდა აზრი და ამ ბრძოლით მოვედით 8 აპრილამდე, მაგრამ **8 აპრილს, როცა პატრიარქის კომენტარი დაბლოკეს, ეს იყო ბოლო წვეთი ჩვენი მოთმინებისა!** ექვსი წელი ვიმუშავე „იმედში“ და ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო ამ ნაბიჯის გადადგმა! მაგრამ მე ასე უნდა მოვქცეულიყავი და მოვიქეცი კიდეც!

როდესაც პატრიარქის ნათქვამს ბლოკავენ, იქ აღარაფერს არა აქვს აზრი! იქ მე ვეღარ ვიბრძოლებდი! თუმცა, როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდი, მართლაც არ მიფიქრია, რომ ვინმესთვის თუნდაც მორალური მაგალითი მიმეცა... ეს იყო ჩემი გულწრფელი გადაწყვეტილება და უფრო მეტსაც გეტყვით: **ჟურნალისტები ნინი საყვარელიძე და ანა გოჩაშვილი, გამომშვები რედაქტორი ჯონი კალანდაძე და მთავარი პროდიუსერი თენგიზ მეზურნიშვილი ბოიკოტის რეჟიმში რჩებიან დღესაც და არ დადიან სამსახურში!**

დიახ! ეს ადამიანები 8 აპრილს მომხდარი უზნეობის შემდეგ სამსახურში აღარ დადიან!

ესაუბრა
**გიორგი მამაცაშვილი**

## „რატომ ვაკერებდით დილის კადრებს 4-საათიან გამოშვებაში და მითუმეტეს, რატომ ვაწერდით, რომ ეს იყო პირდაპირი ეთერი?“



**„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სამმა წევრმა „პირველ არხზე“ გამეფებული უსამართლობისადმი პროტესტის ნიშნად არხი დატოვა! ჩვენც სწორედ ამ პროტესტის თაობაზე ვესაუბრეთ ქალბატონ ირმა სოხაძეს:**

- ეს ნაბიჯი სპონტანურად არ გადაგვიდგამს. არხის პოლიტიკის შეცვლას ვცდილობდით რამდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. სიმართლე გითხრათ, ძალიანაც მენანება განვლილი წელი... მეგონა, მართლა საზოგადოებრივ ტელევიზიას ავაშენებდით, მაგრამ... პირდაპირ გეტყვით: ტელევიზიიდან წამოსვლის გადაწყვეტილება ძალიან დიდი ნერვიულობისა და ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე... უბრალოდ, სხვა გზა აღარ იყო!

ერთსაც გთხოვთ, დაბეჭდეთ ის განცხადება, რომელიც ჩვენ, არხიდან წამოსულმა თანამშრომლებმა მივიღეთ, რადგან „მაესტროს“ ეთერით ბატონმა **ზვიად ქორიძემ** ისიც კი განაცხადა, თითქოს კონიუნქტურის კარნახით მიგვეღოს ეს გადაწყვეტილება...

არადა, მართლა საკუთარი სურვილით მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, არანაირი კონიუნქტურა და კარნახი არ ყოფილა და შემიძლია, დაგიფიცოთ კიდეც!

**რატომ მიიღეს ახლა ეს გადაწყვეტილება და არა უფრო ადრეო?** - ზვიადმა შეკითხვა დასვა... **„აქამდე მოგწონდათო არხის პოლიტიკა?..“** არა! არ მომწონდა და იმიტომაც ვიბრძოდით, როგორც შეგვეძლო! მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „საზოგადოებრივი არხი“ უნდა იყოს ოპოზიციურ პოზიციებზე... სულაც არა, მაგრამ არც ასე უნდა იყოს ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი! ჩვენ უნდა ვიყოთ სანდო არხი და არა ვინმეს განწყობის არხი... მოკლედ, ბევრი თემა იყო, რაშიც არ ვეთანხმებოდი არხის ხელმძღვანელობას, გვქონდა ბევრი კამათიც... თუნდაც იმაზე, რომ ფსევდოოპტიმისტური შეფუთვა ჰქონდა გადაცემებს. არ იყო ამის დრო ახლა... **რეალობისგან და საზოგადოებისგან მოწყვეტილია დღეს ის ტელევიზია, რომელსაც „საზოგადოებრივი არხი“ ერქვა!**

**- „იმედიდან“ დიანა ტრაპაიძე და თეა სიჭინავა მხოლოდ იმის გამო წამოვიდნენ, რომ პატრიარქის მიმართვა ცენზურის ქვეშ მოჰყვა და ეს იყო ბოლო წვეთი მათი მოთმინების ფიალისა...**

- ჩვენთანაც იმავე სახის ცენზურა გაიარა პატრიარქის მიმართვამ. მაშინ ჩვენ სხვანაირად გამოვხატეთ პროტესტი... უკვე 9 აპრილს წერილით შევედი ლევანთან, სადაც კატეგორიულად ვგმობდით ფაქტს! **მეტსაც გეტყვით: სამი წევრი ტოვებს სამეურვეო საბჭოს და „პირველი არხის“ საინფორმაციოების ანონსებშიც არ გაუშვიათ...** და, თურმე, იმის გამო წამოვსულვართ, რომ პირდაპირ ეთერში მიტინგებს არ უშვებენ. ეს აბსურდია! ჩვენი წამოსვლის მიზეზებზე მომზადებული სიუჟეტიც დაამახინჯეს „მოამბეში“ და სხვაზე რაღა უნდა გითხრათ?!.

მე ვთვლი, რომ არხი დღეს მუშაობს ცუდად! ვინც აკეთებს ამ გადაცემებს, ის უნდა გადადგეს! **უნდა გადადგეს „მოამბის“ მთავარი რედაქტორი!** მეტიც: **დღეს ყველა უნდა გადადგეს, ვისაც ტელევიზიაში ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია!** არ შეიძლება, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყოს რადიკალურად ოპოზიციური, მაგრამ რასაც ახლა აკეთებენ, ეს, მითუმეტეს, არ შეიძლება! ეს უნდა იყოს ხალხის ტელევიზია! დეზინფორმატორები კი არ უნდა ვიყოთ, ინფორმატორები უნდა ვიყოთ! მე მრცხვენია, დედას გეფიცებით! **მე მრცხვენოდა და ბევრჯერ რომ შემრცხვა, ამიტომაც წამოვედი „პირველი არხიდან“!**

**ვისაც რცხვენია, ყველამ იგივე ნაბიჯი უნდა გადადგას!** დიახ, რადგან ხშირად მეც ვერ ვიგებდი, დილის კადრებს რატომ ვაკერებდით ოთხსაათიანში? და მითუმეტეს, რატომ ვაწერდით, რომ ეს იყო პირდაპირი ეთერი? რატომ მივეცით „უცნობის“ კონცერტის ჩანაწერი ათის თხუთმეტ წუთზე, როცა ღონისძიება 7 საათზე დაიწყო? ხვდებით? **დღეს ეს ტელევიზია არის არაადეკვატური!**

# ერი გაპატიებთ, ბატონო პრეზიდენტო!



**ჩემს ბავშვობაში ისტორიის სახელმძღვანელოშიც ეწერა და მეც მასწავლეს, თუ როგორი სიმკაცრით იქცეოდა დიდი დავით აღმაშენებელი მოღალატე ფეოდალებისა და ორგული მოხელეების წინააღმდეგ. მათ შორის ურჩობით გამორჩეული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი დიდმა მეფემ ჯერ შეიპყრო და შემდეგ ქვეყნიდანაც გაასახლა! შემდეგ დიდი ბრძოლებიც მოიგო დავით IV-მ და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაშალა საქართველოს გეოგრაფიული რუკა. და სწორედ ამის შემდეგ დაწერა „გალობანი სინანულისანი"...**

დიახ, ჩემო ძვირფასებო! ქვეყნის გაერთიანებისა და უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევის შემდეგ დაწერა დიდმა მეფემ „გალობანი სინანულისანი" და მასში საოცარი გულწრფელობით მოინანია ერისა და ქვეყნის წინაშე, ნებსითა თუ უნებლიეთ, დაშვებული შეცდომები!

●

დღეს, როდესაც ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს ჩვენს ქვეყანაში და როცა ძმა ძმის ჩაშვებისათვის ღირსების ორდენით ჯილდოვდება, ერთიათად იყო ყურადსაღები პატრიარქის მოწოდება - გულწრფელად მოგვენანიებინა საკუთარი ცოდვები და მეტ-ნაკლებად სულსუფთანი წარვმდგარიყავით ერისა და ბერის წინაშე.

ასე მოიქცა თითქმის ყველა და ამის მცდელობა ჰქონდა ბატონ სააკაშვილსაც, მაგრამ რაც საკუთარი თვალით ვნახე და რასაც საკუთარი ყურით ვუსმინე, მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა!

●

**„მე ვარ პირველი ცოდვილი ცოდვილთა შორის!**

**ვაპატიოთ ერთმანეთს ყველაფერი, ვთხოვოთ პატიება და ყოველთვის ვიფიქროთ, რომ ჩვენ არ უნდა ვაწყენინოთ, ჩვენ არ უნდა გამოვხატოთ სიძულვილი, ჩვენ არ უნდა გამოვხატოთ აგრესია სხვის მიმართ".** - ბრძანა ბატონმა **სააკაშვილმა** და ეს ყველაფერი ისეთი აგრესიითა და ყვირილით წარმოთქვა, რომ...

●

**მე, ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქე, ბევრ რამეს ვერ გაპატიებთ და თუ რატომ ვერ გაპატიებთ, ამასაც ახლავე აგიხსნით!**

წერილის თავში რომ დავით აღმაშენებელი ვახსენე, შემთხვევით არ მიქნია ეს საქმე.

სწორედაც რომ ძელზე გასვა იმ დავით აღმაშენებელმა მოღალატე ფეოდალები, რომლის საფლავზეც ფიცი დადეთ პრეზიდენტობის პირველი ვადის „პროლოგში"... ფიცი დადეთ, რომ ყველაფერს გააკეთებდით ერისა და ქვეყნის გადასარჩენად, და **ამ ფიცს უღალატეთ თქვენ!**

თქვენ რომ მოღალატეები გეგონათ, ბევრი მათგანი თქვენც გასვით ძელზე და ბევრსაც დაავიწყეთ ქართული ცის სითბო, მაგრამ **აღმაშენებელმა მოღალატეთა ძელზე გასმის შემდეგ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმა ქვეყნის ტერიტორიები, თქვენ კი - მავანთა ძელზე გასმის, საკანში ჩასმისა თუ ქვეყნიდან გაძევების შემდეგ ქვეყნის ტერიტორიების მესამედი დაკარგეთ (!)!**

**ეს პირველია და ყველაზე უმთავრესი - რასაც ვერ გაპატიებთ!**

სიმართლე გითხრათ, არც ერსა და ბერს მიუღია თქვენი სინანული გულწრფელად! ერმა და ბერმა რომ ირწმუნოს თქვენი - ამისთვისაც დიდი გარჯა მოგიწევთ, ვფიქრობ...

●

თქვენ რომ იმ დღეს სინანულის „საგალობელს" გაჰყვიროდით, სადაც თქვენ ბრძანდებოდით, იმ ადგილს ერისათვის და ბერისათვის უწმინდესი სახელი - სამების ტაძარი ჰქვია! რწმენისა და უფლის ტაძარი ქართველთათვის უწმინდესია! სწორედ **ასეთი ტაძრის ნგრევის განკარგულება გაეცით თქვენ რამდენიმე წლის წინ და როგორც ამბობენ, გიგა ბოკერიას „ხელდასხმით" - ფერიის მთაზე მშენებარე ტაძარი მიწასთან გასწორდა!**

**დასაჯეთ ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესიის დამანგრევლები! დასაჯეთ, პასუხი აგებინეთ და ეს იყოს პირველი ნაბიჯი სინანულისკენ!**

**მერწმუნეთ, ქართველი ხალხი გაპატიებთ, თუ გულწრფელ სინანულს დაინახავს თქვენში!**

●

თქვენც გემახსოვრებათ როგორ შეანგრიეს „ურალის" ტიპის მანქანით გლდანში მდებარე ეკლესია**!**

იმ ვანდალურ ოპერაციაში თქვენი არაერთი მეგობარიც მონაწილეობდა - **გოგი თავთუხაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ვასილ სანოძე, ძმები ახალაიები, გიორგი ბარამიძე, ზურაბ ადეიშვილი...** ზოგს შეიძლება, ღმერთმა უკვე მოჰკითხა კიდეც ჩადენილი ცოდვებისათვის, მაგრამ ღმერთს ნუ შეედრებით! თქვენ თქვენი თქვით! **დასაჯეთ მართლმადიდებლური ტაძრის ულმერთოდ შელეწვისთვის დამნაშავენი და ქართველი ხალხის მიმტევებლობის ამბავი თქვენც იცით - მოგიტევებთ ერი ჩადენილ ცოდვას!** სხვათაშორის, თუ ამ ყველაფერს, რაც უკვე ვთქვი და რასაც ქვემოთ გეტყვით, შეასრულებთ - შესაძლოა, თქვენი პოლიტიკური გამზრდელის, გზაზე დამყენებლისა და მეგობრის, **ზურაბ ჟვანიას** სულმაც მოგიტევოთ და გაპატიოთ ბევრი რამ! **მაგრამ ამისათვის, როგორც მინიმუმ, გარდაცვლილი პრემიერის დედას, ქალბატონ რემას უნდა ჩახედოთ თვალებში და გულწრფელად მოუხადოთ ბოდიში თუნდაც იმის გამო, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობიდან ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ(!) შეხვდით!!!**

●

გაგონილი გექნებათ **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** სახელი... ალბათ, ბავშვობაში გაიგებდით, თორემ თქვენი პრეზიდენტობის ვადაში ის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის რომ იყო, **ალექსანდრე (კახა) ლომაიას სახელობის უნივერსიტეტად** იქცა და, საბედნიეროდ, ჯერჯერობით ისევ იქ დგას, სადაც თქვენს ყმაწვილკაცობაში იდგა! და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ **ბენდუქიძემ ვერ მოასწრო გაყიდვა! ამ უნივერსიტეტს სახელიც წაართვეს, ღირსებაც და მისი უკანასკნელი რექტორის კაბინეტიდან ლვაწლმოსილი აკადემიკოსები და პროფესორები ხელებაწეულნიც გამოიყვანეს!**

მართალია, ლომაიასეული განათლების რეფორმა ბოლოს თქვენც დაიწუნეთ, მაგრამ მხოლოდ დაწუნება საქმეს ვერ შველის! **დასაჯეთ ლომაია სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის განადგურებისთვის, ქართული ენის წაბილწვისთვის და გაუქმებისთვის, ენის პალატისა და ქართული ენის სახელმწიფო კომისიის მიწისაგან პირისა აღგვისთვის!**

**დიახ! სამაგალითოდ დასაჯეთ და მერე ირწმუნებს თქვენსას ის ინტელიგენციაც, ჯერ უზნეოდ რომ „ჩარეცხეთ" და მერე ინდაურებით დაამუნათეთ!**

●

**ვიდრე თქვენს მონანიებასა თუ სინანულს ხელახლა აღავლენდეთ საპატრიარქო ამბიონიდან (?!), სანდრო გირგვლიანის საფლავზე აბრძანდით, გვერდით დედის საფლავი რომ აქვს ჩემს კბილა ვაჟკაცს და სანთლები დაანთეთ! სანდრო გირგვლიანის სახელზე დაანთეთ სანთელი და ქალბატონი ირინა ენუქიძის საძვალესთან მუხლი მოიდრიკეთ, უპირველეს ყოვლისა!**

**მერე ირწმუნებს თქვენს სინანულს ერი, ბატონო!**

მერე **ბუტა რობაქიძის** მშობლები ნახეთ აუცილებლად! **კოტე გაბაშვილმა რომ დასცინა, ისე არ დასცინოთ შვილმკვდარ მამას!** შეხვდით, მოხუცი პენსიონერის დანახვაზე რომ ჩამოიგორე კურცხალი სახეზე, **იქნებ ერთადერთი შვილმკვდარი დედის დანახვაზეც აგიცრემლიანდეთ თვალები** და მაშინ ირწმუნებს ერი თქვენს სინანულს! მანქანაში ჩაცხრილულ **ზურა ვაზაგაშვილს** საკონტროლო გასროლა რომ დააყოლა - ის ადამიანი დასაჯეთ და მერე ირწმუნებს ხალხი თქვენსას, ჩემო ბატონო!

**თუმცა, ერთიცაა: როგორც მინიმუმ, თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლოთ ის ვასილ სანოძე, სანდრო გირგვლიანის წამებით მკვლელობაში რომ არის ეჭვმიტანილი და რომელიც, ამ პოლიტიკური კრიზისის ფონზე, „სამთავრობო წუწაობით" ირთობს თავს! მინიმუმ, თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლოთ ძმები ახალაიები, ჯარი და პენიტენციარული სისტემა საჯიჯგნად რომ ჩაუგდეთ ხელში! ხოლო მაქსიმუმ - სანოძე (რომელმაც ერთი კვირის წინ ტელეკამერების წინ საჯაროდ აიგდო მასხრად ქართველი ხალხი), მელნიკოვი, ძმები ახალაიები და ძმანი მათნი თქვენს მიერ ნაქებ და ნაჩქარევი წესით აგებულ ციხეში უნდა ჩასვათ!**

გადადგით ეს ნაბიჯი და მერე ირწმუნებს ერი თქვენს სინანულს!

და მოგეხსენებათ - **მიმტევებელია ქართველი ხალხი და იქნებ, ესეც მოგიტევოთ!**

●

**ვიდრე დამვიწყებია, აქვე გეტყვით: ლევან რამიშვილი, გიგი თევზაძე, თეა თუთბერიძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ნოდარ ლადარია, გია ნოდია** - ეს ის ხალხია, რომლებმაც ხშირად თქვენი ხუშტურებით, ხშირად საკუთარი უზნეობით წარწყმიდეს ერის სულიერი და კულტურული ღირებულებები და ილია ჭავჭავაძის იდეოლოგია თავიანთი ბინძური იდეოლოგიით შეცვალეს! **ეს ხალხი აუცილებლად უნდა დაისაჯოს!**

**სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ეს ხალხი, რადგან მათი დასჯით ნათლად დაინახავს ყველა, რომ მართლმადიდებლობის დაცინვა და აბუჩად აგდება, რწმენის შელახვა, სულის წაბილწვა და ეროვნული ღირებულებების განადგურება** (და არა განადგურების მცდელობა მხოლოდ!) **დასჯადია საქართველოში! სოროსის ძუძუს რძით არ უნდა ირეცხებოდეს და იბანებოდეს უნივერსიტეტის თეთრი კედლები! და ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დედა-ენის შელახვა არავის ეპატიება!**

მაგრამ... დასაჯეთ და ძელზე გასვით ერისა და ქვეყნის გამყიდველები და იქნებ, მერე მაინც ირწმუნოს თქვენი სინანული მთელმა ქვეყანამ!

**ის, რაც კახა ბენდუქიძემ თქვენი მითითებითა თუ თქვენივე მონადქცეული მთავრობის ხელდასხმით გააკეთა, მურვან ყრუსა და ჯალალედინსაც არ უქნიათ!** თუკი რამის გაყიდვა შეიძლებოდა, ყველაფერი გაყიდა და ეჭვმიტანილია - თქვენივე მითითებით!

დაუბრუნეთ ხალხს მიწა, ტყე, წყალი, მდინარეები, მთა და ბარი!

**დაუბრუნეთ გაყიდული და გასხვისებული ქონება და სამაგალითოდ „გასვით ძელზე" ქვეყნის გამყიდველები!**

**მერე მორალური უფლებაც გექნებათ ტაძარში სინანულის საგალობლის აღვლენისა!**

**ოღონდაც, გემუდარებით, საპატრიარქო ამბიონზე ნუღარ შედგებით და ჩვეული ამპარტავნებით ნუღარ დასჩხავლებთ ერს! გემუდარებით!**

●

როდესაც სინანულსა და პატიებაზე დაიწყებთ თქვენეულ ბრიფინგებს, და ვიდრე „ქადაგად დაეცემით", ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში სამსახურებიდან თუ საკუთარი სახლებიდან ათასობით ადამიანი გამოჰყარეს!

**დაუბრუნეთ მწერალთა კავშირის სასახლე მწერლებს! დაუბრუნეთ კომპოზიტორთა კავშირის ქონება კომპოზიტორებს!**

●

**ერთმანეთს ვაპატიოთო, რომ ბრძანებთ, მე არაფერი მაქვს საპატიებელი თქვენგან! თქვენ კი - ბევრ რამეზე გაქვთ არათუ ბოდიში მოსახდელი, არამედ კონკრეტული ქმედებაა ჩასადენი, რათა თუნდაც მხოლოდ მე, ერთმა რიგითმა, ვირწმუნო თქვენი მონანიების გულწრფელობისა!**

**დიახ! გამომცემლობა „სამშობლოდან" ჩემი და ჩემი კოლეგების ვერაგულად და არაადამიანურად გამოძევების გამო მომიხადეთ ბოდიში, პირადად გამოიძიეთ საქმე, დაუბრუნეთ „სამშობლო" „სამშობლოდან" დევნილი მედიის წარმომადგენლებს.**

მას მერე ვისაუბროთ მიტევებაზე, ძმობაზე, გაგებაზე და ერთმანეთის გულწრფელ სიყვარულზე, როცა იმ პატარა ანგელოზებს იმ ბავშვობას დაუბრუნებთ, თქვენი და თქვენი მთავრობის უგუნური ქმედებების გამო რომ დაკარგეს შარშან აგვისტოში და ცხოვრების ბოლომდე რომ გაჰყვებათ მოუშუშებელ იარად!

**და თუ ოდნავ მაინც გწამთ ღმერთის, ახლა მაინც ნუ გაიმეორებთ - გავიმარჯვეთო!**

●

**დიახ! სასწრაფოდ და უმკაცრესად უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე, ყველა გამყალბებელი და ეს პირადად თქვენ უნდა გააკეთოთ!**

**მერე?**

**მერე - კი ბატონო! „დაეცით ქადაგად" და ითხოვეთ პატიება! ვიმეორებ - მიმტევებელია ქართველი ერი!**

**გიორგი მამაცაშვილი**

**ბოლოთქმა**

**არ ვიცი, რატომ, მაგრამ... ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, ქართულ მხატვრულ ფილმ „მონანიებაში" საფლავიდან არაერთგზის ამოთხრილი ვარლამ არავიძის მიერ ნათქვამი ფრაზები მახსენდება... ეს გზა ტაძრამდე არ (!) მიდის!!!**



**ვარლამ არავიძის მონოლოგი ფილმიდან „მონანიება"**

„მიშველე, ბაბუ! მზე ამოდის, მზე! რა უნდა ჩემგან? რას მერჩის? დავაბნელოთ, ბაბუ! დავაბნელოთ, თორემ სულ დავიცლები სისხლისგან... დააკვირდი თითებს - სისხლი წვეთავს... მზე რომ ამოდის, ვიცლები სისხლისგან... ჩქარა, ბაბუ, ჩქარა! დავაბნელოთ, თორემ სულ დავიცლები სისხლისგან!

რააა? რა გინდათ ჩემგან? რა გინდათ ჩემგან? რას მერჩით, რას გადამეკიდეთ? რას მიძვრები სულში? სულში რას მიძვრები? ოჰ... დაგაბნელებ... ახლავე დაგაბნელებ... ჰი-ჰი-ჰი-ჰი... ბე-ე-ე-ე.... ბეე-ე-ე-ე..."


















**მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლის 8 აგვისტო:**

**საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე...**

**2008 წლის აგვისტოში ქართული ჯარის მთავარსარდალმა საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა:**

ქვემო აჟარა
მამისაანთუბანი
თამარაშენი
ახმაჯი
აძგარა
ფრისი
ქვემო აჩაბეთი
მოსაბრუნი
იგოთი
ბუჩუკური
არგვიცი
ზემო აჩაბეთი
კორინთა
ბუძგური
ბერულა
ქურთა
საძეგური
გვანდრა
ერედვი
კეხვი
ლარგვისი
ზემო აჟარა
ვანათი
საცხენეთი
სვერი
ქარჩოხი
ზემო ზიმი
ბელოთი
ხეითი
ძარწემი
ალემი
ქვემო ზიმა
ზონკარი
ქემერტი
ჩიტიანი
ზემო ომარიშარი
ქვაბჩარი
ფრონე
დადიანეთი
ვაშლოვანი
ქსუისი
მარცხენა გეწვიში
ერედა
საკენი
დორეთკარი
მარცხენა პტიში
ოქონა
არცევი
არკნეთი
ავნევი
ყანჩავეთი
მარჯვენა გეწვიში
ტვირბრაშერი
დელკანი
ნული
ხეცკვარა
ძეგლევი
ჩხალთა
პტიში
დისევი
ნახარი
ჩირქოლი
შაბათკვარა
ბოლი
მრამბა
ომარიშარი
ჭარები
ხუტია
აწრისხევი
კლიჩი
ჯვარისუბანი
ბალაანი
ელოიანი
თინიკაანი
მიდელაანი
ნავიხევი
ოხორი
პავლიანი
ქარელთკარი
ქენქაანი
ჩიგიოანი
წიფათური
ჭორჭოხი
ხოზუეთი
დაბაკნეთი
ზოდეხი
თოხთა
მანჭიკაანი
მარტიანი
მაჭარაანი
მახიარეთი
მუჯუხი
პაპიაანი
უკანამხარი
უკანუბანი
ყველდაბა
შიუკაანი
ბაზუანი
ახალდაბა
ახალსოფელი
ბეჟანაანთკარი
ბარუბანი
ერედა
მორბედაანი
გდუ
ბოსლეთა
ღრუ
კოდიჯვარი
მამულაანი
მონასტერი
ციხისოფელი
ჭანდარი
გეზევრეთი
გუდაწვერი
ნახიდი
ყოჩაანი
წირქოლი
ხარკელანი
გავაზი
გარუეთი
დოგუზაანი
ველისა
კარა
კუცხოვეთი
მშველიეთი
საბარკლეთი
ჩკუნეთი
ცხავათი
ძაგნათი
ხარბალი
ხრამისწყარო
სალბიერი
ნაგომევი
ჩორჩანი
მუხიერითი...

**ნიკო ლორთქიფანიძე ასი წლის წინათ:**

**იყიდება საქართველო.** მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით; მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარეებით.

**ჰყიდის ყველა:** თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

**იყიდება ყველგან:** ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

**იყიდება ერთიანად:** შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. **იყიდება ნაწილ-ნაწილ:** კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. **იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ,** ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

**იყიდეთ ბარემ მთლად,** გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

## ბოლო წამს, სანამ გაზეთი დაიბეჭდებოდა

საქართველოს მართლმადიდებლური, სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის

# განჩინება



– ჩრდილოეთ ამერიკის (ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) ქართული სამრევლოების მმართველად დაინიშნოს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) და ეწოდოს მიტროპოლიტი ბათუმისა და ლაზეთის და მმართველი ჩრდილოეთ ამერიკის (ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) ქართული სამრევლოების.

**საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებას სიხარულით ამცნო, რომ საქართველოში, ფარავნის ტბაზე, იწყება ენგურჰესის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც თურქული კომპანია განახორციელებს. აღნიშნული პროექტის შესახებ გვესაუბრება გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „წყლის გლობალური პარტნიორობის" ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე. ამასთან ერთად, მისთვის ცნობილი გახდა რაჭაში კაშხალების მშენებლობის პროექტების შესახებ, რისთვისაც ასევე ერთ-ერთი თურქული კომპანია ემზადება.**

## ნინო ჩხობაძე: უმერის წყალსაც ვკარგავთ?

**- ქალბატონო ნინო, რამდენად წარმატებული იქნება ფარავნესის პროექტი საქართველოსთვის?**

- ცხადზე უცხადესია, რომ აქ შეუძლებელია, აშენდეს ენგურჰესის სიმძლავრის სადგური. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჰიდრორესურსი არ არის საკმარისი. 60 მეგავატი არის მაქსიმუმი, რაც შეიძლება ფარავნესმა გამოიმუშაოს. ენერგეტიკის მინისტრი აცხადებს 78 მეგავატს, თუმცა, ენგურჰესს ვერც ეს შეედრება, სადაც 1 500 მეგავატი ელექტროენერგიის გამომუშავება ხდება.

**თუ, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მართლაც ენგურჰესის სიმძლავრის ნაგებობის აშენებაზეა საუბარი, მაშინ ჩათვალეთ, რომ ალაგ გამოილი ჭკაბაკოი.** თანაც ამით სერიოზულ საფრთხეს ვუქმნით სხვა პროექტებს. უკვე 5 წელია, არსებობს დაცული ტერიტორიის პროექტი, რომელიც გულისხმობს ჯავახეთის ზეგანზე ეროვნული პარკის შექმნას.

ასე რომ, საკმაოდ ძნელია, გავიგო, რას აპირებს ხელისუფლება. ცხადზე უცხადესია, რომ გადაჭარბებულია განცხადება იმის თაობაზე, თითქოს აქ 2 000 კაცი დასაქმდება. თურქულმა მხარემ განაცხადა, რომ მშენებლობის პროცესში აქ დასაქმდება 800 კაცი. მე ეჭვი მეპარება იმაშიც, რომ ეს ადგილობრივი მოსახლეობა იყოს.

**- რატომ?**

- ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჰიდრონაგებობის აშენებას კვალიფიციური კადრები სჭირდება, რაც ჩვენთან, პრაქტიკულად აღარ დარჩა. მე სულ რამდენიმე სპეციალისტს ვიცნობ, რომლებსაც ამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია. მეორეც, **სასტიკი პირობა იყო აეროპორტის მშენებლობის დროს, მაგრამ ბინაზათ ათრობაობის მშენებლობაში მონაწილეობდნენ ქართველები? სულ თურქები იყვნენ.**

**- ქალბატონო ნინო, როგორც ცნობილი გახდა, ფარავნესის მშენებლობას აწარმოებს ის თურქული კომპანია, რომელიც აეროპორტის მშენებლობაში მონაწილეობდა...**

- „ურბანი ენერჯი" ჰესების მშენებლობაზე ორიენტირებული, თუმცა, რამდენად წარმატებულია მისი პროექტები, არ ვიცი. აეროპორტი კი, როგორც უჩანს, ყველამ იცის. ქარმა რამდენჯერმე გადახადა სახურავი, წვიმაც ჩამოდის... თუმცა, რაღაა გასაკვირი, როცა ტყეების მართვის ტურისტულ კომპანიებს გადაეცემათ?

ენერგეტიკის სამინისტროში არსებობს სხვა, ბევრად უფრო შემაშფოთებელი პროექტებიც. ამის შესახებ მე გავიგე თურქეთში. რაჭაში იგეგმება სამი კაშხალის აშენება. მათგან ერთი დიდია, ორი - შედარებით მცირე. შემაშფოთებელია, რომ საუბარია ძალიან დიდ კაშხალზე. 115 მეტრი სიმაღლის კაშხალი, რომლის სიგანე 300-400 მეტრი იქნება. წარმოიდგინეთ თქვენ 115 მეტრი სიმაღლიდან წყლის ვარდნა? **ეს იმას ნიშნავს, რომ რიონის სათავეში, პრაქტიკულად, იტბორება ყველაფერი.** აუცილებლად უნდა გაკეთდეს გარემოზე და სტრატეგიული შეფასება, რითაც გადაფასდება, **რა ზარალს მოიტანს რაჭაში თუ ჰიდროლოგიური, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს თურქეთმა?** რისკიც ძალიან დიდია. ადგილზე მიკროკლიმატი აშკარად შეიცვლება, ტყეების გარკვეულ მასივებს დატბორავს. აქ კი მართლაც უნიკალური ტყეებია, მეტრი დაცულ კატეგორიას მიეკუთვნება, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს ტერიტორია სეისმური ზონაა. რისკის ქვეშ შეიძლება დადგეს უწერის წყლები, სადაც მინერალური წყლის ყველაზე დიდი საბადოა. ჩვენ ვითხოვთ, რომ ყველა ასეთ ჰიდროპროექტზე განხორციელდეს შეფასება და გარემოსდაცვითი, რა გავირეხეთ - ტერიტორიის დაგეგმარების და დაგეგმარებით თუ რაიმე სხვა ეკონომიკური პროექტები განხორციელდეს.

**- ინვესტორი ვინ არის, ცნობილია?**

- როგორც გითხარით, მე ვიყავი თურქეთში, სადაც წყლის საერთაშორისო სამიტი ჩატარდა. სწორედ იქ ვნახე საინფორმაციო მოსასხური, ორიენტირებული ერთ-ერთი თურქული კომპანიის **„ბუმელსუ ინტერნაციონალი"**-ის წარმომადგენლები, რომელთაც მითხრეს, რომ რაჭაში აპროექტებენ სამ კაშხალს და ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ამის შემდეგ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში გავაზუსტე ინფორმაცია. მივიღე პასუხი, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ნორვეგიულ-აფხაზურ კომპანიასთან ერთად აწარმოებს ონის კასკადის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, რისი დასრულების შემდეგაც დაგეგმილია ონის კასკადის პროექტირებასა და მშენებლობაზე გამოცხადდება ტენდერი. მათი თქმით, ეს დაგეგმილია ავგისტოში. ამ დროს კი, უკვე არსებობს თურქული კომპანია, რომელიც აცხადებს, რომ საქმე გადაწყვეტილია და იწყებს კასკადის დაპროექტებას. ანუ გამოდის, რომ მან წინასწარ იცის ტენდერის შედეგები?

**დოკუმენტში, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, პირდაპირ წერია, რომ ონის კაშხალზე გათვალისწინებული ენერგია - 276 მეგავატი გამოიტანენ თურქეთში.** წერია ისიც, რომ ამის აშენება ჯდება 400- 500 ათასი დოლარი, რისი ამოღებაც მოხდება შემდეგი 10 წლის განმავლობაში. თუმცა, სპეციალისტების თქმით, ეს დაჯდება უფრო ძვირი, რადგან საჭირო ინფრასტრუქტურა მთლიანად ასაშენებია. ამავე დოკუმენტში წერია, რომ ეკოლოგიური და სოციალური რისკები არ იქნება. როგორ შეიძლება, სოციალური რისკი არ იყოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც დასახლებულია და შენდება 115 მეტრი სიმაღლის კაშხალი? ეკოლოგიური რისკიც, როგორც გითხარით, საკმაოდ დიდია, მით უმეტეს, რომ ეს არის მეწყერსაშიში და სეისმოლოგიურად მაღალი რისკის ზონა.

**26 აპრილს თბილისში ტრაგედია დატრიალდა. სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე 5-სართულიანი შენობის 30-მეტრიანი მონაკვეთი ჩამოინგრა და ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს შენობა, სადაც ადრე თბილისის დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო განთავსებული, 2008 წლის ივნისში ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა შეიძინა. პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის" მიმდინარეობის პარალელურად, აქ სარემონტო სამუშაოებიც წარმოებდა. გაკეთდა კომენტარები, რომ შენობაში მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოები მიმდინარეობდა. ჩვენ ეულის ქუჩაზე ექსპერტ ანზორ საკანდელიძესთან ერთად გავედით, რომელსაც შენობის ნანგრევების დათვალიერების შემდეგ სხვა ეჭვები გაუჩნდა:**



## სიმართლე ტელეკომპანია „რუსთავი2"-ის შენობის ჩამონგრევის მიზეზებზე

- დილითვე მივედი შემთხვევის ადგილზე. აქ თანდათანობით შეიკრიბნენ ძველი, გამოცდილი მშენებლები, რომლებიც ადრე მუშაობდნენ სამშენებლო ტრესტის, სამმართველოს, საპროექტოსა თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მოკლედ, უკეთეს ექსპერტთა ჯგუფს ვერც ინატრებდი! **რამდენადაც შესაძლებელი იყო, გულდასმით დავათვალიერეთ ტრაგედიის ადგილი. ამთავითვე გეტყვით, რომ გამორიცხულია, ნგრევის მიზეზი ყოფილიყო შენობის სიძველე და მისი ამორტიზაცია, როგორც ეს ქალაქის ხელმძღვანელობამ თქვა!**

**- როგორც ამბობენ, შენობა საკმაოდ ძველია. რატომ გამორიცხავთ ამ მიზეზს?**

- ეს შენობა აშენდა 1970 წელს, რკინაბეტონის შენობათა ნორმატიული ხანგამძლეობა კი 100 წელიწადია და ჯერ ნახევარიც არ არის გასული! მითუმეტეს, რომ საუბარია განსაკუთრებული ხარისხით აგებულ შენობაზე, **სადაც გამოყენებული იყო ორჯერ გამძლე და მსხვილი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, ვიდრე დღეს 12-14-სართულიანი სახლების ასაშენებლად გამოიყენება.** მშენებლობა მოქცეული იყო განსაკუთრებული კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ, ფუნქციონირებდა სპეციალური შტაბი, რომელიც კვირაში ერთხელ აუცილებლად იკრიბებოდა და მშენებლობის ხარისხს ამოწმებდა. ეს გამოწვეული იყო ჯერ ერთი, იმით, რომ მშენებარე ობიექტი საკავშირო დაქვემდებარებისა გახლდათ და მეორეც, აქ განთავსდა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი სამეცნიერო დაწესებულება **„დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი".** აქ მიდიოდა უზარმაზარი მუშაობა საპროექტო და მშენებლობის ხარისხის საკითხებზე, იქმნებოდა, მოწმდებოდა და თანხმდებოდა სხვადასხვა პროექტები. მას შემდეგ, რაც შენობა „რუსთავი-2"-მა პირდაპირი მიყიდვის წესით, სულ რაღაც 1 მილიონ ლარად შეიძინა, ინსტიტუტის თანამშრომლები გარეთ გამოყარეს და იქვე პატარა შენობაში გადაიყვანეს. **დიდი პოტენციალისა და ტრადიციების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, ფაქტობრივად, განადგურდა.** სწორედ ამ ინსტიტუტს ხელეწიფებოდა აშენებული ან მშენებლობის პროცესში მყოფი შენობის თითოეული, თუნდაც დამთავრებული სართულის, სეისმომედეგობის ზუსტი განსაზღვრა. ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ამ ინსტიტუტთან ერთი ხელშეკრულებაც კი აღარ გაფორმებულა ახალაშენებული საცხოვრებელი სახლების სეისმომედეგობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რადგან, არცერთი სამშენებლო კომპანია არ არის დარწმუნებული მის მიერ აგებული შენობის საიმედოობაში. **აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც საქართველოში არ არსებობს ეროვნული სამშენებლო სტანდარტები, სწორედ ამ ინსტიტუტმა დაამუშავა სტანდარტი, თუ რა ტექნიკურ პირობებს, კერძოდ, თბოტექნიკის რა მაჩვენებლებს უნდა აკმაყოფილებდეს შენობის გარე კედლები.** იცით, რა მოტივით თქვა უარი ქალაქის მერიამ ამ სტანდარტის შემოღებაზე? ეს პრობლემას შეუქმნის მშენებლებსო. აი, ამიტომაც ვართ ასეთ დღეში!

ტრაგედიის ადგილას მისული მშენებლები გაკვირვებული ვიყავით, როცა ამ დანგრეული შენობის რკინაბეტონის კოლონის არმატურა ვნახეთ. **დააკვირდით, როგორ სუფთად შენახული და როგორი დიდი დიამეტრის არის იგი.** დღეს ორჯერ უფრო მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ორჯერ უფრო ნაკლები დიამეტრის ჟანგიან არმატურას იყენებენ! იმდენად მყარად იყო ის აგებული, რომ წარმოიდგინეთ, ჩამოინგრა შენობის 30-მეტრიანი სიგრძის ფრაგმენტი, გადარჩენილ ნაწილში კი კედლებს ნგრევის შედეგად კი ერთი ბზარიც არა აქვთ.

**პირველად, როცა ტელევიზიით ვნახე ეს შენობა, მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, რომ მასში რაღაც გადაკეთება მოხდა და მზიდ კონსტრუქციებს შეეხნენ. ამავე აზრზე ვიყავით მეორე დღეს ტრაგედიის ადგილზე სპონტანურად შეკრებილი ყველა სპეციალისტი.** ჩვენ ვნახეთ ერთი თვითმხილველი, რომელმაც გვითხრა, რომ ტრაგედიამდე 4 დღით ადრე ყოველდღიურად ისმოდა პნევმატური სანგრევი ჩაქუჩის ხმა. ფაქტია, შენობაში რაღაც მოანგრიეს, რამაც შემდგომში გამოიწვია ეს საშინელი ნგრევა!

**- რა მოანგრიეს ასეთი?**

**- როგორც გავიგე, პირველ სართულზე უნდოდათ სივრცის გაფართოება,** ალბათ, სცენის მოსაწყობად და ამისათვის მოანგრიეს 2 კოლონა. **აქ კოლონები არის ყოველ 6 მეტრში და დატოვეს 12-მეტრიანი დაშორებით.** შევიტყვე ისიც, რომ პირველ სართულზე ჯერ მოანგრიეს დიაფრაგმის განივი მზიდი კედლები და შემდეგ გადაანაწილეს დატვირთვები ახლად დამონტაჟებულ ლითონის მზიდ კონსტრუქციაზე, რომელმაც ვერ გაუძლო დატვირთვას და ამან გამოიწვია ტრაგედია! **ადგილის დათვალიერების შემდეგ, მიმაჩნია, რომ სწორედ ეს იყო ნგრევის მიზეზი.** შენობა გამოშიგნეს და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. სხვაგვარად ამ შენობის დანგრევა შეუძლებელი იქნებოდა.

**- ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

- იმედი მაქვს, გამოძიება ობიექტურად წარიმართება, დაადგენს პასუხისმგებელ პირებსაც და პასუხისგების ხარისხს. **ტელეკომპანია „რუსთავი-2"-ის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, თუ მათ მშენებლებთან გაფორმებული არ ჰქონდათ ოფიციალური ხელშეკრულება და ამ სამუშაოებს ელიავას ბაზრობიდან მიყვანილი მუშები არაოფიციალურად ასრულებდნენ.** თუ ასეთი ხელშეკრულება გაფორმებულია სამშენებლო კომპანიასთან, მაშინ, ცხადია, პასუხს აგებს სამშენებლო ორგანიზაცია, მაგრამ აქაც პასუხისმგებლობა ორად იყოფა - ვინ დააპროექტა ეს რეკონსტრუქცია და ვინ ააშენა. არ შეიძლება, შენობას ყოველგვარი პროექტის გარეშე, უთავბოლოდ, უსაფრთხოების ელემენტარული წესების დაცვის გარეშე ანგრევდე. **სწორედ ამიტომ მოხდა, რომ თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლის ნგრევას 2 მუშა შეეწირა.**

**როცა ქალაქის ხელმძღვანელობას ეუბნები, თუ მშენებლობების ხარისხს არ მიხედავთ, თბილისი მიწისძვრის დროს შეიძლება, ერთ დიდ სასაფლაოდ იქცეს-თქო და ამაზე არავითარი რეაქცია არ არის, ნათელი ხდება, თუ როგორ აფასებენ მათ საკუთარი მოსახლეობის ბედს.** ერთი რამ ვერ გამიგია - რაც მეტად იზრდება თბილისში მშენებლობების მოცულობა, მით უფრო ენერგიულად ანგრევენ ყოფილ საბჭოთა კავშირში მოწინავე ქართულ სამშენებლო სამეცნიერო ბაზებს, ლაბორატორიებსა და ინფრასტრუქტურას. **ასე გაანადგურეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი, მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო- ტექნიკური ინსტიტუტი და თბილისის სამშენებლო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი.**

სამი პრობლემა თეა ასათიანის საავტორო გვერდში

# როგორ დაამახინჯეს ულამაზესი „ივერია"

**განახლებული სასტუმრო „ივერია", რომელსაც ახლა „ივერია რადისონი " ჰქვია, თითქმის დასრულებულია და, როგორც ამბობენ, მალე გაიხსნება. საბჭოთა პერიოდში აშენებული „ივერია", საოცრად ლამაზი, ამაყი, სწორად და კორექტულად შერჩეული ფერთა გამით, მსოფლიოს 20 საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობათა შორის დასახელდა.**

**აფხაზეთის დაკარგვა ყველაზე მძიმედ „ივერიამ" გადაიტანა, 10 წლის განმავლობაში სწორედ მან შეიფარა უსახლკაროდ დარჩენილი დევნილები. მათ გამო დათმო მან საკუთარი სილამაზე და ყველასაგან გარიყულ, ქალაქის იერსახის შემარცხვენელ ნაგებობად იქცა.... მერე დევნილები გამოასახლეს, „ივერია" გაიყიდა, სანახევროდ დაინგრა და ხელახლა „აიგო". ახალი ივერია უწინდელზე მაღალია, მაგრამ მასავით ხალასი და ლამაზი აღარ არის. „ივერიის"ისტორიას არქიტექტორი მედეა მელქაძე იხსენებს:**



- „ივერია" აშენდა 60-იანი წლების დასაწყისში. ის იყო ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობა, როგორც ქალაქგეგმარებითი, ისე სივრცულ-არქიტექტურული გადაწყვეტით.

2004 წლის14 სექტემბერს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა დადგენილებას, რომლითაც „ივერია" ამოღებულ იქნა არქიტექტურულ ძეგლთა ნუსხიდან და მოეხსნა ისტორიულ-კულტურული ობიექტის სტატუსი. არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მოხსნა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის დაინგრა და აღდგენას არ ექვემდებარება, თუ არის ამორტიზებული ან საშიშროებას უქადის გარემოს. „ივერია" არცერთ ამ კატეგორიაში არ გადიოდა. **ძეგლის სტატუსის მოხსნა იყო ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ გაეკეთებინათ ის, რაც გაუკეთეს.** ჩვენ დღეს მის ნაცვლად მივიღეთ საეჭვო გემოვნების არქიტექტურული ნაწარმოები, აბსოლუტურად დანგრეული პროპორციებით. მაშინ, როდესაც მისმა ავტორმა **ბატონმა ოთარ კალანდარიშვილმა** უზარმაზარი შრომა გასწია მისთვის - დაწყებული ადგილის შერჩევიდან, მოსაპირკეთებელი მასალების მოძიებით დასრულებული.

**- „ივერიაში" 10 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდნენ დევნილები. როგორც ამბობენ, ის ისე იყო დაზიანებული, რომ ინვესტორს ძველის აღდგენას ახლის აშენება ერჩია.**

- იატაკის დაზიანება არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება ძეგლის სტატუსის მოხსნა. როცა „ივერიიდან" დევნილების გამოსახლება მოხდა (ეს კიდევ ცალკე საკითხია, თუ როგორ მოხდა), ავტორი ცოცხალი იყო და შეიძლებოდა მისი რეკონსტრუქცია.

ინტერვენციის ობიექტი არის „იმელიც". მასაც მოუხსნეს ძეგლის სტატუსი. მისი ავტორი გახლდათ საბჭოთა არქიტექტორი შჩუსევი. მისი პროექტით აშენდა ლენინის მავზოლეუმი, რომელიც მსოფლიომ შედევრად აღიარა. „იმელის" გარდა საქართველოში მისი დაპროექტებულია ბათუმის „ინტურისტი", რომელსაც აგრეთვე მოეხსნა ისტორიული ძეგლის სტატუსი.

დღეს „იმელში" არქიტექტორი კრიერი ახორციელებს თავის პროექტს. მისი პროექტი მეც მაქვს და ბანერებიც არის შენობაზე გამოკრული. შჩუსევის შენობის წინხედი არის კლასიკა - კოლონები, ფრონტონი. უკანა ფასადი შედევრია, იმიტომ რომ ტერასულია. ტერასულობა თბილისური ნიშანია. ამ რუსმა კაცმა საქართველოში რომ ჩამოვიდა, ქართული გენეტიკური ნიშანი გაითვალისწინა. რას აკეთებს კრიერი? იქ, სადაც ყველაზე დაბალი წერტილი იყო ტერასებისა, ორ უზარმაზარ კოშკს აშენებს, აკეთებს რაღაც ყუთს და არღვევს იმას, რითაც „იმელი" იყო ნიშანდებული, იკარგება განცდა რელიეფისა...

არქიტექტურა რაკურსების ხელოვნებაა და ჩვენი ქალაქი რაკურსების შედევრია. რატომ გიჟდება ფრანგი და იტალიელი თბილისში ჩამოსვლისას, მაშინ როცა პარიზსა და რომში თითოეული შენობა შედევრია? ჩვენთან თვით ქალაქია შედევრი, მისი ტერასები, ფერდები, ხევები, აღმართები. როცა მიუყვები რუსთაველის გამზირს, ყოველ მოსახვევში იხსნება სხვადასხვა რაკურსი და უცხოელი ამაზე გიჟდება. ამ დროს რა გააკეთა „ქორთიარდ მერიოტმა"? მამა დავითის რაკურსი დაკეტა. შეიძლება ახალგაზრდებს არ ახსოვთ, მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს, როგორ იმალებოდა და ჩნდებოდა, იმალებოდა და ჩნდებოდა მამა დავითი, როცა ძველი „ბავშვთა სამყაროს" მხარეს მიუყვებოდი ქუჩას. აი, ეს იყო აღმაფრენა. არქიტექტურა მოულოდნელი განცდების ხელოვნებაა. ამათ კი უცებ კედელი აღგვიმართეს! წარმოდგენა არა აქვთ, რა ქალაქია თბილისი!

**- ქალბატონო მედეა, აღნიშნეთ, რომ „ივერია" 70-90-იანი წლების საუკეთესო ქმნილება იყო, მაგრამ გადის დრო და იცვლება გემოვნება, სტანდარტები.**

- არაფერიც არ იცვლება. მე ჩემს სტუდენტებს ვასწავლი, რა არის ეპოქის ნიშანი. პირამიდები არის ეპოქის ნიშანი. უნდა დაენგრიათ და გაენადგურებინათ ის, რადგან კაცთმოძულე იმპერიის სიმბოლოა? სტალინური აქიტექტურა არის ეპოქის ნიშანი. სტალინურ არქიტექტურას ლანძღავდა ყველა, უცხოელების გარდა. დღეს არქიტექტურის კლასიკად მიჩნეული არის სწორედ ე.წ. სტალინური არქიტექტურა. თბილისში სტალინური არქიტექტურის ნაწარმოებებია მეცნიერებათა აკადემია და კინოს სახლი. ეს არის ისტორია, ეს არის კლასიკა და არ შეიძლება, ისტორიას გადაუარო!

**- ახალი „ივერია" შემინულია. ბოლო დროს ძალიან მომრავლდა ე. წ. შუშის ნაგებობები. რას იტყვით ამის შესახებ?**

- საქართველოში დამყარდა ადამიანთა ერთი ჯგუფის კერძო გემოვნების დიქტატი. შემოიტანეს თურქული შუშის საეჭვო ესთეტიკა. სად არის შემოქმედება? თანაც ჩვენს რელიეფში არ შეიძლება შუშის ასეთი დონით გამოყენება. ამას თავისი ბიოკლიმატური დასაბუთებაც აქვს. ადამიანი 33-გრადუსიან სიცხეში შენობის მზიან მხარეს რომ დადგეს, დაახლოებით50-დან 70 გრადუსამდე სითბურ დარტყმას მიიღებს. რატომ? იმიტომ რომ ამ დროს მზის სხივებთან ერთად შენობის კედლიდან, ასფალტიდან არეკლილი სხივებიც მოდის. გვაწყნარებენ, ეს ისეთი შუშებია, რომელიც სხივებს არ ირეკლავს. თუ სხივებს არ ირეკლავს, ე.ი. შთანთქავს მას. ამას სათბურის ეფექტი ჰქვია.

**- ანუ შუშის ნაგებობაში ყოფნა მავნეა ჯანმრთელობისთვის?**

- შუშაში ჩასმული სახლით აგრესიულ გარემოს ვქმნით შენობის ინტერიერშიც. დასავლური არქიტექტურა, მათ შორის, ცნობილი არქიტექტორი ფოსტერი ბოლო დრომდე ღაღადებდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები ამ ყველაფერს მოუვლისო, მაგრამ სამი წლის წინათ მოხდა ასეთი რამ: დიდი სიცხეების დროს პარიზში ყველამ კონდინციონერები ჩართო, დატვირთვამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ელექტროსადგურები გაითიშა და ხალხი დაიღუპა. ასეთივე შემთხვევა მოხდა შარშან ზაფხულს ამერიკაში. ევროპაში და ამერიკაში სანამ ტრაგედია არ მოხდა, ვერ მიხვდნენ ამას. ჩვენ კი ეს ხომ ვიცით?

არქიტექტურა სწორი გადაწყვეტილებების ხელოვნებაცაა, სწორი არქიტექტურა ყოველთვის ესთეტიკურია. ჯერ კიდევ გრიბოედოვი ამბობდა პეტერბურგში, დაანებეთ ქართველებს თავი, მათ იციან, როგორ ააშენონ თავისი ქალაქი.



გაზეთ „მამულის“ რედაქტორს!
მამულს მოწყვეტილი ემიგრანტი ქალბატონი გილოცავთ იუბილეს, კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოთ თქვენი გაზეთის მკითხველი.

პატივისცემით
**მანანა ცხვედაძე**

* * *

ძვირფასო რედაქცია!
თქვენი გაზეთის თაყვანისმცემელნი ვართ მე და ჩემი მეუღლეც. გისურვებთ დიდი ხნით წარმატებულ შემოქმედებით ცხოვრებას და საქმიანობას.
ყოველი ნომერი თავისებურად საინტერესოა ყოველთვის და ვისურვებდით, რომ ძალა, ენერგია და ენთუზიაზმი არ დაგლეოდეთ.
ღმერთმა დაგლოცოთ!

**მაგდა ხელაშვილი,**
ნიუ-იორკიდან

* * *

დაბადების დღეს გილოცავ ჩემო „მამულო“!
მართლაც რომ კარგი დროა ზეიმისა. გეხვევი, გეფერები, იმედით გელოდები. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც შენ სული ჩაგიდგა, გაცოცხლებს და გასულდგმულებს.

**ლუდა თაბაგარი**

* * *

ბატონო მანუჩარ!
გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებათა დაბეჭდვით გაიმარჯვეთ ჩემზე და ვაგრძელებ ხელმოწერას. და თუ ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებსაც დაბეჭდავთ, გაძლევთ პირობას, მუდმივი ხელმომწერი გავხდები. გევედრებით, მომავალში ნუ წაბილწავთ გაზეთს ბულაძის და მისთანების ხსენებით, მათი დოჩანაშვილთან ერთად დაბეჭდვა სირცხვილია და ისტორია არ გაპატიებთ, შეგვიცოდეთ მკითხველები.
დიდი მადლობა ლექსებისათვის და სიამოვნებისათვის.
გისურვებთ წარმატებებს.

**მარინა იმნაძე.**

P.S. იქნებ თქვენ იცოდეთ, რამდენჯერ შეიძლება დოჩანაშვილის წაკითხვა?

* * *

ბატონო მანუჩარ,
გილოცავთ გაზეთის იუბილეს!
დაესწარით მრავალს კეთილი მომავლით და დიდი სიხარულით.
„ვულოცავთ „მამულს“ ახალ წელს,
მეექვსე წელში გადამდგარს
ბატონ მანუჩარს სიხარულს
მამულზე მზრუნველს, ამაგდარს.“
ბატონო მანუჩარ, ამ სტროფის მე-4 ბწკარი, დიდი კაცების - მამულიშვილების ხვედრია (მითუმეტეს „გადახვეწილების“), რაც დიდ ენერგიასა და შესაძლებლობებს საჭიროებს. გისურვებთ ასეთ ენერგიასა და შესაძლებლობებს.
დანარჩენი არ გესწავლება.

კეთილი სურვილებით,
პატივისცემით **მერი, გოგი.**

* * *

ბატონო მანუჩარ!
არ ვიცი, როგორ და რამდენი მადლობა გადაგიხადოთ დიდებული საახალწლო საჩუქრისათვის, რასაც ჩემი საყვარელი ლეონიძის, დოჩანაშვილის, ჩოხელის კითხვა ჰქვია. დროებით დამავიწყეთ რომ, მეცხრე წელია მენატრება თბილისი, სადაც უჩემოდ გამოცხვა ტონიანი ხაჭაპური, გაკეთდა საცივი და მე ინდაურის ბარკალიც არ შემხვდა „აყვავებულ“ საქართველოში.
მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა ჩემს თბილისში ჩასვლა და იმ სიამოვნების მიღება, რასაც დალოცვილი ქართული ლიტერატურის კითხვა ჰქვია.

**მკითხველი**

* * *

გაზეთ „მამულს“,
რედაქტორს მანუჩარ კაჭახიძეს!
გილოცავთ იუბილეს, მრავალწლიან, წარმატებულ წინსვლას, მკითხველის სიყვარულს და სიმრავლეს გისურვებთ.
დიდი მადლობა ამ რთული და ჩვენთვის აუცილებელი საქმიანობისათვის.
დიდი მადლობა ბევრი საინტერესო პიროვნების, ნაწარმოების, ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის გაცნობისა და გახსენებისათვის.
განსაკუთრებული მადლობა რუბრიკისათვის „სიმღერა გაზეთში“, მართლაც რა კარგად მოიფიქრეთ და აგვამღერეთ, ცრემლებით აგვამღერეთ.
გთხოვთ, არ გვიწყინოთ და ამ საიუბილეო დღეებში თხოვნითაც მოგმართავთ. ეს თქვენს კრიტიკის ფორმას შეეხება. ჩვენ მივესალმებით ჯანსაღ, სამართლიან, კონსტრუქციულ კრიტიკას, რომელიც მართლაც სჭარბობს თქვენს გაზეთში. მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე ვხედავთ ჩვენთვის არასასიამოვნო, გულსატკენსა და მიუღებელს.
შეგახსენებთ, ერთ-ერთი ნიჭიერი კრიტიკოსი, რომლის გვარს ხალხმა „სისინაძე“ გაურითმა, დარჩა მკითხველის გარეშე, სხვა შემთხვევაში მისი გაზეთი უეჭველად იარსებებდა.
ნუ უწოდებთ თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს „ჩიტირეკიას“, თუნდაც თქვენ ურჩხულის დამმარცხებელი გოლიათი იყოთ, ნურც „მექალთანეს“, თუნდაც თქვენ სანთელი გეჭიროთ... კარგიც ხომ ხდება, ამის შესახებაც წერეთ, ცოტათი მაინც გაგვახარეთ, დაგვაიმედეთ, გული გაგვიკეთეთ, ნუ გავიმეორებთ ჩვენს ისტორიულ შეცდომებს და მწარე წარსულს.
გთხოვთ მოგვიტევოთ და ჩვენი თხოვნა კეთილი განწყობით გაითვალისწინოთ.

სიყვარულით და პატივისცემით
**მკითხველთა ჯგუფი.**

* * *

ბატონო მანუჩარ!
მოგესალმებით და მადლობას გითვლით ჩვენი და თქვენი გაზეთის პატრონობისათვის. იმედი მაქვს, „მამული“ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებშიც ინახება.

პატივისცემით,
**ნანა ომარაშვილი**

* * *

ბატონო მანუჩარ!
სამშობლოდან დაცილებული ქართველებისათვის გაზეთი „მამული“ ჩვენი იმედია. იგი ჩვენი გრძნობებისა და მოსაზრებების რეალური გამომხატველია. ამიტომ დიდად ვაფასებთ მის წვლილს ჩვენი სულიერების განმტკიცებასა და ოპტიმიზმში.

პატივისცემით, პროფ.
**ვალერიან რეხვიაშვილი.**

* * *

ჩემო მანუჩარ!
მთელი ღამე არ დამეძინა წუხელის! ფიქრმა არ დამაძინა! „მამულზედ“ ფიქრმა!
ნუთუ ასე შეუძლებელია, გამოსავალის პოვნა? ნუთუ აღარ არსებობენ ქართველები, რომელთაც სიტყვის თქმა და საქმის კეთება შეუძლიათ? გვერდით დგომა და იმ „ისტორიის“ შენარჩუნების სურვილი გაჩნია, რასაც „მამული“ ჰქვია?
თუკი ევროპელი ემიგრანტები რამოდენიმე გაზეთს და ჟურნალს ართმევენ თავს, ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება? მოდით, კიდევ ერთხელ ვცადოთ! კიდევ ერთხელ და იქნებ....

სიყვარულით და სინანულით,
**მადონა გიორგაძე**

* * *

ჩვენო საამაყო მანუჩარ!!!
„საამაყო“ არ წამომცდენია, თქვენ ჩვენი გულის გამხარებელი ხართ...
მოუთმენლად ველოდები გაზეთ „მამულის“ ახალი ნომრის გამოსვლას, იქიდან ხომ თქვენი უშეცდომო, ძარღვიანი, წმინდა ქართული მოდის...
მე რამდენიმეჯერ ვკითხულობ თქვენს წერილებს და რაც უფრო მეტჯერ ვკითხულობ, მით უფრო თქვენი ცოდნის სიღრმეს, სამშობლოსა და ენის სიყვარულს ვხედავ.
შეიძლება თქვენ გაგიკვირდეთ, მაგრამ გადახედეთ ჩვენს პრესას, ვაიჟურნალისტებით რომ არის სავსე. როდესაც ვკითხულობ თბილისიდან ჩამოსულ ზოგიერთ გაზეთს, ძალიან ვნერვიულობ და ბოლომდე წაუკითხავს გადავდებ ხოლმე (მომიტევეთ ასეთი შედარებისათვის).
ბატონო მანუჩარ! ამ წერილს ნუ გამოაქვეყნებთ, მე მინდა უბრალოდ იცოდეთ, რომ ნიუ-ჯერსის შტატში არის ხანდაზმული ქართველი ქალი, რომელსაც თქვენი წერილები აცოცხლებს, ახალისებს და ენერგიას მატებს.
დიდი მადლობა, რომ ასეთი ხართ, დიდი მადლობა უფალს თქვენნაირი საჩუქრისათვის, რამეთუ „მამული“ სამშობლოდან მოწყვეტილი ქართველისათვის ბედისწერაა...
ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი დედ-მამა. დარწმუნებული ვარ, ეს მათი ნიჭი და გენია, რომელიც ჩქეფს და თქვენშია განივთებული!

**ლ. გულიაშვილი,**
ნიუ-ჯერსი, ქ. ტომს-რივერი

* * *

ბატონო მანუჩარ!
მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი მამულიშვილური საქმისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ არა მარტო აქ მყოფი ქართველებისათვის, არამედ თვით საქართველოსათვის.
თქვენს გაზეთს აქ, ამერიკაში, უფრო დიდი მისია აკისრია, იგია აქაური ქართველების „გარემოების საყვირი“, მან უნდა უფრო და უფრო გააღვივოს და განამტკიცოს ქართული სული, ქართული პატრიოტიზმი, თორემ ღმერთმა დაგვიფაროს ხონელიძეების მაგვარი ქართველებისაგან, - მას ვერც თქვენი გაზეთი უშველის და ვერც მამაზეციერი.
ყველა ის სიბინძურე, რაც მან ქართველ მამაკაცებს, ქალებს და საერთოდ ქართულ ოჯახებს დააფრქვია, საკუთარი ოჯახიდან მოსდევდა და საკუთარი ოჯახიდან გაბოროტებული, ყველა ოჯახს ერთ ტაფაში აქცევს.
მე აქ, ოჯახში, სადაც ვარ, ცეკვა „ქართულით“ ვუხსნი ქართველი ქალის სიწმინდესა და კლდემამოსილებას, ქართველი მამაკაცის ვაჟკაცურ სულს და რამდენი ვიცი, ასე ხმალამოღებული უჭედავენ ამერიკელებს, რომ არა ვართ რუსები და ჩვენ ჩვენი საკუთარი სახელმწიფო, უძველესი ისტორია და კულტურა გვაქვს.
და გვყავს ილია ბრძენი, დღესაც რომ აქტუალურია მისი ნააზრევი.
თუ ამ მტერს ხონელიძესთანა „მოაზროვნეები“ დახვდა კი, მაგრამ საქართველოს არა მარტო „უმზესი გული“ აქვს, არამედ ძლიერი სული და თვითგადარჩენის უდიდესი მუხტი უზის გენში.
ასე, რომ „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. „ქვიშანი“ კი თქვენ ხართ - საქართველოზე შეყვარებული ახალგაზრდობა. ჩემი სამადლობელი წერილი მინდა გოდერძი ჩოხელის „აღდგომის" ფინალით დავასრულო: „ქართველებოო, ქართველებოო... სადა ხართ ქართველებოო...“
აქა ვართ, აქ, გვიყვარს ჩვენი საქართველო და ვლოცულობთ მასზე.

პატივისცემით,
**ლალი გილაშვილი**
ნიუ-პროვიდენსი, ნიუ ჯერსი

* * *

მადლობა თქვენ, ბატონო მანუჩარ, რომ ვარსებობთ უცხო მხარეში, თქვენი გაზეთის მხარდაჭერით. ღმერთმა დაგლოცოთ იმ სიკეთისათვის, რასაც უანგაროდ აკეთებთ ქართველი ხალხისათვის.

პატივისცემით,
**სოფიო გელაშვილი**

* * *

გამარჯობათ!
ძვირფასო რედაქციავ და ბატონო მანუჩარ კაჭახიძე!
ნიუ-იორკში პირველი ქართული გაზეთი „ივერია“ რომ გამოვიდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თვალზე სიხარულის ცრემლი მომადგა და ვთქვი: „ყოჩაღ ბიჭებო“-თქო. ვინ იცის რამდენი იწვალეთ, მაგრამ დასახულ მიზანს მაინც მიაღწიეთ. ამ შრომასა და ღვაწლს დანახვა-დაფასება და ხელის შეწყობა უნდა ჩვენგან, ქართველი ემიგრანტებისაგან და არა მკაცრი კრიტიკა, გულს რომ მოგიკლავს და მუშაობის ხასიათს დაგიკარგავს.
ჩვენ, ხალხნი, ჭრელნი ვართ! ხან კარგს ვიტყვით და ხან ცუდს! მაგრამ გააჩნია რა ფორმით ვიტყვით - კარგი კრიტიკა ხანდახან ძალიან სასარგებლოც არის, უფრო დავიხვეწებით და გავძლიერდებით.
დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი გახარებისათვის და თქვენი არსებობისათვის. თქვენ ჩემი ხართ და მიყვარხართ! როგორი გაზეთიც არ უნდა გამოუშვათ, იქ დიდი შრომაა ჩადებული და მე მაინც სიამოვნებით წავიკითხავ. მითუმეტეს, ამ უცხო ქვეყანაში, ეს დიდი საქმე, ჩვენგან ქართველი ემიგრანტებისაგან დიდად დასაფასებელია.
ეს უნდა გავითავისოთ, ჩემო ქართველებო! გმადლობთ!

დიდი სიყვარულით,
**ზეინაბ ფანჩულიძე.**




* * *

მანუჩარ, გაგიმარჯოს!
იცოდი არა, რომ არც ერთ წერტილს წაუკითხავს არ დავტოვებდი?! გაზეთს როცა ვკითხულობ, თითქოს შენ გესაუბრები, მაგრამ შენი ხელით მინაწერს რომ მივაგენი, სულ სხვა იყო, თითქოს ქუჩაში შეგხვდი:
ჰეი, მანუჩარ, გაგიმარჯოს!
გაზეთს ვნთქავ ხოლმე. უმთავრესად მომწონს, მაგრამ როგორი ქართველი ვიქნები, თუ არ გაგაკრიტიკე კიდეც.
ზოგიერთი სტატია, თუ ავტორთა ზოგიერთი აზრი სასაცილოდ არ მყოფნის. მაგალითად: კმარა წელებზე ფეხის დადგომით თავის შენარჩუნებაზე ფიქრი, დროა დიდ ერად ქცევაზე ოცნების ჟამმა დარეკოს-ო.
ალეკო მიქაბერიძე თუ იტყვის, აუცილებლად დარეკავს.
კიდევ: სისასტიკითა და ხანგრძლივობით რომელი ქვეყანა თუ ერი შეედრება იმ მკაცრ გამოცდებს (გამოცდებთან შედარება რას ნიშნავს?) ჩვენს შესამუსრად ალესილმა უსასრულო წყვდიადმან მტრისამან რომ მოგვიწყოო...
ურიები არ სმენია ალეკოს?
უმთავრესად, როგორც გითხარი, მომწონს და წარმატებებს გისურვებ.
მომიკითხე და მადლობა ჩემგან ყველას, ვინც გეხმარება.
არ მოიწყინო!

**კოკა**

* * *

„მამულის“ რედაქტორს
ძალიან მინდა ჩემი სათქმელი ვთქვა, გულში ველარ მეტევა ამდენი დარდი, ძალიან მიკვირს, რომ ქართველებმა მტერი ვერ ამოიცნეს.
ვკითხულობ თქვენს გაზეთს და მიკვირს ყველაფერი, - რას წერთ, რას იხსენებთ, რა რუსულ-ქართულ ძმობაზე ლაპარაკობთ, რა რუსეთის განათლების მიღებაზე ლაპარაკობთ, ვინ არის ჩვენი ძმა (რუსი როგორ შეიძლება ქართველის ძმა იყოს?), სადა გაქვთ გონება, რომელი ქვეყნიდან ხართ, რომელმა ახალგაზრდებმა მიიღეს რუსეთში განათლება, გაიხსენეთ დავით გურამიშვილის უბედური ბედი?!
ნუთუ თქვენ არ იცით, რომ ქართველი ახალგაზრდები რუსეთში სასწავლებლად კი არა, (ცენზურა რედაქციისაგან) ... მიდიოდნენ?! ეს ის დეტალია, რომელსაც თქვენ და თქვენისთანები არ აქცევენ მნიშვნელობას.
რუსეთში განათლება კი არა, გადაჯიშდა ჩვენი ე.წ. ინტელიგენცია, რუსულ ენაზე ალაპარაკდა და ბოროტებას გაუღეს კარი საქართველოში. დღესაც ჩვენი ხალხის უტვინო ნაწილი რუსულ ენაზე სიამაყით ლაპარაკობს. არა მარტო საქართველოში, სადაც რუსულ ენას სკოლაში ასწავლიან (იმ ენას, რომელი ენითაც ბოროტებას ქადაგებენ და ქართველების სისხლს სვამენ), ამერიკაშიც კი ჩვენი ხალხი რუსებთან ძმაკაცობენ, ბიზნესი რუსებთან აქვთ, რუსულ სიმღერებს უსმენენ, შვილებს რუსულს ასწავლიან. ასე გამოდის, რომ ჩვენ არ ვეშვებით რუსებს და რუსმა, რომელმაც კარგად იცის ჩვენი ხასიათი, გვამწარებს.
თქვენ არ გესმით, რომ სანამ რუს ადამიანს ქართველი ელაპარაკება რუსულ ენაზე, ის ყოველთვის ასე მოგვექცევა და უარესად. სადამდე უნდა ვილაპარაკოთ ამ ბოროტების ენაზე? მე ეს ენა, ჩემდა საუბედუროდ, სკოლაში ვისწავლე, მაგრამ მე ვებრძვი ჩემს თავს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამერიკაში ამ ბოროტების ენაზე არ ვლაპარაკობ.
ჩვენ ველით შველას მსოფლიოსაგან, არადა საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ გამოსწორება, უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტი სულის ენას. არავითარი ერთმორწმუნეობა არ არსებობს, - საქართველო განთავისუფლდება მაშინ, როცა ქართველები რუსულ ენაზე აღარ ვილაპარაკებთ. როცა მიხვდება რუსი, რომ საქართველო აღარ არის „ნაშა გრუზია“, მაშინ დაგვანებებს თავს.
ამერიკაში წამოსულ ქართველებს კი საქართველო სამარიაჟოდ უნდათ, რომ იქ ზაფხულობით ბავშვები გაუშვან და თავისი „სითიზენობით“ აბლატაონ და ამერიკის დროშაში გახვეული თბილისის ქუჩებში იგრიალონ, თავი გამოიდონ „სითიზენობით“, ახალი დაავადება რომაა ქართველებში.
თქვენ კიდევ, მკვლელი გორბაჩოვის ინტერვიუს ბეჭდავთ და არ გრცხვენიათ, როგორ წერთ თქვენს გაზეთში ასეთი გაიძვერა ადამიანის დიდ სიტყვებს ძმობაზე.
თქვენი მიამიტური აზროვნება ოსეთის და აფხაზეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით, ხომ სულ სასაცილოა.
ყოველთვის, როცა რუსულად დაილაპარაკებთ, გაიხსენეთ ცხინვალის ქუჩებში დახოცილი ქართველი ბიჭები, ისინი იყვნენ ქართველები, ჩვენ ვართ გაჭირვებას გამოქცეული, დემაგოგი და უქნარა ქართველები, რომლებიც მარტო სუფრაზე ფიქრობენ, ქეიფზე.
მე არ უარვყოფ, რომ ქართული სუფრა არის ცხოვრების სკოლა და დიდი საგანძური, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მომეტებულ სუფრას აყოლილ ქართველ თავადს ცოლი წაართვა ჯაყომ. ამით მიხეილ ჯავახიშვილი გვაფრთხილებდა ქართველებს, რომ სუფრამ შეიძლება თბილისიდა დაგვიტოვოს საბლატაოდ.
დახმარებას ითხოვთ გაზეთის გადასარჩენად და უნდა გაითვალისწინოთ, რომ მამული უაზრო სიტყვები არ არის, ეს უნდა იყოს საქმე ანუ სიმართლის წერა (არა ის, რასაც თქვენ ემსახურებით), უაზრო ნოსტალგიაზე აგებული, ვითომ საქართველოს სიყვარული, რომელიც უფრო გადამეტებულ ქეიფს ჰგავს და არანაირ საქმეს არ ემსახურება, გარდა თქვენი საძმაკაცოს და სამეგობროს შვილების რეკლამისა.
გონს მოდით ხალხო, რუსეთის მიერ შექმნილი მსოფლიოში ყველაზე უმაქნისი ორგანიზაციის წინ ყვირილით საქართველოს არაფერი ეშველება, საქართველოს შველა თვითონ ქართველებშია.

**თქვენი მკითხველი**

* * *

შვილო, მანუჩარ!
წავიკითხე თქვენი წერილი „მამულში“.
გაზეთს ვყიდულობ იმიტომ, რომ ხშირად თქვენი წერილები იბეჭდება.
სამართლიანი, გულთან მისატანი! გული მტკივა, რომ ამ თქვენს ცოდნასა და განათლებას, სამშობლოს სიყვარულს ჩვენს სამშობლოში, ვერ იყენებთ (თუმცა, აქ უფრო გვჭირდება).
ძალიან მიყვარხართ და პატივს გცემთ, ამიტომ ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ: გურამ შარაძეს სიმართლის თქმისათვის რა უყვეს, იცით. ობლობაში გაზრდილი კაცი ხართ და ფრთხილად იყავით, - არავინ არაფერი მოგიწყოთ.
იმ მოღალატე კაცს იცით, რომ ფული აქვს, ძალაუფლება და ყველაფერზე წამსვლელია, არავინ შეისყიდოს აქ და... ჯვარი გწერიათ!
მე აქ რაც ვნახე, ამ რვა წლის მანძილზე, ამის დაშვების საფუძველს მაძლევს. აქ მყოფი ქართველების 60 პროცენტისათვის ფული ნომერი პირველია, ყველაფერზე მიდიან, „მეგობარს“ რომ ეძახის, ზუსტად იმას ართმევს სამსახურს, გამოსასვლელ დღეზე რომ შეცვალა.
ძალიან, ძალიან ფრთხილად იყავით! მტრები და შურიანები აქაც გყავთ, მე მინდა რომ იცოდეთ - და იცოცხლოთ.
ერთს კიდევ დავუმატებ: ნათქვამია, ციხე შიგნიდან ტყდებაო! თუ კარგად არ იცნობთ, ქალია თუ კაცია, პურიც კი არ ჭამოთ მათთან. მათი მოწვდილი ყავაც კი არ დალიოთ!
გაფრთხილდით!!!
გფარავდეთ უფალი!
დაგიფასდეთ სამშობლოს სიყვარული!

პატივისცემით, **ლელა**

P. S. კონვერტზე დაწერილი გვარი და მისამართი მოგონილია.
მაპატიეთ და გამყიდველების მეც მეშინია. სახელი კი ჩემია.

* * *

ბატონ მანუჩარ კაჭახიძეს!
გაზეთ „მამულის“ რედაქციას!
თქვენი საიუბილეო საღამოს შემდეგ, ისევ იმ დღის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. გადავწყვიტე ჩემი ფიქრები გაგიზიაროთ.
მანამდე კი, პატარა ექსკურსს გავაკეთებ წარსულში.
ამერიკაში პირველად რომ ჩამოვედი, ეს იყო 1997 წელს. რუსულ გაზეთებში ვეძებდი ინფორმაციას საქართველოს შესახებ, თან ვოცნებობდი, რა იქნება ქართული გაზეთიც გამოვიდეს ნიუ-იორკში-მეთქი. ისიც მახსოვს, ბრაიტონზე როგორ ვეხვეწებოდი ახლადჩამოსულ ქართველებს - გაზეთები ხომ არ ჩამოგიტანიათ საქართველოდან, თუნდაც ძველი-მეთქი.
ერთხელ მთელი საათი ველოდე ახლად ჩამოსულ და გაცნობილ ქართველს, რომელმაც მიუხედავად საშინელი უამინდობისა, მაინც შეასრულა დანაპირები და მომიტანა გაზეთები.
უცხო მიწაზე ჩამოსული ქართველისათვის ქართული გაზეთი „მამულის“ გამოსვლა, მე ვიტყოდი, ბედნიერების ტოლფასია, რომელსაც მოუთმენლად ველით. თან ყველა ნომერს ვინახავთ, რადგან „მამულში“ ძალიან საინტერესო მასალები იბეჭდება.
იმდენი ლამაზი ხალხი ერთად, დიდი ხანია არ მინახავს. საოცარი სილამაზე იფრქვეოდა ირგვლივ. მართლაც ყველა ლამაზი იყო, იმ საღამოზე ილვრებოდა სილამაზე, ღიმილი, ერთმანეთთან შეხვედრის სიხარული, მონატრება, სითბო.
ის სითბო რამდენ ხანს გაგვყვება არ ვიცი. „მამულის“ პრეზენტაციაზე შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა ყველას სიამოვნება მოგვანიჭა, პატარა ანგელოზების ცეკვა „ქართულმა“ აგვაცრემლა, ბერდია ბერიაშვილის ლექსმა „ქართველი“, რომელიც შესანიშნავად წაიკითხა მომღერალმა თამილა ზატიკაშვილმა, ერთხელ კიდევ გადაგვახედა საქართველოს შორეულ წარსულში, მის მატიანეში და ერთხელ კიდევ გაგვახსენა საქართველოს გმირული ისტორია, რომ ჩვენ იმ მოდგმის და ჯიშის ვართ, რომელსაც არ უწერია გადაშენება.
საღამოზე ძალიან მიხაროდა, რომ ბევრი ქართველნი ვიყავით შეკრებილნი, თან ვფიქრობდი, რამდენი ქართველი აკლია ახლა საქართველოს, რომელნიც გადახვეწილნი არიან ამერიკასა თუ სხვა ქვეყნის კონტინენტებზე. გული მეტკინა.
მაპატიეთ, რომ სიტყვა გამიგრძელდა, მინდა ბატონო მანუჩარ, თქვენ და გაზეთ „მამულის“ თანამშრომლებს მოგილოცოთ გაზეთის იუბილე და მადლობა გადაგიხადოთ იმ მშვენიერი საღამოსათვის.

**ლეილა მჭედლიშვილი**
მხატვარი

* * *

შეწევნითა მაღლისაითა!
ბატონო მანუჩარ!
გილოცავ „მამულის“ იუბილეს!
იყავ დღეგრძელი, იყავ ბედნიერ, იყავ გონიერ!
მარტის თვეში ხართ დაბადებული, ამიტომაც ხართ დიდი ენერგიისა და მაღალი სულის მატარებელი, იხარჯებით და იწვით შემოქმედებითი ცხოვრებით - ჩვენი „მამულის“ ყოველი ნომერი ხომ თქვენი შინაგანი ფანტაზიითა და სიყვარულითაა სავსე ყოველივე ქართულის მიმართ:
„შენზე ვლოცულობ ივერთ
მამულო
რწმენავ, იესოს ჯვარით მოსულო,
და ნინოს ცრემლით გადანამულო“.
„მამული“ სულს გვინედლებს და გულებს გვითბობს სიყვარულითა და სიკეთით. თქვენ ხომ ხშირად გვჩუქნი დღესასწაულებს გაზეთის ფურცლებიდან ქართული ლიტერატურის სალონებისა და ქართული კინოს რეტროს სახით, რათა არ დავეცეთ, არ დავძაბუნდეთ, ყოველთვის გვახსოვდეს „ვისი გორისანი ვართ“, სად არის ჩვენი ფესვი და ძირი, უფლის მიერ მიჩენილი საცხოვრებელი ყოველთა ქართველთათვის.
თუ ექვთიმე-ტკბილი საკუთარს ყიდდა, რომ საქართველოს განძი, საქართველოს ნივთიერი კულტურა, ისტორია გადაერჩინა, თქვენ „შეწევნითა მაღლისაითა“ საკუთარი გონით, ინტელექტით იხარჯებით ქართული სულის, ქართული გენის გადასარჩენად, სამშობლოს მოწყვეტილ, ოჯახებს მონატრებულ ქართველობის გადასარჩენად.
შენ ორი დედიკო გარგუნა უფალმა, პირველმა ოთხი ვაჟიშვილი დატოვა სამშობლოს სამსახურში, საუკეთესო ჯიშითა და სისხლით, მეორემ აღზარდა პირველის დანატოვარი - სული უმანკოდ და შეურყვნელად.
„ლამაზი შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია გმირადა" და თქვენი დედიკო ანგელოზთა დასს შეერთებული გლოცავთ და გმოძღვრავთ, გიქმნით მშვიდ ატმოსფეროს, ნურც მოგკლებოდეთ ყველა ქართველი დედის დალოცვა, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ამ რთულ ცხოვრების გზაზე, გამრავლდით, მოშენდეს თქვენი ჯილაგი, გარგუნოთ უფალმა ლამაზი ქართული ოჯახი:
„ქართული ოჯახი
დღეს ციხე კოშკია,
ჩემი ხახულია
და ჩემი ოშკია“
პატივისცემით,

**ნელი ქართველიშვილი**

* * *

გაზეთ „მამულის“ მთავარ
რედაქტორს მანუჩარ კაჭახიძეს!
ამ წერილს გწერთ ერთი ქართველი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც თქვენი გაზეთის მკითხველია და ვერ ვიკავებ ჩემს ემოციებს თქვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილების გამო.
ძალიან მაკვირვებს თქვენი მიდგომა 2007 წლის ნოემბრის მოვლენების მიმართ. აქ ამ შორეულ ამერიკაში, სადაც ყველა ქართველი გაჭირვების გამო არის გამოქცეული, თქვენ, თქვენი გაზეთის მეშვეობით, ამ გზააბნეულ და გაბოროტებულ ხალხს უფრო აბნევთ. მე არ მესმის თქვენი, როდესაც ხელისუფლებას ასე ცუდად და ბოროტად მოიხსენიებთ და თქვენი სიმპატიები ქუჩური ოპოზიციის მხარესაა, იმ ოპოზიციისა, რომელმაც ჯაბა იოსელიანი პოლიტპატიმრად გამოაცხადა და შემდეგ ქურდული წესების თანახმად, დიდუბის პანთეონში დაასვენა, დღეს ეს ოპოზიცია ირაკლი ბათიაშვილს პოლიტპატიმარს უწოდებს და გოგა ხაინდრავას მომავალ პრეზიდენტადაც კი მოისურვებს.
თქვენ ქურდული ტრადიციების ქალაქიდან ბრძანდებით და ეს გავლენა თქვენს წერილებშიც იგრძნობა. თქვენს ქალაქში ყოველი მეორე ან მესამე ახალგაზრდა ქურდობაზე ფიქრობს. სააკაშვილის ტურებს უწოდებთ პოლიციას, რომელიც ქვეყანას ქურდული ავტორიტეტებისაგან იცავს; სახელს უტეხავთ ისე, როგორც კომუნისტურ ეპოქაში „ძაღლებს“ ეძახდნენ მათ. ასე აჯავრებენ მომავალ თაობას კანონის დამცველებს და აყვარებენ მათ კრიმინალურ ავტორიტეტებს, ისე როგორც თქვენ გიხაროდათ პოლიციელის ცემა რიყეზე.
მე მიხარია, რომ საქართველოს მართლა პრეზიდენტი ჰყავს, 2007 წლის ნოემბერში ქუჩის კრიმინალურმა სამყარომ და არკადი პატარკაციშვილის ფულებზე დახარბებულმა გაჭირვებულმა ხალხმა დაინახა, რომ საქართველოს ბედი თავად ლევან გაჩეჩილაძის სუფრაზე არ წყდება.
ქართველ კაცს როცა უჭირს, ქურდთან მიდის საქმის მოსაგვარებლად, პოლიციაში მისვლა და ჩაშვება ქართული ქურდული აზროვნებისათვის მიულებელია. თუ სახელმწიფო ძლიერი გახდება, ქართველ კაცს იმედი გაუჩნდება და ქურდთან აღარ წავა, წავა პოლიციაში და პატივს სცემს კანონს.
მე ვიცი, რომ ჩვენი თაობის ქართველებისათვის ეს აზროვნება მიუღებელია. ამიტომ მინდა, რომ საქართველოს ძლიერი პრეზიდენტი ჰყავდეს, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხებს ქართულ ქურდულ აზროვნებას, მაშინ გაჩნდება იმედი, რომ ქურდობა პრესტიჟული აღარ იქნება.
ბებერი წითელი ქურდული ინტელიგენცია, რომელიც ძველებურად ველარ დადის მოსკოვში და რომელიც სამართლიანად იწოდება ძველ ბოლშევიკებად, ასე ადვილად არ დაანებებს. ყოველთვის ეცდება, სანამ ცოცხალია, დაამხოს ხელისუფლება და ქვეყანა კრიმინალურ ავტორიტეტებს ჩაუგდონ ხელში საძარცვოდ, როგორც ეს უკვე მოხდა 16 წლის წინათ.
ამიტომ მინდა, რომ საქართველოს ჰყავდეს ძლიე-რი პრეზიდენტი, რომ საქართველოს ბედი სუფრაზე ქეიფის დროს არ წყდებოდეს.
2007 წლის ნოემბერში ქუჩის კრიმინალურმა და ფულზე დახარბებულმა ქურდულმა „ოპოზიციამ“ დაინახა, რომ პრეზიდენტს აქვს ძალა, რომ ასე ადვილად ველარ წაეძველბიჭებიან საქართველოს მთავრობას.
თქვენი გაზეთი რას ემსახურება, მე ვერ გავიგე: აფერისტული და უაზრო სატელეფონო ბარათის „მამულის“ რეკლამას, რომელიც ფულის დაწერებისთვის არის მოგონილი? თუ სხვა ამგვარი უაზრო წერილებისათვის, რომელიც თქვენ მკითხველს უფრო აგრესიულს ხდის.
თქვენ ვერ გაგიგიათ, რომ გაჭირვება საქართველოს ხვედრია, ასე იყო და ასე იქნება. ის, რაც რუსეთის იმპერიის დროს შედარებითი კეთილდღეობა იყო, ეს საქართველოს ძვირად დაუჯდა (აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ვგულისხმობ), ისე არავინ არაფერს იძლევა, ყველაფერს თავისი საფასური აქვს - ქართველების 70-წლიან გრიალს რუსეთში, ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა სამუდამოდ.
თქვენს გაზეთში აღმზრდელობითი წერილები უნდა იბეჭდებოდეს და არა ემოციური და ნოსტალგიური.

**თქვენი მკითხველი**

* * *

ძვირფასო მანუჩარ!
დღეს ძვირად ფასობს ღირსეული ქართველის, მითუმეტეს, ახალგაზრდას ძალისხმევა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებებისა, ზიდოს ჭაპანი ნათელისაკენ, რაც ღვთის ნებით ის ნაპერწკალია, თაობიდან თაობაში რომ ღვივის და დღეს კაშკაშა ალად რომ აბრიალდება და გადაბუგავს ყოველ სარეველას ვაზის ნორჩი ყლორტის ირგვლივ.
მადლობას გიხდით „მამულის“ საიუბილეო კომპაქტ დისკისათვის. ამერიკაში ჩემი ყოფნის მანძილზე, პირველად მქონდა ბედნიერება ამ ღირშესანიშნავ დღეს დავსწრებოდი. დაუვიწყარია იმდროინდელი ჩემი განწყობა, რაც სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.
ამ წერილის წერისას ძალიან გამახარა ცნობამ, ამერიკაში ერთადერთი ქართული გაზეთის „მამულის“ იუბილის აღსანიშნავად სენატორ ფრენკ ლაუთენბერგის მიერ კაპიტოლიუმის თავზე ამერიის დროშის აფრიალების შესახებ.
ბატონო რედაქტორო,
გისურვებდით ეს ჩვენი „დაჭმუჭნული“ საქართველო ფრთებგაშლილი გვენახოს.

ღრმა პატივისცემითა
და თანადგომით,
**ზაირა**
**სარაჯიშვილი**

ამით ყველანი ერთად უგალობდნენ დამბადებელს სამადლობელს სიცოცხლისათვის და ეს მათ კარგად იცოდნენ. სრული ჰარმონია სუფევდა ბუნების წიაღში თავისი ჯანსაღი სიცოცხლით. დღესასწაული გაზაფხულისა მაინც ადამიანებში განსაკუთრებული ძალით და განსაკუთრებული რიტუალით ეწყობა, რადგან ადამიანებში ინსტინქტი კი არ ილვიძებს, არამედ სიყვარული და ურთიერთხიბლი. ადამიანები ამშვენიერებენ გაზაფხულს.

გაზაფხულის სარეცელზე - მდელოზე მართავენ ადამიანები გაზაფხულის დღესასწაულს. ისინი მოდიან მინდვრის ყვავილების გვირგვინებით ხელში და ერთმანეთს ადგამენ თავზე ცეკვა-თამაშით. უხარიათ გაზაფხული და ამ სიხარულს ურთიერთშერწყმით ადასტურებენ,- დედიშობილა ქალწული წვება მოლზე, მაყურებლები წრეს შემოარტყამენ და ამ წრეს გამოეყოფა ვაჟი, ასევე ნორჩი და ქალარნახული. ჟინი დიდია, მაგრამ ასევე შიშიც უაღრესია გაუთვითცნობიერებლობის მიმართ. ერთმანეთის შეხება იწვევს კრთომას. ვაჟიც აღიგზნება და ნელ-ნელა ეუფლება ქალის სხეულს, იგი ეფერება გოგონას, თანდათანობით საკუთარ თავში რწმუნდება თავის ძლიერებაში და იპყრობს ქალის სარცხვინელს, ქალიც ტკივილისაგან იკლაკნება. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აქამომდე ქალწული იყო და ამიტომ ბუნიაობის დღესასწაული წარმატებული გამოდგა - ამ წელიწადს მრავალი ახალდარგული ხე გამოიღებს თავის პირველ ნაყოფს, მრავალი ახლად წამოჩიტული ცხოველი თუ ფრინველი პირველ ნაყოფს მოიღებენ, - ეს ხალხთა წარმოდგენაში. შიშმა აატირა, სირცხვილმა გააწითლა. წრეში მაყურებელს ეცინება და უხარია, რომ გაზაფხულის სამსხვერპლოზე რიტუალი ყველა წესის დაცვით სრულდება. ვაჟი არ ანებებს თავს, იგი თავის ძალებში სრულად დარწმუნდა, მას უხარია, რომ იგი სრულფასოვანი კაცი გახდა, გოგონასაც ქვეშეცნეულად უხარია, რომ იგი ქალი გახდა, მაგრამ გარეგნულად მას ამ სიხარულისთვის ჯერ არ სცალია, მას ტკივილები აწუხებს, მასში შემალულია თვით გამხეცებული მამაკაცი, რომელმაც დაულორწა ნორჩი ტუჩები. ქალი ფეხებს აფართხალებს, რათა დაიცვას თავი, ვერ კი ახერხებს, პირიქით, ამით უფრო შედის მასზე გადაწოლილი მამაკაცი მასში. ცრემლები სდის დაქალებულს და არავის ეცოდება იგი. მერე მის დამპყრობს შეხედავს, არც მას ებრალება, გამეტებით იპყრობს და ატირებს მას. ბოლოს იქამდე მიდის, რომ სიამოვნებისაგან ინაბება და მაშინ ყველაფრის უფლებას აძლევს, ინაბება, მამრიც ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია და როგორც შეუძლია... და ყველაფერი თავდება თვითკმაყოფილებით. ასეთი შეგრძნება ცხოველთა სამყაროში არაა. ეს მხოლოდ ადამიანთა გრძნობაა სადღესასწაულოდ გამომჟღავნებული. არც შიშია და არც სირცხვილი ცხოველებში, ეს მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ განიცადონ და განიცდიან კიდეც. მაგრამ ცხოველთა სამყაროში ერთი საუცხოო წესია, რაც ადამიანებში თითქმის არ არსებობს - თავიანთი სიშიშვლით ბუნებაში შერწყმა. ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთში განსახიერდნენ, თვით ბუნების წიაღში, მაგრამ თავშეკავებულობა მათ არ აძლევს იმის საშუალებას, რომ სრულფასოვნად ბუნების ნაწილად აღიქვან თავი, თვით თავ-თავიანთი ჟინის დაკმაყოფილებისას. დაქალებულის შეგრძნება ურთიერთშერწყმის შემდეგ იცვლება და მისი გრძნობები გაზაფხულის პირველი ყვავილებივით იწმინდება და იხვეწება მშვენიერებით; იმ ყვავილებივით, გვირგვინად რომ მოსავს თავს; იმ ყვავილებივით, რომლებსაც გადაეპკურა ქალის პირველშეცოდების სისხლი, უცოდველობის რომ იკითხება ყვავილების ენაზე... და ვაჟი, ეს აქამდე ქალარნახული ვაჟი ამ უცოდველობის ყვავილებს მოპუტავს ჭკიდან, უფროსს, სიხარულისაგან მაღლა აისვრის ამ ყვავილებს და თავისი დაკაცებული დაწმენდილი ხმით შეჰყვირებს ზეცას სამადლობელს. ქალიც ქარის მიმოქროლვაში იკელუცებს, როგორც გაზაფხულისა და ახალგაზრდობის ტკბილსახსოვარი.

მედეასთვის არ არსებობდა ბუნიაობის სიტკბო, ყველაფერი იმ წყეულმა ღამემ წაიღო, როგორც გამონიისას მთელი გრძნობებით დაცლილი ქალის გადარჩეული ოცნება, სიკვდილი სტუმრობდა მედეასთან, და მიტომ. მხოლოდ ტიროდა დაწყევლილი თუ წყეული ქალი.

### მეექვსე სათქმელი: შურისძიებაში ჩამხრჩვალი ფიქრების კეთილსინდისიერება

ფიქრებმა გაიტაცა მედეა, წონასწორობის დამრღვევი რომაა, ისეთმა. ვიდრე წინა დღის ჯანდაბის დატრიალება იყო მის თავს, რაღა უნდა ყოფილიყო ამაზე მეტი საშინელება, მაგრამ მედეამ იცოდა ისეთი რამ, რაც უცხო იყო ელლადელთათვის - არ არსებობს ქვეყნად საზღვარი უბედურებისა, იგი უსაზღვროა და უსასრულო. ამიტომ იყო საჭირო ყველაფრის აწონ-დაწონვა. სასჯელის აღმატებისთვის მის მდგომარეობასთან შეფარდებით. იგი ფიქრობდა, თუ რამ გამოიწვია ბავშვების დახოცვა ასე უმოწყალოდ. იგი დამნაშავეს ეძებდა, რათა მისმიერი ანგარიშსწორება გაცილებით შემძარწუნებელი ყოფილიყო, გამალებით დაეძებდა ბრალსა და ბრალეულს თავის ფიქრებში, რათა სისხლი მიეზღო სისხლის წილ. უპირველესად მისთვის არ არსებობდა ამ განსჯაში კითხვა საკუთარი თავისადმი „რა დავაშავე". იგი გლოვობდა შვილებს და დასტიროდა თავის უბედურებას. ამ დატირებაში მედეა შურისძიების გრძნობით იყო შეპყრობილი. იგი არავის არ პატიობდა არაფერს, მედეა იყო, და მიტომ. არც სინანულით აჩქროლებია გული, კოლხი ასული იყო, და მიტომ. ვიდრემდე არ იპოვიდა მას, ვისზეც იყრიდა ჯავრს, მისი სული მანამდე არ დამშვიდდებოდა.

„ოჰ, როგორ მიმძიმს შვილებს ვუთხრა ის ყველაფერი, რაც უკვე მოხდა, - ხმამაღლა ფიქრობდა დედა და თან ცრემლები დიოდა ლამაზ თვალთაგან და მეტად ამშვენებდა მისი სახის მომხიბლაობას ეს ცრემლები,- როგორც ბობოქარი ზღვის ტალღები წალეკავს ქვიშიან ნაპირს, ისე წალეკა ამ დღეებმა ჩემი ბედნიერებაც. უკვე დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ცხადში მოხდა. ის თავდავიწყებაც ზმანება იყო, თუმცა სიმართლე. მე კი ჩემს თავს სულ ტყუილუბრალოდ ვმოძღვრავდი მამიდასავით - ჯერ შენი უბედურების დრო არ დამდგარაო. მაგრამ სად არის ის ვერაგი ბედისწერა ჩასაფრებული, ასე იოლად რომ ჩამისვა ბუდეში უშურველად, როგორც პატარა უმწეო ბარტყი. ჰოდა, როცა ფრენა დავიწყე თავდავიწყებით. სალ კლდეებს შემოუძახა „უკვე დროა". მეც ექოსავით ჩამესმა ჩემი ბედისწერის ხმა, მისმა გამოძახილმა მთიდან მთაზე გადაკარგული ჩემი სილაღის ძახილი გადაფარა. კლდეებმაც არწივისმაგვარი ლეგა ფრინველი გამოუშვა მსხვერპლის საძებრად და მალევე მიპოვა და ვერაფერმა ვერ დამიხსნა ამ ქვეყანაზე მისი ბრჭყალებისაგან. სად არ დავემალე, მაინც მიპოვა,როგორ არ გავინაბე, მაინც აიღო ჩემი გეში. სად გატყორცნილი, სად მოხვდა მიზანს, ეს ვერ გავისიგრძეგანე სწორედ. სჯობდა მეხი დამტეხოდა თავზე, ვიდრე ასე დამღრღნიდა ეს საფიქრალი, ან ფაზისის ორომტრიალში მიმესხა თავი წამოზიდულ თეთრ ქვებზე, ან არადა პონტოს რიფებს შელეწოდა „არგო" და დაენთქა ცოდვის გემი ზღვის უმოწყალობას, ან ცეცხლი წაკიდებოდა აფრებს და დაეწვა ჩემი სამზერალი და არ შემეხედა დღევანდელი დღისთვის, ოღონდ თქვენ არ მენახეთ უსიცოცხლოდ გაქვავებულები, ჩემო საბრალო შვილებო!"

ერთხანს შეჩერდა მედეა, აღარ მოთქვამდა თავის ბედისწერას. უბრალოდ დაიღალა და თვალები დახუჭა. ყური მიუგდო გაზაფხულის ხმებს. გახედა მიდამოს - ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ხეები შრიალებდნენ. ადამიანისეული ხმა არ იყო მხოლოდ, თავისი სუნთქვა გაიგონა მედეამ და მიხვდა, რომ მარტო იყო. ხელებით მოძებნა შვილები. ორივეს ცხედარი მის სიახლოვეს იყო.

„რა ცივია თქვენი სხეულები,- ჩაილაპარაკა გლოვით გასავათებულმა ქალმა,- ყინულივით ცივი და კლდის ლოდებივით გაქვავებული. როგორ მიჭირს თქვენზე ხელის შეხებაც კი, როცა მახსოვს, რა თბილი იყო და რა ნაზი თქვენი ნორჩი ხელები".

მერე უხმო ფიქრს მიეცა.

- რა უმოწყალოა ბედისწერა და ულმობელი. წყეულიმც იყოს ის დღე, როცა იაზონს შევეყარე. წყეულიმც იყოს მოღალატე იაზონი! ზეცამ მნათობებად მიქცია იაზონის შესიყვარულების ნაყოფები... არადა მცირე იყო ბედნიერების ნეტარება. იქნებ დიდმა ბედნიერებამ დამღუპა ასე მალე, რადგან ჩემი წუთები მასთან ერთად ზღვაში კენტად მიტოვებულ ნავს ჰგავდა, სადაც ერთი დაუკვირვებელი მოძრაობაც კი საკმარისი იქნებოდა ნავის უკიდეგანობაში ჩაძირვისათვის ისე, რომ ამბის გამკითხავი არავინ დარჩენილიყო. ასეც მოხდა. სიყვარულის გესლმა გადაწყვიტა ყველაფერი ერთბაშად და გაუთვითცნობიერებლად. იგი ისე გვატყდება თავს, როგორც მოულოდნელი ჭექა-ქუხილი, თავსხმა წვიმას რომ გამოუშვებს ტრიალ მინდორზე და თავს ვერსად შეაფარებ, ისე დაგასველებს თავის ელექსირში თავიდან ფეხებამდე. ერთხანს მისი ხმაური გაგიტაცებს და დაგიპყრობს. მერე წავა და შენ კი დარჩები მთლიანად დასველებული და შეშინებული, როგორც მფრთხალი კურდღელი,- მერე ხმამაღლა გააგრძელა ფიქრი და თავისი ხმა ეუცხოვა, იმდენად დაეპყრო გაზაფხულს მედეა:

„ოჰ, როგორ მჭიჯგნის ეს მუხთალი ცნობისმოყვარეობა... სად და რატომ მატრიალა ცხოვრების ორომტრიალმა? ტკბილი ნეტარების ნექტრით გაბრუებულს სად დამატეხა ფრთები შმაგმა ქარტეხილმა? რად მომგლიჯა მშობლიურ კერას ბოროტმა ძალამ ისე, რომ იგი გაუცხოვდა ჩემთვის და მე მისთვის? რად მომგვარა ცხოვრებამ მტანჯველი სიყვარულის მოჩვენება, თუ მოჩვენება მოჩვენებადვე უნდა გამქრალიყო? პასუხს დავეძებ, მაგრამ ამაოდ, ჩემი კითხვები ექოსავით მიბრუნდება უკან. რატომ ვცემდი თაყვანს მთელი არსებით მას, ვინც ეს არც მაშინ, არც მერმე ეს არ დაიმსახურა? რატომ ჰქროდა ჩემი აზრები მის სიახლოვეს და არ მასვენებდა, თავს არ მანებებდა, როგორც მომაჯადოვებელი მიმზიდველობა? ჩემი საბრალო შვილების ბედისწერაც იქნებ ამ დროს იჩარხებოდა? იგი თავს ისე დამტრიალებდა, როგორც პეპელა მშვენიერ ყვავილს. მეც




ვუცქერდი და მეუფლებოდა დამატყვევებელი სიამე. რა იყო ყოველივე ეს - გაუცხოება საკუთარი თავისადმი, თუ უცხოს საუცხოოდ გარდასახვა და მისდამი ლტოლვა? როგორც ჩქარი მდინარე ერთვის ზღვას, ისე შეუერთდა ჩემი სურვილები მისას და მე ვერ ვიგრძენი ამ სილამაზეში, თუ როგორ დავღუპე ჩემში სამშობლო. რა საამო იყო ჩემთვის თვით ღალატიც და სისხლიც. მე კი მამრისადმი მიზიდულობის თრიაქით ვიყავი დამთვრალი. ხის მწვანე ფოთლებს ვესათუთებოდი და ყელამდე სისხლში ვიხრჩვებოდი, ჩამოვუვლიდი ჩემი ბაღის თვალჭრელ ყვავილებს და საათობით გავაბამდი ხოლმე საიდუმლო ბჭობას მათთან, ეს მაშინ, როცა აიაში ციხე გაიბზარა, თვით ბედი გატყდა მაშინ და მე ამას ვერ ვგრძნობდი, რადგან ჩემს მიერ დათრგუნული ჩემ-მიერი სიყვარულის მწუხარე მესაიდუმლე მთელი ბუნება იყო კოლხეთის. პატარა თოთო ბალახიც კი ჩემით ხარობდა. მერე ვერ გავახარე ვერავინ და ვერაფერი, თორემ მაშინ?!- მაშინ გულში სიყვარულის ცეცხლი მენთო, როცა ეს ელადელი უცხო მოადგა აია-გალავანს. მაშინ ჩემს სიყვარულს ალვირები ამოვდე და ჩავკალი ჩემში წრფელი გრძნობები და იგი გარდავსახე იაზონისადმი თვალთმაქც მიზიდულობად, რადგან დაიღუპა ის პირველი სიყვარული ჩემში და მეც მოვკვდი მისთვის და მასთან ერთად. მდელოზე მიმობნეულ სურნელოვან ყვავილებს გვირგვინად ვიწნავდი და თავს ვიტყუებდი ამით. იყო ისეც, რომ ფაზისის ანკარა ანარეკლთან ვკეკლუცობდი".

ცოტა ხანს გაჩუმდა, დაიძაბა პასუხის მოლოდინში, მოულოდნელ პასუხს რომ ელოდა მისი გონების ნააზრევი... და იგონებდა, იგონებდა, სახეზეც ნაოჭები აიჭრა, როგორც პონტოს ალელვებული ტალღა და ამღვრეული ფერადოვნება ზღვის, ავდრის მოლოდინში რომ იცის ხოლმე. და წამოიძახა მედეამ:

„იქნებ აიეტია ყველაფერში დამნაშავე, ჩემი მოხუცი მამა, კეთილი მეზღაპრე და მრისხანე მეფის უსუსური მისი ნიღაბი? რაში გამოიხატება მისი ბრალი? არც მას დასდგომია უკეთესი დღე, ვიდრე მე, იქნებ უარესიც და მძიმეც, ეს ხომ არ ვიცი",- მერე შეებრალა მამა, თავისი კეთილი მოხუცი. ამ გახსენებამ მონატრა კიდეც იგი და სიბრალულის მდუღარება ჩაიღვარა შვილში მამის მიმართ. მერე მახსოვრობამ აღადგინა მამის სახე და ხმა. ნეტა თუ ცოცხალიაო,- გაიფიქრა ბოლოს. ამ მახსოვრობას მოჰყვა სხვა განახსენებიც:

„გონს მოდი შვილო,- ეუბნებოდა მამა მედეას განმარტოებით,- ვგრძნობ, შენი ხელი ჩარევა უცხოელის გამარჯვებაშიო".

მედეამ ჯიუტად უარყო საკუთარი განზრახვა, მეფის მოერიდა და არა მამის.

„რას ამბობ, მამავ და მეფევ, ნუთუ ჩემში ეჭვი გეპარებაო?"

არ დამალა თავისი ეჭვები მამამ და მეფემ, ისევ გაუმეორა ურჩ და საყვარელ შვილს თავისი ნაფიქრალი. მერე დაასკვნა და ამით გატეხა შვილის ურჩობა:

„ვიცი, გიჭირს ჩემთან იმის აღიარება, რომ მტერი შეგიყვარდა,- ამ სიტყვებზე ქალწული ერთბაშად აილეწა სახეზე,- მაგრამ გარწმუნებ შვილო, არ ღირს ღირებული იმ ფასად, რა ფასადაც შემოგვაფასეს".

გაბრაზდა მედეა ამ სიტყვებზე და შეუტია მამას:

„შენს სიტყვებს დაუკვირდი, მამა! შენ შენი ვერძის მეტი არაფერი გაჯავრებს. იაზონი ხომ საუკეთესო მეზღვაურიაო".

გაეცინა ამ სიტყვებზე აიეტს, მედეას კიდევ უფრო მეტად მოუვიდა გული. დინჯად დაიწყო აიეტმა თავისი მოსაზრების გამოთქმა, თან ბოლთასა სცემდა, რათა შვილისთვის თვალებში არ ეყურებინა, რათა არ შეეშოჭილიყო რაიმეთი მისი აზრები:

„გითხრა, რომ ცდები-თქო, არ ვიქნები მართალი. უბრალოდ თავს იტყუებ და ეს შენც კარგად იცი. იაზონი არ არის საუკეთესო მეზღვაური. აქამდე ჩამოღწევას დიდი გმირობა არ სჭირდება, ჩვენ ქვეყნიერების დასალიერში არ ვცხოვრობთ. არც მისი და არც მისი თანამგზავრების გმირობის მჯერა. თუ ასეთი დევგმირები არიან, შენი დახმარება რად დასჭირდათ? მოიპოვონ ის, რისთვისაც ჩამოსულან და წავიდნენ, მე ხომ მათთვის უარი არ მითქვამს. თუ ღირსნი არიან, ალალი იყოს მაგათზე ვერძი, თუ არადა, ოხრადაც მოუხმარიათ. მე ისიც ვიცი, რომ ისინი რაინდები კი არა ქურდბაცაცები არიან, მე კი მხოლოდ რაინდებისთვის მემეტება ჩემი ოქროს საწმისი. ისინი შენ გიყენებენ ჩემთან საომრად. აი, მაგათ ზნედაცემულობას ამაში ვხედავ. კიდევ ერთიც უნდა გითხრა, შვილო, შენ ჩემი დის გაზრდილი ხარ. შენ თუ არა, ჩემს დას ვიცნობ ძალიან კარგად და ამიტომ ქვეყანაზე შენი ზნე რომ შევისწავლე, ისე არაფერი მისწავლია, გეფიცები... მედეა,- ღრმად ამოიოხრა აიეტმა,- შენ სიყვარულზე მეტი უბედურება გჭირს და მიმალავ, ამიტომ განუდექი შენ ყველას, მთელს კოლხურ სამყაროს. ეს ყალთაბანდები ამ შენს გაორჭოფებას იყენებენ, რათა შვილი მამას აუმხედრდეს, თვითონ რომ მიაღწიონ საწადელს, მიტომ. ეს ლამაზი საქციელი არაა და ასეთ კაცებს მე არ ვაფასებ, შენც იცი ეს, მაგრამ ესეც იცოდე, მე ცხოვრება გამივლია, ბევრი რამ გადამხდენია თავს და ამიტომ გირჩევ არა როგორც მეფე, ან მამა, არამედ როგორც შენი კეთილისმსურველი მოხუცი მეგობარი - არ დაგიფასებენ ქურდები ამაგს, ამიტომ უცხო კარზე მსახურებისთვის ის უცხოელებივე გაგრიყავენ და ჩაგქოლავენ. უმადურები არიან ადამიანები უცხოელების მიმართ, და მიტომ. მეც ასეთი ვარ ჩემთვის უცხოელთათვის, გახსოვდეს კარგად. შენ იმდენად ძლიერი ხარ, შვილო, რომ მაგათ უსახურ სახეებს შენი ძლიერი პიროვნებით დათრგუნავ. ელადელთათვის ისინი გმირები არასოდეს იქნებიან, მხოლოდ შენ წარმართავ მათ სახელს მარადისობაში და ამიტომ იქნები სწორედ მათგან წყეულიცა და წყევლილიც. ასეთია ყველა სამშობლოწაშლილი კაცის ბედი. შენც ეს დღე მოგელის, ამას აქედანვე ვგრძნობ და არ მემეტები საამისოდ, შვილო".

„ერთს გკითხავ, მამა: რომ ამბობ, თუ ღირსნი არიან, ალალი იყოს მაგათთვის ვერძიო, როგორ შესძლებს ელადელი ცეცხლისმფრქვეველი ხარების იოლად დამორჩილებას მაშინ, როცა ეს მარტო შენ შეგიძლია?.. როგორ შესძლოს მიწის დახვნა და გველეშაპის ეშვების დათესვა მაშინ, როცა ეს მარტო შენ შეგიძლია?.. როგორ შესძლოს მისმა შუბმა და მახვილმა ბნელეთის გოლიათების დამარცხება, როცა ეს მარტო შენ შეგიძლია?.."

გაეღიმა აიეტს და თავი გააქნია, მიუახლოვდა შვილს და ლოყაზე მოუთათუნა ხელი, მერე თვალებში ჩახედა და უთხრა:

„მარტო მე კი არა, ყველას შეუძლია ეს, ვინც თავის მიზნებში გულწრფელია და მართალი, არ დასჭირდება ამას ჯადოსნური მანქანები, ისე შესძლებს გადალახოს ყველა ვითომ დაბრკოლება. მაგრამ ვიცი, რომ ესენი გულწრფელი მიზნით არ მოსულან, ისინი მუხანათურად ცდილობენ მოიპარონ ჩემი სიმდიდრე. და იცი ვინაა ჩემი სიმდიდრე?! - შენ ხარ. შენ კიდევ აქეთ მეპაექრები და მებრძვი მე. წაიღონ, თავში ქვა უხლიათ, ოღონდ შენ არ წაყვე მაგათ, დაგღუპავენ და სიბერეს გაგიმწარებენ, თუ გაღირსეს სიბერე. შენ ხარ ჩემი ოქროს საწმისი, შვილო".

„სწორედ ამაში ხარ შემცდარი, მამაო,- უპასუხა მედეამ,- შენ ყოველთვის მზრდიდი, როგორც ღმერთების სადარს. ჩამაგონე, რომ თითქოს მე ვარ ზღაპრული ძალების მფლობელი, რომელიც გამოირჩევა ჩვეულებრივი ადამიანებისაგან იმით, რომ იგი ყოვლისშემძლეა და ყველაფრის უფლება აქვს მინიჭებული - ქვეყნიურიც და ზეციურიც. მე კიდევ არავისგან არაფრით არ ვყოფილვარ განსხვავებული, მითუმეტეს მოკვდავი... და ამას ყველაზე გვიან მივხვდი, ისე გვიან, რომ ბევრი რამის გამოსწორება შეუძლებელია. თუ რაიმე უფლება მქონდა, შენ მომეცი, ძალა კი ყველაზე უმწეო ბავშვის ძალაზე მეტი არ გამაჩნდა. მხოლოდ ბუნებასთან ჭიდილში გავძლიერდი და ეს ჭიდილი გამიჭირდა როგორც ქალს. საკუთარ თავთან მომიწია უმეტესწილად ომი და დავამარცხე იგი და მასთან ერთად მეც დავმარცხდი პირველსავე შემთხვევისთანავე. სიყვარული დავძლიე და ვერსად დავემალე, იგი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. მე გვიან აღმოვაჩინე, რომ ადამიანი ვყოფილვარ და არა ღმერთების დარი ჯადოქარი, რომელსაც გამაჩნია ჩემი ცხოვრება -

როცა მომესურვება გავიცინო,
როცა მომესურვება ვიტირო,
როცა მომესურვება ვილაპარაკო,
როცა მომესურვება გავჩუმდე, ან დავდუმდე.

ჩემი აღზრდის წესი კი მოითხოვდა ყველაფრის ჩემი ნების საწინააღმდეგოდ კეთებას. ჩემი ტოლები რომ ბუნიაობას ვაჟებთან ერთობოდნენ, მე ამის უფლება არ მქონდა, არადა მინდოდა. ბევრი რამ დავთრგუნე ჩემში ჩემი სურვილების საწინააღმდეგოდ. ამიტომ მე ამათ გამოვიყენებ საკუთარი თავის გასათავისუფლებლად შენგან და კოლხეთისაგან. ეს არის და ეს. სიყვარულიც ამიტომ დავარქვი ამას, თორემ შენც კარგად იცი, როგორ თრგუნავდით ჩემში ამ გრძნობას და საბოლოოდ ჩაკალით იგი კოლხეთის საკეთილდღეოდ. დამილოცნია კოლხეთო შენთვის უჩემოდო",- დაასრულა მედეამ თავისი სამდურავი და წავიდა. სახტად დარჩენილი აიეტი კი დიდხანს იდგა გაოგნებული და ვერ გამორკვეულიყო სიზმარი იყო თუ ცხადი ყოველივე ეს.

მედეა დაღალა მომქანცველმა მოგონებებმა. მან გადახედა სიმწვანეს, რათა თვალებს დაძაბულობა მოხსნოდა, მაგრამ ამჯერად მას უნდოდა ეფიქრა და არ მოწყვეტოდა თავის ფიქრიან მოგონებებს. მზე ახლახან ამოწვერილიყო და შორეული მთების წვერს ბრწყინვალებად ადგა. საამოდ ლიცლიცებდა ბალახებზე დარჩენილი ჯერარაორთქლებული დილის ნამი. თითქოს ტირიფებმაც იგრძნეს სიკვდილის გემოვნება და რტოები დაუშვეს მიწაზე, გეგონებოდა თავს უხრისო ტირილის ნიშნად. ძეწნებს ცად აეზიდათ შტოები და ნელ სიოზე საამოდ ირწეოდნენ. მახლობელი ტყიდან აქა-იქ ისმოდა საიდუმლო შარი-შური. სადღაციდან პაუზებით ცივი გამყინავი ხმით წამოიჩხავლებდა ჩხავი და იქვე მიინაბებოდა. გუგული კი გაუთავებლად მოჰყოლოდა თავის ყრუ გუგუნს. მედეამაც იგრძნო გაზაფხული მთელი ქალურობით და ისევ ფიქრს მიეცა, რადგან განმარტოვება არ აძლევდა სიცხადეში დარჩენის სურვილს.

იაზონთან შეხვედრები გაახსენდა კოლხეთში, თუ როგორი სტუმართმოყვარეობით მიიღო მეფემ იაზონი და მისი მხლებლები. მედეამ სასახლეში შეავლო თვალი უცხო ყმაწვილს, რომელმაც გაუღიმა მას და ბაგეებიდან გამოანათა მწყობრად ჩამწკრივებულმა თეთრმა კბილებმა. ღია ფერის ხუჭუჭა თმა გრუზად ეყარა თავზე და მარჯვენა მხარეს საფეთქელთან ნერვიულად უთამაშებდა ძარღვი. თეთრი ფერის ქლამინდიდან ნათლად ჩანდა მისი დაკუნთული სხეული. მარჯვენა ბეჭზე სამგრის ქვემოთ ქსოვილი ლამაზ ორნამენტებს დაემშვენებინა. მედეამაც გაუღიმა სტუმარს და ქვენაგრძნობების სურვილებმა დაიპყრო ისე,რომ თავადაც ვერ შეამჩნია ეს. იმ საღამოს პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. ლაპარაკობდნენ ყველაფერზე და არაფერზე ზოგადად. ერთმანეთი სიამოვნებდათ და ორთავეს აღძრა სურვილი ერთმანეთით შევსებულიყვნენ და ასეც მოხდა. საკუთარი თავი დაარწმუნეს ბოლოს, რომ მათ ერთმანეთი უზომოდ უყვარდათ. იაზონს წინ ხიფათები ელოდა, მედეას - საკუთარი თავმოყვარეობა, ამიტომ ერთმანეთს გადაეჯაჭვნენ. არავინ ფიქრობდა როდემდე გაგრძელდებოდა ეს ასე. ჯერ-ჯერობით ორივესთვის საჭირო იყო ერთმანეთის გვერდით დგომა. იაზონს ეგონა, რომ მედეა გულწრფელად მიენდო მას, მედეამ კი იცოდა, რომ იაზონისთვის იგი იარაღი იყო ოქროს საწმისის მოსაპარად. ისიც იცოდა, რომ იაზონმა არ იცოდა მედეას ჭეშმარიტი ჩანაფიქრ-განაზრახი, სამაგიეროდ მან არ იცოდა, თუ სანამდე მიიყვანდა მას ასეთი თამაში. თავმიშვებულობის მორევში გადავარდა, თავის დანატრულ თავმიშვებულობაში. ეს კი აღარავის დაუშლია მისთვის.

მეორე ღამით ზმანება იხილა მედეამ - იაზონი სპილენძისჩლიქებიან ხარებთან შესაჭიდებლად ემზადებოდა. ის-ის იყო ხარები დაიმორჩილა და ხვნაც დაიწყო, რომ უეცრად ხარებმა საშინელი ზმუილი მორთეს, წიხლები ჰყარეს და თავების გამეტებით ქნევა დაიწყეს. იაზონი წინ გადმოაგდეს და რქებითა და ჩლიქებით შესძგნენ. ელადელი სტუმარი სასიკვდილოდ განწირულიყო, ეს იგრძნო და აყვირდა, საშველად უხმობდა, თუ ვინმე სულიერს ესმოდა მისი. მერე ბღავილი მორთო. ისეთი მწარე შემზარავი ხმით ბღაოდა, სახლებმაც კი რყევა დაიწყეს. მხოლოდ მედეამ გაიგონა შეშინებული კაცის ბღავილი. გაეღიმა სიამოვნებისაგან, მერე კი დაიხსნა გასაჭირში ჩავარდნილი. ხარებს თვითონ ახნევინა მიწა, რადგან თავის მიზანში გულწრფელი იყო და თან მართალი. ნახნავიდან ამოსულმა შავეთის გოლიათებმა მდაბლად დაუკრეს თავი მედეას და ისევ შავეთს გაემგზავრნენ ისე, რომ ელადელებს ერთხელაც არ დაუჯახებიათ ხრმალი ხრმალზე, აქაც გულწრფელი იყო მედეა, თან მართალი, და მიტომ. ზმანება სინამდვილედ იქცა. როცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, შინისაკენ მიმავალს გზა ერთი-ორად გაუგრძელდა. მთვარე ღამეულ ცაზე ამოიწია და ხომლის პლატოსა და ბედგაუტეხელ ციხეზე მდუმარედ მოკალათდა. პირშეკრულ ღრუბელთა მომძრო ჯარი ზლაზვნით გამოემართა ცისკიდიდან ცისკიდემდის და მთვარის წინ გამოლაგდა. მათი ჩრდილები მიწისა და ზეცის გზისგასაყართან მიცურავდნენ უსულო მოჩვენებებსავით. ბინდ-ბუნდში ჩაძინებული გოლიათებივით მოჩანდა მდინარეში მოტივტივე აქა-იქ ამოზიდული თეთრი ქვები, თითქოს საგანგებოდ ჩასაფრებულან და ესესაა წამოდგომას აპირებენო. შორიდან გაბმულად ისმოდა გაურკვეველი ხმები, ძაღლების ყეფა და ჭრიჭინობელების მომნუსხავი ჭრიჭინი. დილით სასახლის ეზოში ამოსულ მოლში ჩამჯდარიყო მწყერი და თავისებურ ხმაზე გაიძახოდა რაღაცას, როგორც ამას მეჭორავე ქალები აკეთებენ. დილა იყო და ჯერ არ მოეყარა თავი დანარჩენ ფრინველებს, რათა მწყერის ნაამბობი გაეგოთ. მისი ხმატკბილი გალობა მედეამ გაიგონა უწინარესად, ამ ხმამ გააღვიძა სწორედ. სარკმელში ისე გაიხედა, თითქოს იცოდა სად ელოდებოდა მას მწყერი, თვალი პირდაპირ მას შეავლო. გარდა ამისა, გეგონებოდა, ჩიტის გარდა კიდევ სხვა რამეს ეძებსო. შავი გრძელი თმა ბეჭებზე ჩამოშლოდა მედეას და მგზნებარედ აელვებდა ჯადოსნურ თვალებს, ტკბებოდა რა კოლხური გაზაფხულის მშვენიერებით. კმაყოფილი იყო იგი იმითაც, რომ ესოდენ კოხტად მოირგო სიყვარულის ნიღაბი, საკუთარი თავისგან რომ გაქცეულიყო.

უსმენდა იაზონის ქათინაურებს და რწმუნდებოდა, თუ რაოდენ ბრძენი იყო თავად და იქნებ იმ წუთებში საკუთარი შესაძლებლობების შეეშინდა კიდეც. იაზონი კი ეუბნებოდა, -

„შენს სილამაზეს ბევრი შენატრის, მეფის ასულო!.. რასაც ღმერთები შენზე ამბობენ, სრული ჭეშმარიტებააო".

ოჰ, კიდევ ღმერთები და მათი ნათქვამებიო... რა სიყალბეაო... ან სად გაიგონა ამ კაცმა ღმერთების ლაპარაკიო... და ღმერთებს სხვა საქმე არა აქვთ, ვიდრე ჩემზე ლაპარაკიო?! გაიფიქრა მედეამ და შემპარავი ონავრული ღიმილით განაგრძო იაზონის მჭევრმეტყველების მოსმენა,-

„მართალია, ბუნებამ აიეტის ასულს დააფრქვია ღვთიური სილამაზე, მაგრამ შენი სადარი შეიძლება დილის მზე იყოს მხოლოდ და ათინათი მისი სხივების".

მედეამაც კოხტად წარმოაჩინა თავისი სახიობა:

„შენი სიტყვები ერთობ მწველია ჩემი გულისთვისო", - ესე იგი მადლობა გადაუხადა ენა მჭევრობითვე იაზონს ქათინაურისთვის.

„არაერთ ქალში მინახავს სილამაზე, მაგრამ შენებრ ღვთიური - არსად, მედეა. ეს სილამაზე ალბათ დედისგან გერგო, ან კიდევ ღმერთებმა დაგანათლა ის სათნოება, ასე რომ მხიბლავს შენში",- არ იშურებდა ლამაზ სიტყვებს იაზონი.

„ეს უკვე ითქვაო",- შეაწყვეტინა მედეამ ისე, რომ იაზონს არ შეემჩნია დამცინავი ტონი. საკუთარ თავს ეკითხებოდა - რატომ იჯერებ ამ სიყალბესო. მეც ვიცი და ამანაც იცის, რომ ეს თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი იმ წყეული საწმისის ხელში ჩასაგდებად, თავისი ახირება რომ დაიკმაყოფილოს. მაშ, რატომ, მედეა? იმიტომ, რომ ერთმანეთზე ვართ გადაბმულები. მე ამას დავეხმარები იმიტომ, რომ მანაც დამეხმაროს საკუთარი თავიდან გაქცევაში, საკუთარი თავი რომ საპყრობილედ გადამექცა. მთელი ეს უზრუნველობა, ღვთაებრიობა, პატივ-დიდება საპყრობილეა ჩემი. უნდა დავიჯერო, სხვა გზა არა მაქვსო... და რატომ მედეა? ეს კი არ ვიცი, ამაზე დრო იტყვის თავის სათქმელს. მე კი ის დამრჩენია, რომ დავუჯერო თაყვანისცემის სატყუარას... და დაუჯერა. დაიჯერა და განაგრძო მოსმენა ამ უნაყოფო ქათინაურების:

„იქნებ ზეცამ აქ მოინდომა ჩვენი შეხვედრა, იქნებ ბედ-იღბალს აქ სურს შეგვყაროს ორთავე და ჩემი გულიც აამგერა წრფელი გრძნობებით. შენმა სინაზემ, სინატიფემ და სილამაზემ,-

„მე და სინაზე?!"- გაეღიმა გამომწვევად მედეას, არ კი უთქვამს ხმამაღლა ნაფიქრი,-

... ისე მიაჯაჭვა ჩემი გულის გრძნობები შენს სულთან, როგორც პრომეთე კავკასიონზე, - განაგრძობდა იაზონი თავის სასიყვარულო ახსნას, - ისე დამატყვევა, ასე მგონია, შენს გარეშეც ვძლევდი აიეტის ხარებსა და საშინელ ურჩხულსო".

„რას ამბობო,- ხმაში დათრგუნა ირონია მედეამ, მოუსმინა რა იაზონის მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებს,- მათი დამარცხება არავის შეეძლო. მათთან შებმა გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდაო".

ასე იყო თუ ისე, მედეაც და იაზონიც კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ბედისწერით. ისინი ერთმანეთით იყვნენ ერთმანეთისთვის, საკუთარი თავი რომ გადაერჩინათ. ურთიერთგადაჯაჭვებაც მყარი აღმოჩნდა, მაგრამ ცბიერებითა და თვალთმაქცობით აღსავსე. ამისი სახელი ჯერ მათ არ იცოდნენ, რადგან იმხანად ნებივრობდნენ ნიღბისეული სახით. გადაჯაჭვება მყარი კი იყო, მაგრამ არამტკიცე. ამირან დარეჯანის-ძის ოფლნადენმა სისხლმა იდინა, იდინა და მედეას დაეპკურა ბედისწერად, როგორც ნიში ჯიშის. ამ სისხლის ცოდვა-მადლის განკითხვამ „არგოზე" უწია მედეას - გაქცეულებს მდევარი დაადევნა აიეტმა; ამ მდევრებს მეთაურობდა მედეას ღვიძლი ძმა აფსირტე. შორს წასულებს მალე დაეწია კოლხთა გემი. დის დასახსნელად მარტო გადავიდა ელადელთა ხომალდზე, არაფერს დამიშავებენო, იფიქრა, ჩემი და იქნება ამის პირობაო. არც ელადელები გამიმეტებენ მარტოდ მისულს, მითუმეტეს გულკეთილად მივიღეთო,- ასე ფიქრობდა აფსირტე. ოხრად დარჩეთ საწმისიო, მე მედეას დავაბრუნებო, უკეთეს შემთხვევაში ორთავესო.

წამოცვივდნენ ელადელები, მიატოვეს ნიჩბები, ხრმლები იშიშვლეს, მედეამ სცადა იაზონის შეჩერება, მკლავში მოკიდა ხელი, „შეჩერდიო",- უთხრა.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული" №48,49,50,51.

# აღბეჭდე წამი!
## ფოტო-ვიდეო გადაღება




გვეწვიეთ: WWW.STUDIOPHOTOVIDEO.COM ტელ: 1-347-497-4696

**გაიხსნა**

**კაფე**

გემრიელი ქართული კერძები, თონის პური,
შეკვეთები სადღესასწაულო სუფრისათვის, ქართული სული!!!
შეკვეთის უფასო მიტანა ბრუკლინში.
**ღიაა დილის 8 საათიდან - საღამოს 11 საათამდე.**
**1871 86th street, (Between 19th ave & Bay 20nd street),**
**Brooklyn, NY 11214 (Tel: 347-492-3808)**










DANCING CRANE-თან არსებული
ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი

**31 მაისს, კვირას,**
**დღის 3:30 საათზე**

**Gerald W. Lynch Theater at John Gay College**
**899 10th Ave (Between 58th & 59th street)**
**New York, NY 10012-1019**

საინფორმაციო მხარდაჭერა: მამული

347-653-0931;
845-986-2638;
718-362-6485



მაია ნინოშვილის სააგენტო

# GEORGIA-USA TRAVEL

ავიაბილეთები
საქართველოდან და
საქართველოში და
მსოფლიოს ნებისმიერ
ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214





**MAMULI**
**P.O. Box 13121,**
**Jersey City, NJ 07303**

**შემოწირულობა**
**მამულის**
**გადარჩენისათვის**

სურვილი მაქვს ,,მამულის“
არსებობისათვის გავიღო
— დოლარი.

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)


*Discount plus - YOUR STORE!*



2910 Brighton 8th street
Corner of Neptune ave
in Brooklyn

**სატელეფონო ბარათები ფასდაკლებით**




- ვუყურებ ამ სურათს და ვხვდები, რამდენი რამ არ ვიცი შენი, თუნდაც - როგორი ხარ სიცილისას; ახლადგაღვიძებული; საზრდოს მირთმევისას; ნაბანავები; გაბუტული; გახარებული; მძინარა თვალებ-მშვენიტარა; ტყუილის თქმისას; ეზოდან ამოთითხნული ამოსული; სკოლის ფორმაში; საპრანჭიო გეტრებში; შესვენებაზე დერეფანში მოხტუნავე; დაფასთან ცარცით ხელში (წვდები თუ არა დაფას, თუ ფეხის წვერებზე გიწევს აწევა?); წრეში ბურთის თამაშისას; სარკეში თუ იპრანჭები...

მე ისიც მაინტერესებს, როგორია შენი სუნთქვის რითმი ძილისას და რომ შემეძლოს, შენს სიზმრებშიც შემოვიჭყიტებოდი.

დაბადების დღეს გილოცავ იაკო!

**მანუჩარი ბიძია**

◆ **გილოცავთ** ◆

ჩვენს საყვარელ მეგობარს, **დალი ხოფერიას** ვულოცავთ იუბილეს. ბედნიერება და ღვთის წყალობა იყოს მუდამ შენი ცხოვრების მეგზური. მალე აგსრულებოდეს ოცნება და ჩახუტებოდე შენს ვაჟკაცს.

**მეგობრები:**
**მარინა გელაშვილი, იამზე გოგუაძე, ნათელა მოსიაშვილი, ნანა ნაკაშიძე, ნინო ხარაბაძე.**

* * *

ჩვენს **ქეთი მანდარიას**

მშვენიერ, დიდებულ ქალბატონს, ვულოცავთ დაბადების დღეს. სიხარულსა და ჯანმრთელობას, შვილებით ბედნიერებას ვუსურვებთ. უფალი გფარავდეს, იყავ დღეგრძელი და ბედნიერი.

დიდი სიყვარულით
**იამზე გოგუაძე, ნინო ხარაბაძე, ნანა ნაკაშიძე**

* * *

ჩვენს საყვარელ **ხათუნა მოდებაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერ მოგზაურობას მონატრებულ სამშობლოში. გვიყვარხარ!

**მეგობრები**

პირველად ამერიკაში
## ქართული სიმღერის კონკურსი
## დო - რე - მი

რომელიც ,,ნინოს სკოლის'' ინიციატივით 20 ივნისს, ნიუ იორკში ჩატარდება, უმასპინძლებს 18 წლამდე ასაკის ყველა ნიჭიერ ქართველს და მათ, ვისაც ქართული სიმღერის შესრულება შეუძლია.

გამარჯვებულს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს და საუკეთესო შემსრულებელი გაიგზავნება საქართველოში ,,ანა-ბანას“ ფესტივალის შესარჩევ ტურში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოში ყოფნისას მისთვის სპეციალურად დაწერილ სიმღერაზე კონკურსანტი შეასრულებს დუეტს ცნობილ მომღერალთან და მისთვის გადაიღებენ ვიდეო-კლიპს.

დაწესებულია შემდეგი ნომინაციები:

მაყურებლის სიმპატია, საუკეთესო სიმღერის ტექსტი, საუკეთესო კოსტუმი, საუკეთესო თმის ვარცხნილობა, საუკეთესო შესრულების მანერა, თეატრალურობა და სხვა.

59 East 2nd Street, New York, NY 10003
ninosschool@yahoo.com * 646-861-1759 * 646-305-3438







ასავალ დასავალის პარტნიორობით

მამული
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE
რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

გაზეთის ეს ნომერი ხელმოწერილია დასაბეჭდად 2009 წლის 23 მაისს, პარასკევს, ალმ. ამერიკის დროით 17 სთ-ზე